გუბერნატორმა "მოკლე ჩართვა" გაახერხა A2

კანონიერების კულტურა A8

ტერორიზმი B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 19 ოქტომბერი, 2004 წელი. №248 (797)

ფასი 50 თეთრი


ეკონომიკა

### ახალმა საგადასახადო კოდექსმა ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას ხელი არ უნდა შეუშალოს



ავტომობილების იმპორტიორთა ასოციაცია ახალ საგადასახადო კოდექსს აპროტესტებს.

A4

უცხოეთი

### "სახეზეა სტალინიზმის დაბადება"



"ევროპის უკანასკნელმა დიქტატორმა" საარჩევნო უბნებზე მისულ ხალხს საჩუქრები და 20-30 პროცენტის ფასდაკლებით პროდუქტები დაურიგა.

A5

საზოგადოება

### „ვინცა წაიკითხოთ, შენდობა ბრძანეთ...„



B1


იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7


# კანონის უზენაესობა

## ერთადერთი იარაღი წამების წინააღმდეგ



წამების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სოფიკო ჩხაიძე

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა, კიდევ ერთხელ, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს წინასწარი დაკავების საკნებში თავისუფლებაშეზღუდულ პირთა ცემა-წამებას. კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ მომავალში დაკავებულებზე ზეწოლის თავიდან აცილებას, მუშაობის ამგვარ სტილს შეჩვეული სამართალდამცველების მიმართ განსაკუთრებული სიმკაცრისა და პრინციპულობის გამოჩენით აპირებენ; კიდევ ერთხელ გვამცნეს უკვე გამოჩენილი სიმკაცრისა და პრინციპულობის მაგალითები და ყოველივე ამით კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ, მიუხედავად მათი მხრიდან არაერთხელ გამოცხადებული სასტიკი ბრძოლისა, საქართველოში, წინასწარი დაკავების საკნებში მათი ქვეშევრდომნი კვლავაც სცემენ და აწამებენ თავისუფლებაშეზღუდულ პირებს.*

იმედი, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსული ხელისუფლება ერთი ხელის მოსმით გადაწყვეტდა ყველა პრობლემას, ცხადია, იმთავითვე არარეალური გახლდათ. თუმცა, არსებობს პრობლემები, რომელთა გადასაწყვეტადაც მართლაც მხოლოდ ხელისუფლების რეალური ნებაა საკმარისი და მკაცრი კონტროლი იმისა, რომ ეს - კანონმდებლობით გამყარებული ნება, ვერავინ უგულვებელყოს. სწორედ ასეთ პრობლემათა რიგს განეკუთვნება თავისუფლებაშეზღუდულ პირთა ცემა-წამება. ხოლო თუ ხელისუფლების წარმომადგენლები, კონკრეტულად კი იმ უწყებათა პირველი პირები, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ ამ მოვლენასთან ბრძოლა, ორ თვეში ერთხელ ერთი და იმავე შინაარსის პრესკონფერენციას ატარებენ, მკაცრ განცხადებებს აკეთებენ, კანონის დამრღვევთ მთელი სიმკაცრით დასჯით ემუქრებიან და ამით არაფერი იცვლება, რჩება შთაბეჭდილება, რომ სახელისუფლებო

გაგრძელება A3 გვერდზე

### საზოგადოებრივი მონიტორინგი - საუკეთესო გამოსავალი

თამარ კაციტაძე

*პრეზიდენტთან შეკრებილ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა მოჰყვა. ამ ნაბიჯის არსი, შინაგან საქმეთა სამინისტროში საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ერთობლივად გააჟღერეს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა, სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა და პარლამენტარმა გიგა ბოკერიამ.*

ის, რომ ქვეყანაში დაკავებულ თუ დაპატიმრებულ ადამიანთა უფლებები ირღვევა, კერძოდ, მათ სცემენ, აწამებენ და აკრძალული ნივთების ჩადებით აპატიმრებენ, შინაგან საქმეთა მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა ოფიციალურად ჯერ კიდევ ორი თვის წინ აღიარეს. გუშინდელი პრესკონფერენცია, ისევე როგორც ორი თვის წინათ, მწამებელთა დასჯის ფაქტების კონსტატირებით დაიწყო. ამჯერად დაკავებულია თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ საკანდელიძე, რომელიც ნარკოტიკების ჩადებით ადამიანების დაჭერაში იმხილება და ადამიანების წამებაში ბრალდებული ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ტულუში.

თუმცა, გუშინდელი ბრიფინგის მთავარი მიზანი ამ ფაქტების დემონსტრირება კი არა, საზოგადოებრივი მონიტორინგის პრეზენტაცია და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ხელისუფლების ნების ოფიციალური დაფიქსირე-

გაგრძელება A3 გვერდზე

# პარლამენტი მთავრობას აუმხედრდა

და მას ულტიმატუმების ენაზე ელაპარაკება



პარამენტარები უკვე არა უკმაყოფილებას, არამედ აღშფოთებას გამოხატავენ ქვეყნის მთავარი საფინანსო კანონის მიმართ.

იური ლობოდინის ფოტო

*2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საპარლამენტო განხილვის პირველი ეტაპი დასასრულს მიუახლოვდა. მთავრობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიმართ უკმაყოფილებას სახელისუფლებო ფრაქციის წევრი დეპუტატებიც კი უკვე ღიად გამოხატავენ და აცხადებენ, რომ მასში არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანის გარეშე, მომავალი წლის მთავარ ეკონომიკურ კანონს ხმას არ მისცემენ. აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კანონმდებლების დაპირისპირება იმდენად მწვავე ხასიათს იძენს, რომ დეპუტატები პარლამენტის შესაძლო დათხოვნაზე*

გიორგი ასანიშვილი

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მთავრობის მისამართით საყვედური არაერთხელ გაისმა. პრეტენზიათა საკმაოდ ვრცელი "ნუსხა" წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის წევრმა ვასილ მაღლაფერიძემ.

**"მინისტრთა კაბინეტში ვერ ვნახე ადამიანი, რომელიც ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით წამოჭრილ კითხვებს პასუხს გასცემს. ჩემთვის დღემდე გაუგებარია, შემოაქვს თუ არა მთავრობას**

გაგრძელება A2 გვერდზე

### პრეზიდენტს ზედმეტი ფუნქციები არ სჭირდება

აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე

გიორგი ასანიშვილი

ზარმაც და უდისციპლინო დეპუტატებს მძიმე დრო დაუდგათ - პარლამენტის თავმჯდომარე მათ წინააღმდეგ ფინანსური სანქციების გატარებას აპირებს. ნინო ბურჯანაძის თქმით, საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა უკვე წარმოადგინა იმ პარლამენტართა სია, ვინც სექტემბრის თვეში სხდომებს სისტემატურად აცდენდა.

**"ვინც სხდომებს საერთოდ არ დასწრებია, მათ მიმართ მკაცრი საჯარიმო სანქციები განხორციელდება, ხოლო ვინც სხდომების ნახევარზე მეტი გააცდინა, სადეპუტატო უფლებამოსილებისთვის გათვალისწინებულ თანხას ვერ მიიღებს,"** - ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გამოაცხადა სასჯელის ზომა პარლამენტის ხელმძღვანელმა. მისივე თქმით, დისციპლინის დამრღვევთა შორის ზოგიერთი ძალიან ღირსეულია პიროვნებაა, მაგრამ ამის გამო მთელი ქვეყანა მათ ფეხქვეშ ვერ გაეგება.

**"თუ ფინანსური სანქციები შედეგს არ გამოიღებს, მაშინ იმ პარლამენტართა სიას გამოვაქვეყნებთ, ვისაც ხელფასის დაკარგვა არაფრად უღირს,"** - დაწყებული საქმის შუა გზაში მიტოვებას არ აპირებს ბურჯანაძე.

გაგრძელება A2 გვერდზე

ამინდი

| | 19/10 | 20/10 |
| --- | --- | --- |
| თბილისი | 23 | 20 |
| ქუთაისი | 29 | 22 |
| ბათუმი | 28 | 21 |
| სოხუმი | 26 | 19 |
| ფოთი | 28 | 21 |
| თელავი | 22 | 19 |
| ზუგდიდი | 29 | 21 |
| გორი | 21 | 17 |
| ახმეტა | 22 | 19 |
| ჭიათურა | 25 | 20 |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
| --- | --- |
| აშშ დოლარი | 1.8250 |
| ევრო | 2.2770 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2892 |
| რუბლი | 0.0627 |


A2 ამბები A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 მთავარი თემა A8 კანონიერების კულტურა

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ტერორიზმი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## პრეზიდენტს ზედმეტი ფუნქციები არ სჭირდება

პირველი გვერდიდან

■ ■ ■

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე სპიკერის აღშფოთება გამოიწვია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილმა კანონპროექტმა, რომლის თანახმადაც, ამა თუ იმ თანამდებობაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში, კონკურსის ჩატარებაზე გადაწყვეტილება უშუალოდ პრეზიდენტმა უნდა მიიღოს. ნინო ბურჯანაძე ღრმად არის დარწმუნებული, რომ ზედმეტი ფუნქციებით აღჭურვა მიხეილ სააკაშვილს არაფერში სჭირდება და მან არც კი იცის მთავრობის ასეთი განზრახვის შესახებ.

**"განა შეიძლება ყველაფერი პრეზიდენტს ავკიდოთ და ის ასეთი სისულელეებისთვის მოვაცდინოთ? ნუთუ, შესაბამისი უწყება თავად ვერ გამოაცხადებს კონკურსს?"** - გაოცებულია პარლამენტის თავმჯდომარე.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის აზრით, ამ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ცალკეული უწყებები პასუხისმგებლობას თავიდან აიცილებენ და იგი მთლიანად პრეზიდენტს დაეკისრება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კანონპროექტის მხარდაჭერა გაბაშვილს შეუძლებლად მიაჩნია.

■ ■ ■

მას შემდეგ, რაც პარლამენტი 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, თავისი შენიშვნებითა და წინადადებებით, მთავრობას დაუბრუნებს, იგი კიდევ ერთ სქელტანიან დოკუმენტს შეეჭიდება: დაიწყება ახალი საგადასახადო კოდექსის განხილვა.

ამის გაკეთებას დეპუტატები მშვიდ გარემოში - გუდაურში გასვლით სხდომაზე აპირებენ. იგი 22-24 ოქტომბრისთვის იგეგმება და მასში მონაწილეობას პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრიც მიიღებენ.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ტყემალაძის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ პარლამენტს ჯერ ახალი საგადასახადო კოდექსი მიეღო და მომავალი წლის ბიუჯეტი მხოლოდ ამის შემდეგ დაემტკიცებინა.

რეგიონი

## გურიის სოფლები ნანგრევებისგან იწმინდება

**"ახალი ცხოვრება, უწინარეს ყოვლისა, ახალი გარემოს შექმნით უნდა დავიწყოთ, ფსიქოლოგიურად დამთრგუნველია, როცა ირგვლივ ამდენ ნანგრევებს ხედავ, ბევრი სოფელი და დაბა საერთოდ ნაფრონტალს ჰგავს. ასეთი ყოფის შემხედვარეს მხოლოდ აპათია და გულგატეხილობა დაეუფლება, როგორც რიგით მოსახლეს, ისე ადგილობრივ თუ ჩამოსულ ბიზნესმენს, სტუმარს. საინვესტიციო ფონის გაუმჯობესება მხოლოდ დიდ პროექტებსა და გეგმებს კი არ გულისხმობს, გარემოც მოწესრიგებული და თვალისთვისაც საამო სახილველი უნდა იყოს. გვაქვს მაგალითი მთელი რიგი ქვეყნებისა, რომლებმაც ახალი ცხოვრება გარემოს წესრიგში მოყვანით, ესთეტური მხარის გაუმჯობესებით დაიწყეს. ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, რომ ერთ-ერთ სოფელში, სადაც ნგრევის არნახული მასშტაბებია, თუნდაც სოფელ მერიაში, მუზეუმი ღია ცის ქვეშ მოგვეწყო, როგორც ნიმუში იმისა, თუ როგორ გარემოში არ შეიძლება ცხოვრება. იქაურობა ხომ ომის დროინდელი სტალინგრადის ერთ-ერთ ძლიერ დაბომბილ უბანს ჰგავს. ეს იქნებოდა ერთგვარი ძეგლი ძველი მმართველობის საგმირო საქმეებისა. ამ შენობა-ნაგებობების უმეტესობა გაიძარცვა, რაც კარგი იყო დაიტაცეს, მიითვისეს, ან გაყიდეს, დარჩა სამარცხვინო სანახაობა, რომელიც მემკვიდრეობად გვერგო და რომელსაც უნდა ვუპატრონოთ. ჩვენ ალბათ ვერაფერს ავაშენებთ, თუ ამ ნგრევის ნაშთებს არ გავაქრობთ ჩვენი თვალსაწიერიდან,"** - ასე მიმართა გურიის გუბერნატორმა ჟანი კალანდაძემ ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში, რუსი სამხედრო მოსამსახურეების დანგრეულ-გაპარტახებულ ყოფილ საცხოვრებელ შენობებთან, იავარქმნილი ზეთსახდელი ქარხნის ნანგრევებთან თავმოყრილ სოფლებისა და დაბების გამგებლებს, სოფლის მცხოვრებლებს, ჟურნალისტებს. რამდენიმე წუთის შემდეგ კი მან ახალი ინიციატივის პრაქტიკული რეალიზებაც დაიწყო - ჟანი კალანდაძის წინამძღოლობით მძიმე ტექნიკა და სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი გარემოს მოწესრიგებას შეუდგა.

გუბერნატორმა ერთი თვის ვადა მისცა სოფლებისა და დაბების გამგებლებს, რათა დანგრეული შენობებისა და ნაგებობებისაგან გაწმინდონ თავიანთი ტერიტორიები. ეს არა არის დაკავშირებული დიდ ფინანსურ დანახარჯებთან, მაგრამ აუცილებელია ჩვენს ცხოვრებაში ჯანსაღი ელემენტების შემოსატანად. გუბერნატორის ინიციატივას ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთელმა სოფელმა დაუჭირა მხარი, დიდი და პატარა ენერგიის უშურველად შრომობდა. ერთმა დროულმა კაცმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა კიდეც, რომ შენი სახლის დალაგებაზე სხვამ არ უნდა მიგითითოსო, მაგრამ უამრავი პრობლემის წინაშე მდგომ ადამიანებს საამისოდ ვერ მოუცლიათ.

მაშ ასე, გურია თვითგანწმენდით იწყებს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ჟანი კალანდაძის აზრით, გურია, საქართველოს ეს წარმტაცი კუთხე, ავგიას თავლას არ უნდა ჰგავდეს.

## გუბერნატორმა "მოკლე ჩართვა" გაახერხა

არსებობს წინაპირობა იმისა, რომ გურიის მხარემ თავი დააღწიოს უმძაფრეს ენერგოკრიზისს. გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ რეგიონს ბოლო პერიოდში ელექტროენერგიის მიწოდება საერთოდ შეუწყვიტა, რაც გამოწვეული იყო უკიდურესად დაბალი გადახდის მაჩვენებლით. იგი სამ პროცენტს არ აღემატებოდა. გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ჯანი კალადაძის მეცადინეობით, ამჟამად ენერგოკომპანიასთან მიღწეულია შეთანხმება, რომ 25 ოქტომბრამდე რეგიონი, მართალია შეზღუდული მოცულობით (3-4 სთ დღეში), მაგრამ მაინც მიიღებს ელექტროენერგიას, ოღონდ ამ პერიოდში უნდა მოხდეს საქენერგოს დავალიანების 25 პროცენტის გადახდა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოთქვამს ენერგოკომპანია მზადყოფნას, იფიქროს ელექტროენერგიის მოწოდების მოცულობის გაზრდაზე, და ეს, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებული იქნება მოხმარებული ენერგიის საფასუსრის დაფარვის მაჩვენებელზე.

ამ მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, უკვე 15 ნოემბრიდან ენერგოკომპანია დაიწყებს კომუნალური მრიცხველების დაყენებას. პირველ ეტაპზე უპირატესობა მიენიჭება იმ აბონენტებს, რომლებსაც მოხმარებული ენერგიის საფასურის დაფარვის მაღალი მაჩვენებელი ექნებათ. ენერგოკომპანია აბონენტებს საწყის ეტაპზე მომხმარებლებს მრიცხველის დამონტაჟებაში გადაახდევინებს 10 ლარს, ხოლო მრიცხველის ღირებულების დარჩენილ 20 ლარს აბონენტები 10 თვის განმავლობაში გადაიხდიან, ელექტროენერგიის ღირებულებასთან ერთად.

**"სხვა ალტერნატივა არ არსებობს,** - ამბობს გურიის გუბერნატორი ჟანი კალანდაძე, - **მოსახლეობამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს, რომ თუ გადახდა არ იქნება, ელექტროენერგიას არავინ მიაწვდის, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი თხოვნით ენერგოკომპანია გარკვეულ დათმობაზე წავიდა და ახლა სიტყვა მოსახლეობაზეა. ჩვენთან არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით, ენერგოკომპანია 25 პროცენტიან გადახდაზეც კი ყაბულსაა. გამრიცხველიანება უდავოდ დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. რეალურად გადახდის აუცილებლობის წინაშე მდგარი მოსახლეობა, ვფიქრობთ, ენერგიასაც დაზოგავს და გადახდასაც შეძლებს. რაც შეეხება საწარმო-დაწესებულებებს, ისინი უკვე გამრიცხველიანებულნი, ვალდებული გახდებიან სრულად დაფარონ დახარჯული ელექტროენერგიის საფასური. ენერგოკომპანიასთან მიღწეული შეთანხმებით, გადახდის მაჩვენებლის გაუმჯობესების შემთხვევაში, ელექტროენერგიის მიწოდების მოცულობის გაზრდაზე პრობლემა არ იქნება.**

**ორი დღეა, ენერგოკომპანია პირნათლად ასრულებს თავის სიტყვას. იმედია, მომხმარებლებიც გაგებით შეხვდებიან არსებულ სიტუაციას. მხოლოდ უკმაყოფილების გამოხატვისა და საპროტესტო აქციების გამო ელექტროენერგიას აღარ იძლევიან."**

*თამაზ ხარაიშვილი, ოზურგეთიდან*

## თბილისი რეგიონულ კონფერენციას მასპინძლობს



იური ლობოდინის ფოტო

*უცხოელი დიპლომატები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე.*

გუშინ, გვიან ღამით, სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტს დახურულ კარს მიღმა უცხოელი დიპლომატები, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აშშ-ს ელჩები შეხვდნენ. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ აშშ-ს ელჩი აზერბაიჯანში რენო ჰარნიში, აშშ-ს ელჩი სომხეთში ჯონ ევანსი, ევრაზიის კონფლიქტებზე მოლაპარაკებებში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი და უფროსი მრჩეველი კასპიის აუზის ენერგეტიკის საკითხებში სტივენ მენი. დიპლომატიურ მისიას ხელმძღვანელობს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ლორა კენედი. საათნახევრიანი დიალოგის შემდეგ დიპლომატებმა ქართველი ჟურნალისტებისთვის სპეციალური ბრიფინგი გამართეს. ყველას სახელით ქალბატონმა კენედიმ ისაუბრა.

**"ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რეგიონის ქვეყნებს შორის უფრო გაღრმავდეს თანამშრომლობა და ურთიერთობა. პრეზიდენტთან გვქონდა უაღრესად მნიშვნელოვანი და დეტალური საუბარი. ამომწურავად განვიხილეთ ყველა საკითხი. საუბარი შეეხო კონფლიქტებს, ასევე - ენერგეტიკას და საზღვრების უსაფრთხოებას. მოვისმინეთ მიხეილ სააკაშვილის სურვილი, განავითაროს ეკონომიკა და რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია მოიზიდოს ქვეყანაში,"** - განაცხადა ლორა კენედიმ.

როგორც კენედიმ ჟურნალისტებს მოახსენა, დიპლომატები თბილისში ჩამობრძანდნენ რეგიონულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. ამერიკის საელჩოს ინიციატივით, თბილისში დიპლომატიურ მისიათა ხელმძღვანელების ორდღიანი რეგიონული კონფერენცია ტარდება.

*24 საათი*

## პარლამენტი მთავრობას აუმხედრდა

პირველი გვერდიდან

**კანონპროექტები, რომლებიც განათლების სფეროს რეფორმირებას შეეხება,"** - ჩივის მაღლაფერიძე და შეშფოთებით აღნიშნავს, რომ თუ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებისა და მისი დაფინანსების საკითხი ახალავე არ გაირკვევა, შესაძლოა, ზაფხულში ქვეყანაში ძალიან სერიოზული სოციალური კატაკლიზმები დაიწყოს. დეპუტატის თქმით, სულ ცოტა ხნის წინათ ანალოგიური მდგომარეობა იყო ყირგიზეთში და საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავრობის წევრებმა არ იცოდნენ, სად გაქცეოდნენ აღშფოთებულ ხალხს.

**"ბევრი ქართველი მინისტრიც მინახავს, თავიდან ყელმოღერებული რომ ყოფილა, მერე კი ნირი წახდენია,"** - აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მეტი სიფრთხილისა და გონიერებისკენ მოუწოდებს მაღლაფერიძე.

მის შეშფოთებას განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილიც იზიარებს.

**"სამთავრობო გუნდი ვერ ჭვრეტს იმ პოლიტიკურ შედეგებს, რომელიც მის** (მთავრობის) **ზოგიერთ გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს,"** - აცხადებს გრიგალაშვილი. მისი აზრით, დაუშვებელია, თუ 115-ლარიან მინიმალურ ხელფასს მასწავლებელთა მხოლოდ მცირე ნაწილი (მაგალითად, პროფტექნიკური სასწავლებლების პედაგოგები) მიიღებს, ძირითად ნაწილს კი მათზე ნაკლები ანაზღაურება ექნება. კომიტეტის თავმჯდომარის გათვლით, მასწავლებელთა მთელი სპექტრის მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდა გადაუჭრელ პრობლემას არ წარმოადგენს.

**"თუ ამას არ გავაკეთებთ, ბევრ მტერს შევიძენთ,"** - მაღლაფერიძის მსგავსად, ნოდარ გრიგალაშვილიც, მთავრობის გასაგონად, ხალხის შესაძლო რისხვაზე საუბრობს.

როგორც ირკვევა, კიდევ უფრო დრამატული სიტუაციაა ჯანდაცვის სფეროში. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გოგიტა გეგელაშვილის თქმით, მთავრობამ პარლამენტში ის საბიუჯეტო სქემა წარმოადგინა, რომელიც საერთაშორისო ექსპერტებმა ერთი თვის წინათ მკაცრად გააკრიტიკეს.

თავად მთავრობის შიგნითაც რომ სერიოზული წინააღმდეგობები არსებობს, გივი თარგამაძის ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ: თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ბიუროს წევრებს აუწყებს, რომ თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე 119-მილიონიანი ბიუჯეტის გაწერაზე უარს ამბობს, ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს კი თავდაცვითი უწყებისთვის 157 მილიონი ლარი "არ გაუმეტებია".

ამ შემთხვევაში, პარლამენტის ხელმძღვანელობა თავდაცვის სამინისტროს მხარეზეა. გაუწერელი ბიუჯეტის პარლამენტში წარმოდგენისთვის ნინო ბურჯანაძე მინისტრთა კაბინეტს საყვედურობს და აფრთხილებს, რომ თუ ბიუჯეტის პროექტი გამჭვირვალე არ იქნება, საკანონმდებლო ორგანოში მხარდაჭერას ვერ მიიღებს.

**"თუ თავდაცვის სამინისტროსთვის 200 მილიონი ლარის გამოყოფა ვერ ხერხდება, მინიმუმ 150 მილიონი მაინც უნდა გამოიყოს. 119 მილიონ ლარს კი, უბრალოდ, არ დავეთანხმები,"** - ულტიმატუმის ენაზე ელაპარაკება მთავრობას პარლამენტის თავმჯდომარე.

ბიუჯეტის პროექტის მიმართ სპიკერის პრეტენზიები ამით არ ამოიწურება.

**"ქუთაისის ბიუჯეტი 37 პროცენტით მცირდება, რაც ამ ქალაქის სიკვდილს ნიშნავს,"** - პროტესტს გამოთქვამს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი. პარლამენტის თავმჯდომარე იმითაც არის აღშფოთებული, რომ მთავრობა არც 2005 წლიდან აპირებს იმ კანონის ამოქმედებას, რომელიც ომის ვეტერანებისთვის რიგ შეღავათებს ითვალისწინებს.

მთავრობისა და პარლამენტს შორის მკვეთრი დაპირისპირებიდან გამომდინარე, დეპუტატი ვალერი გელბახიანი არ გამორიცხავს, რომ ორ სახელისუფლებო შტოს შორის კონფრონტაცია კიდევ უფრო გაღრმავდეს და ეს პროცესი პარლამენტის დათხოვნით დასრულდეს, თუმცა, ნინო ბურჯანაძეს მოვლენების ასეთი განვითარებაც არ აფრთხობს.

**"დათხოვნის მექანიზმი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ამოქმედდება. ისე, თუ დაგვითხოვენ, ვერც ამაში ვხედავ დიდ უბედურებას,"** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი და იქვე შენიშნავს, რომ წინა დღით პრეზიდენტს ესაუბრა და მიხეილ სააკაშვილი კანონმდებელთა პოზიციას ბევრ რამეში ეთანხმება. ნინო ბურჯანაძის თქმით, დაუშვებელია, რომ დათხოვნის შიშით, დეპუტატებმა ქვეყანასა და პრეზიდენტს დათვური სამსახური გაუწიონ.

ამ პათოსს ელენე თევდორაძეც ეთანხმება. **"სჯობია დაგვითხოვონ, ვიდრე ქვეყნის ინტერესების ღალატისთვის ხალხმა ძალით გაგვრეკოს აქედან,"** - უკან დამხევი არც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ჩანს.

## მხარის გუბერნატორი ფოთში "ნეიტრალურ არბიტრად" ჩამოვიდა

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორს გიგი უგულავას ფოთელები დანიშვნის დღიდან ელოდნენ. დაგროვდა ბევრი პრობლემა. სპეციფიკური ქალაქი, როგორც გუბერნატორმა განაცხადა, ბოლოსთვის მოიტოვა და 16 ოქტომბერს პირველი ოფიციალური ვიზიტი დანიშნა. შეხვედრები ქალაქის მთავრობასთან, საკრებულოსთან და არასამთავრობო სექტორისა და მასმედიის წარმომადგენლებთან დაიგეგმა.

უგულავა ფოთში მომზადებული ჩამოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ქალაქში არსებულ სიტუაციაზე გარკვეულ ინფორმაციას უკვე ფლობდა.

**"დიდი რესურსი იკარგება მთავრობასა და საკრებულოს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. დრო და ენერგია აკლდება ქალაქს. მე არ ვიცნობ საქმეს ისე დეტალურად, რომ დღეს მტყუან-მართალი გავარჩიო, თუმცა, ფაქტია, პრობლემა დროში ძალიან გაიწელა და მახინჯი ფორმა მიიღო. არც ერთ რიგით ფოთელს არ აინტერესებს ეს დაპირისპირება. მას სჭირდება ქალაქისთვის გაკეთებული საქმე. პრობლემა სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს. თუ არ გამოინახა საერთო ენა, პირადად შევალ ქვეყნის პრეზიდენტთან და ვთხოვ, გამოიყენოს თავისი უფლება მერთან და საკრებულოსთან მიმართებაში,"** - განაცხადა გუბერნატორმა.

მთავრობის თითოეული წევრისგან უგულავამ პირადად მოისმინა ინფორმაცია საკურატორო სექტორში შექმნილი ვითარების შესახებ. თუ ფოთის მთავრობა მხარის გუბერნატორთან პრობლემებზე მსჯელობაზე მეტად გაკეთებული საქმეებით იწონებდა თავს და არასწორ მესიჯსაც არ თაკილობდა, მასმედიამ და არასამთავრობო სექტორმა ღიად და შეუნიღბავად წამოსწია წინა პლანზე ის საკითხები, რომელიც ქალაქს ტკივილად ექცა. **"ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მთელი მთავრობა თავისი მმართველობიან-თვითმმართველობიანად თავადაა ფოთისთვის პრობლემა. მიგულეთ, როგორც ნეიტრალური არბიტრი. მე ცალსახად ვსაუბრობ, მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებ: არავის მერკანტილურ ინტერესს ბიუჯეტის ფორმირებისას არ გავითვალისწინებ,"** - ამბობს უგულავა.

გუბერნატორი ფოთის მერიასთან დაკავშირებული პრობლემების საქმის კურსშია. **"ფოთის მერია არ არის ნიუ-იორკის, რომ იქ შესვლის მსურველს აკრედიტაცია და საშვი დასჭირდეს. თუ ჟურნალისტის შეკითხვაზე პასუხი არ გაგაჩნიათ, ე.ი. რაღაცას მალავთ. კეთილი ინებეთ და დაიცავით ზოგადადმინისტრაციული კოდექსი და გაითვალისწინეთ, რომ მისი შემდგენელი დღეს ქვეყნის გენერალური პროკურორია,"** - ნახევრად ხუმრობითა და, ამავე დროს, მთელი სერიოზულობით შეახსენა გუბერნატორმა ფოთის მთავრობას. უგულავას არავინ შეეკამათა და პრესის თემა ამოწურულად ჩაითვალა.

სამშაბათს უგულავა ფოთს ისევ ესტუმრება. ამჯერად იგი მონაწილეობას მიიღებს 2004 წლის ბიუჯეტის დაუმტკიცებელი მუხლების განხილვაში. როგორც გუბერნატორი აცხადებს, განხილვა იქნება ღია, საჯარო და ნებისმიერი პარტიკულარული ინტერესის უარმყოფელი. ფოთში ვიზიტის ბოლოს, პრესასთან კომენტარისას უგულავამ აღნიშნა: "დაპირისპირება ამ ქალაქში არავის აძლევს ხელს. ეს არის პოლიტიკური ელიტის პრობლემა. მას კი, როცა ვერ გადაწყვეტს თავისი არსებობის საკითხს, განაჩენს ხალხი გამოუტანს. ეს იოლი მისახვედრია და უნდა ესმოდეს როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებას."

*ქეთინო ჯაკობია, ფოთიდან*

## აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღე თბილისურად



ბესო გულაშვილის ფოტო

*ორივე მხარემ ტორტის თავისი ნაწილი გაჭრა.*

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღის 13 წლისთავი გუშინ საზეიმოდ აღინიშნა თბილისში. მიღებას, რომელსაც ქართული პოლიტიკური ელიტის თითქმის სრული შემადგენლობა ესწრებოდა, რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რამიზ ჰასანოვი მასპინძლობდა. ელჩმა დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლისას, მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის 13-წლიან ისტორიაზე და საქართველოსთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობაზე და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკას დამოუკიდებლობის დღე საქართველოს მთავრობის და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახელით პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ მიულოცა.

**"თქვენი დამოუკიდებლობა ჩვენი ქვეყნის აღმავლობისთვის განმსაზღვრელი იყო. ამ წლების განმავლობაში ორი ქვეყნის განვითარება სინქრონულად მიმდინარეობდა, ჩვენ ვთანამშრომლობდით და ერთად ვმუშაობდით გამარჯვების მოსაპოვებლად, დღემდე ჩვენ ყოველთვის ერთად ვზეიმობთ ყველა წარმატებას,"** - განაცხადა მან.

ზურაბ ჟვანიამ ჰეიდარ ალიევის, როგორც **"უდიდესი მოღვაწის"** ღვაწლზეც ისაუბრა და მის მიმართ მადლიერება გამოთქვა **"თავისი და ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ გაწეული ღვაწლისთვის".**

საქართველოს პრემიერ-მინისტრს არც აზერბაიჯანისა და საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტების საკმაოდ ახლო ურთიერთობა გამორჩენია და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ **"ალიევისა და სააკაშვილის მეგობრობა ორი ქვეყნის კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საწინდარია".**

ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნის გაჟღერების შემდეგ კი დარბაზში საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშებგამოსახული საზეიმო ტორტის დაჭრის ცერემონიალი გაიმართა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ რამიზ ჰასანოვს განუმარტა, რომ აღნიშნული ტორტის დაჭრა "პოლიტიკური საკითხი" იყო, ორივე ქვეყნის წარმომადგენელმა ტორტზე გამოსახული თავისი მხარე და საკუთარი დროშა გაჭრა.

## ნარკოტიკებზე შემოწმება ფინანსურ პოლიციაში

მოულოდნელი ნარკოლოგიური შემოწმება ამჯერად ფინანსურ პოლიციაში დაიწყო. ფინანსური პოლიციის თანამშრომლეთა შემოწმებას ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია ატარებს. ნარკოლოგიურ შემოწმებას ფინანსური პოლიციის 500-მდე თანამშრომელი გაივლის. **"მე მქონდა ინფორმაცია, რომ ჩემსავე სტრუქტურაში რამდენიმე ნარკომანი მუშაობს, რაც შენობაში არაერთხელ ნაპოვნი ერთჯერადი ნახმარი შპრიცითაც დასტურდება,"** - აცხადებს ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი. ნარკოლოგიური შემოწმება მან პირველმა გაიარა. .

**"ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი თანამშრომლები სამსახურს დატოვებენ,"** - იმუქრება ფინანსური პოლიციის უფროსი. ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის კობა აბულაძის თქმით, ფინანსთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ამგვარი შემოწმება უკვე სამჯერ ჩაატარა ხაზინის, საბაჟო სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს შორის. აღნიშნულ უწყებებში 170-მდე თანამშრომელი შემოწმდა და ნარკოტიკების მოხმარების ფაქტი ოთხ მათგანს დაუდგინდა.

როგორც გენერალური ინსპექციის უფროსი განმარტავს, ნარკოლოგიური შემოწმების შედეგებზე რეაგირებას უკვე შს სამინისტრო მოახდენს.

*24 საათი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# კანონის უზენაესობა

## ერთადერთი იარაღი წამების წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

ნების დეკლარირება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ ნების რეალურად გამოჩენას. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ იმავე პოლიციელებს მწვანე შუქი აქვთ ანთებული დაკავებულთა საწამებლად, მაგრამ ფაქტია, რომ არც ამის გამო გარდაუვალი სასჯელის შიში აფრთხობთ. არადა, ადამიანის წამება დაუშვებელია - ეს, ასე ვთქვათ, ჰუმანური აქსიომაა, რომელიც მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, და მეტიც, საერთაშორისო კანონმდებლობით არის განმტკიცებული.

მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი თითქმის იდენტურია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლისა და ასე ჟღერს:

**"დაუშვებელია ადამიანის წამება, მის მიმართ არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის მეთოდების გამოყენება".**

**"დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება,"** - ესეც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული პოსტულატია, რომლის არგათვალისწინების გამო სასჯელის ზომას უკვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, კერძოდ, მისი 335-ე მუხლი ითვალისწინებს:

**"მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის, ანდა ექსპერტისა - დასკვნის მიცემისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი:**

**ა) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;**

**ბ) დაზარალებულის წამებით,**

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე".**

ცხადია, ქვეყანაში კანონების აღსრულების გარანტი ქვეყნის ხელისუფლებაა. სწორედ იგია ვალდებული ეფექტური ზომები მიიღოს დაკავებულთა წამების წინააღმდეგ - ასეთ ვალდებულებას იმ ქვეყნის ხელისუფლებას, რომელიც გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კონვენციას არის მიერთებული, სწორედ ეს კონვენცია აკისრებს. საქართველო კი ამ კონვენციას კარგა ხნის წინ მიუერთდა. შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, **"ყველა წევრი სახელმწიფო იღებს ეფექტურ კანონმდებლობას, ასევე ადმინისტრაციულ, სასამართლო და სხვა სახის ზომებს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს მის იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე წამების ფაქტები. ვერავითარი გამონაკლისი, როგორიც არ უნდა იყოს ის, საომარი მდგომარეობა თუ ომის საშიშროება, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა თუ სხვა განსაკუთრებული შემთხვევა, ვერ გაამართლებს წამებას. წამების გამამართლებლად არ გამოდგება არც ზემდგომი თანამდებობის პირის და არც ხელისუფლების წარმომადგენლის მითითება."**

საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის მართვის სადავეებთან კანონის უზენაესობის განუხრელად დაცვის დაპირებით მოვიდა. არ არის გასაკვირი, რომ საზოგადოება მისგან სწორედ კანონის არა სიტყვით, არამედ საქმით დაცვას მოითხოვს. შესაბამისად, ორი თვის ინტერვალით ჩატარებული იდენტური პრესკონფერენციების პარალელურად დაკავებულთა წამების ფაქტების მატება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველოში კანონის უზენაესობის დამყარებამდე ჯერ კიდევ შორსაა.

და ბოლოს, შინაგან საქმეთა მინისტრისა და გენერალური პროკურორის გუშინდელი პრესკონფერენცია ორი თვის წინანდელისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ დაკავებულთა წამების თავიდან აცილების მიზნით, წინასწარი დაკავების საკნებზე ომბუდსმენის ოფისის მონიტორინგის დაწესების შესახებ გაკეთდა განცხადება. მნიშვნელოვანი წამოწყებაა! თუმცა, თუ ადამიანის უფლებათა დამცველები და ხელისუფლების წარმომადგენლები ძველებური სტილით, ძველებურ რეჟიმში, არაკოორდინირებულ მუშაობას განაგრძობენ, ეს წამოწყებაც მხოლოდ ქაღალდზე არსებულ კეთილ განზრახვად დარჩება, მინისტრისა და გენპროკურორის დუეტს კვლავ და კვლავ მოუწევს, ორიოდ უღირსი თანამშრომლის დასჯით თავმოწონების თანხლებით, წამებასთან უკომპრომისო ბრძოლის გამოცხადების შესახებ ხმამაღალი განცახდებების გაკეთება, მათი ხელქვეითებისთვის კი დანაშაულთან ბრძოლის მთავარი იარაღი კვლავაც ელექტროშოკის აპარატი იქნება.

# "დაკავებულთა წამება ეპიდემიაა, ხელისუფლებამ კარანტინი უნდა გამოაცხადოს"

ინგა ალავიძე

*ალბათ, ბოლო პერიოდში ატეხილი განგაშის გამოძახილია, რომ თითქმის ყველა უწყების - სახელისუფლებოსა თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები - აცხადებენ, რომ დაკავებულთა ცემა-წამების ფაქტები არ შემცირებულა, მეტიც, იმატა.*



*ძალოვანები კვლავ ვიშინსკისეული საბჭოური პრინციპებით მოქმედებენ.*

გამოდის, რომ ძალოვანები კვლავ ვიშინსკისეული საბჭოური პრინციპებით მოქმედებენ და ზოგიერთმა კანონდამცველმა საქმის გახსნის ცივილიზებული მეთოდები ჯერ კიდევ ვერ აითვისა. ეს იმაზეც მიუთითებს, რომ სამართალდამცველ სტრუქტურებში ჯერ კიდევ პროფესიონალიზმის მწვავე დეფიციტია, რადგან ხშირ შემთხვევაში დაკავებულთა ბრალეულობის დამამტკიცებელი მყარი არგუმენტების მოპოვება ვერ ხერხდება და საქმეების გამაგრებისთვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მოპოვებულ აღიარებით ჩვენებებს იყენებენ.

**"ფაქტია, რომ რევოლუციის შემდეგ დაკავებულთა წამებამ სერიოზულ მასშტაბებს მიაღწია. ნებისმიერ ქვეყანაში, როცა ეპიდემია არნახულ მასშტაბებს აღწევს, ცხადდება კარანტინი ან რაიმე სხვა ღონისძიება. ჯერჯერობით ხელისუფლება კარანტინს არ აცხადებს,"** - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლი ლევან რამიშვილი. ამ ორგანიზაციის მიერ "ხავერდოვანი რევოლუციის" შემდგომ პერიოდში შედგენილი სტატისტიკა მართლაც საგანგაშოა. "თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, ცხრა თვეში 556 წამების ფაქტი გამოვლინდა და ყველა შემთხვევაში დაკავებულები პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში, პოლიციისთვის სასურველი ჩვენების გამოძალვის მიზნით აწამეს. ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, 2003 წლის დეკემბრიდან 2004 წლის აგვისტოს ჩათვლით, წინასწარი დაკავების საკნებიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხეულის დაზიანებებით 556 პატიმარი გადაიყვანეს. 300-მდე მათგანმა არ აღიარა, თუ სად მიიღო დაზიანებები, ხოლო 200-მდე პატიმარმა დააზუსტა, თუ რომელ საკანში მოხდა მათზე ფიზიკური ზეწოლა.

თუმცა, როგორც "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები აცხადებენ, მათ მიერ შეკრებილი მონაცემები სრული არაა, რადგან თითოეული ფაქტი საკუთარი ძალებით მოაგროვეს, სიზუსტის შემთხვევაში კი, გაცილებით მძიმე სურათი დაიხატებოდა. მათივე ინფორმაციით, დაკავებულთა წამების მხრივ ლიდერობს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს, ისანი-სამგორის, გლდანის, გორის, გარდაბნისა და ზუგდიდის წინასწარი დაკავების საკნები.

"თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ მოკვლეულ ფაქტებს შორისაა მამუკა ჩუბინიძის საქმე. ისანი-სამგორის პოლიციის თანამშრომლებმა მამუკა ჩუბინიძე შვიდ აგვისტოს ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით დააკავეს და ისანი-სამგორის პოლიციის №1 ქვეგანყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც ჩუბინიძემ დანაშაული არ აღიარა და, შესაბამისად, არც ჩვენება მისცა პოლიციელებს. **"პოლიციის უფროსი წიხლებითა და მუშტებით გამეტებით მირტყამდა თავისა და გულ-მკერდის არეში, რის შედეგადაც გონება ორჯერ დავკარგე,"** - განუცხადა ჩუბინიძემ "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებს, რომლებმაც ჩუბინიძის შესამოწმებლად ექიმი მიიყვანეს. მან გარეგანი დათვალიერების შედეგად დაადასტურა, რომ ჩუბინიძეს სხეულზე მძიმე დაზიანებები აღენიშნებოდა. ჩუბინიძის საქმესთან დაკავშირებით, "თავისუფლების ინსტიტუტმა" გენერალურ პროკურატურას მიმართა და საქმის აღძვრა მოითხოვა. თუმცა, როგორც "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე აცხადებს, საქმის გამოძიებით არავინ დაინტერესებულა. მეტიც - ისანი-სამგორის პოლიციის N1 ქვეგანყოფილების უფროსი მამუკა დავითინიძე, რომელიც პირადად სცემდა ჩუბინიძეს, კვლავ თავის ადგილზეა.

"თავისუფლების ინსტიტუტის" მიერაა გამოვლენილი ვლადიმერ კოშკაძის საქმეც. კოშკაძე რვა აგვისტოს, გორში, დაახლოებით 20-მა პოლიციელმა დააკავა და ხელკეტებით საშინლად სცემა. ვლადიმერ კოშკაძის განცხადებით, დაკავების ოპერაციას გორის კრიმინალური პოლიციის უფროსი რევაზ კლდიაშვილი ხელმძღვანელობდა.

წამების ფაქტებს შორის გამორჩეულია დავით მინდაძის საქმე. მინდაძე, რომელმაც დახმარებისთვის "თავისუფლების ინსტიტუტს" მიმართა, ბრალდებულია დეპუტატ გიუაშვილის მკვლელობის მცდელობაში. მისი დაკავების ოპერაციას ხელმძღვანელობდა თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე, ამჟამად გლდანი-ნაძალადევის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი დავით კეკუა. **"მინდაძე მიიყვანეს დიღომში, თბილისის პოლიციის სამმართველოს შენობაში, აიყვანეს მე-12 სართულზე, სადაც სასტიკად სცემეს, აღიარებითი ჩვენების მიცემის მიზნით. მინდაძეს თავის არეში ჩარტყმული აქვს ბოქლომი, ჩატეხილი აქვს სახის ძვლები, რასაც ჩატარებული ექსპერტიზებიც ადასტურებს,"** - ასეთია "თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ მოპოვებული ინფორმაცია. მინდაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამადაც გართულებულია, იგი №7 იზოლატორში იმყოფება, სადაც შეყვანის დროს არ მომხდარა მისი, როგორც დაზიანებებით შეყვანილი პირის რეგისტრაცია. "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებს მან ახსნა-განმარტება მისცა, რომ ციხეში გადაყვანისას მისი დაზიანებები არავის შეუმოწმებია. "თავისუფლების ინსტიტუტმა" გენერალურ პროკურატურას მიმართა თხოვნით, რათა მინდაძის საქმის გამოძიება თბილისის პროკურატურას ასცილდეს, რადგანაც მისი ცემა სწორედ ამ უწყების გამომძიებლის თანდასწრებით ხდებოდა. როგორც თეა თუთბერიძე აცხადებს, საქმე გენერალურ პროკურატურას მართლაც გადაეცა გამოსაძიებლად, მაგრამ ტრადიციულად არც ერთი იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, რომლებიც მინდაძის წამებაში ღებულობდნენ მონაწილეობას.

ასევე, დავით სუჯიევისა და ვლადიმერ კოშკაძის საქმეზე შეკრებილი მასალები მოსაკვლევად შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაეცემა და არასამთავრობო ორგანიზაცია მათ მოკვლევაგამოძიებაზე მკაცრ მონიტორინგს განახორციელებს.

"თავისუფლების ინსტიტუტმა" რამდენიმე დღის წინ ადამიანის უფლების დარღვევის ახალი ფაქტები გამოავლინა. თეა თუთბერიძის ინფორმაციით, თელავში პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს მამუკა პაპაშვილს, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამადაც უმძიმესია. ცემის შდეგად მას ტვინის შერყევის მძიმე ფორმა განუვითარდა. საქმე პროკურატურამ არც ამ შემთხვევაში აღძრა.

თეა თუთბერიძის მონაცემებით, მან შეამოწმა თბილისის წინასწარი დაკავების საკნის მიღების ჟურნალი და აღმოჩნდა, რომ 9 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრამდე "კაპეზეში" შეყვანილია 37 ადამიანი, მათგან 15 დაკავებულს სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები, რაც რეგისტრირებული იყო ჟურნალშიც. თუმცა, როგორც თეა თუთბერიძე ამბობს, საკანში იყვნენ პატიმრები, რომელთაც დაზიანებები აღენიშნებოდათ, მაგრამ ეს ფაქტები აღრიცხული არ იყო.

**"დაკავებულები დეტალურად ჰყვებიან, თუ როგორ აწამებენ თბილისის პოლიციის სამმართველოში. ზედამხედველი პროკურორი გვეუბნება, რომ ყოველ დილით ამოწმებს წინასწარი დაკავების საკანს და თითოეული დარღვევის შესახებ მასალებს რეაგირებისთვის შესაბამის სტრუქტურას უგზავნის. თუმცა, არც ერთ ფაქტზე გამოძიება არ ჩატარებულა და პასუხისგებაში არავინ მიუციათ,"** - ამბობს თეა თუთბერიძე.

გარდა "თავისუფლების ინსტიტუტისა", დაკავებულთა არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე სქელტანიანი ნუსხა მოეპოვება ადამიანის უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციას - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის". მათ მიერ მოგროვებულ დეტალურ ინფორმაციაში 500-ზე მეტი დაკავებულის ცემა-წამების კონკრეტულ ფაქტზეა საუბარი. გარდა ამისა, მათ მოეპოვებათ ნუსხა დაკავებული ადამიანებისა, რომლებიც სხეულზე აღნიშნული დაზიანებების მიზეზად დაკავებამდე მიღებულ ტრავმებს ასახელებენ. ზოგიერთი მათგანის მტკიცებით კი, სხეულის დაზიანება თვითონ მიიყენეს. ასეთთა რიცხვი 50-ს აჭარბებს. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა ვარაუდით, მათი უმრავლესობა დაშინებულია და ამიტომაც შეგნებულად არ ამხელს პოლიციის განყოფილებებში მათზე ფიზიკური ზემოქმედების ფაქტებს. ორგანიზაციამ მათ მიერ მოგროვებული ფაქტები შესასწავლად შსს-ს გენერალურ ინსპექციას გადაუგზავნა, მაგრამ, როგორც აცხადებენ, არც ერთ მათგანზე რეაგირება არ მომხდარა. "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენლებმა მათ მიერ მოკვლეული ფაქტები საერთაშორისო ორგანიზაციებსაც გადაუგზავნეს.

# ექვმიტანილებს სახალხო დამცველის წარმომადგენლები დაიცავენ

*სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილი ბოლო სკანდალური ფაქტი, გორის რაიონის პროკურორის ალეკო ბაბაჯანაშვილის მისამართით გამოთქმული სერიოზული ბრალდებების საფუძველზე გახსნილი საქმე, ლოგიკურად დასრულდა. საქართველოს ომბუდსმენის სოზარ სუბარის მიერ დაწესებული მკაცრი კონტროლის გამო, ადამიანის წამებაში ბრალდებული გორის პროკურორი სავარძელს დაემშვიდობა და როგორც ომბუდსმენი ამბობს, ბაბაჯანაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც უნდა მიეცეს, რადგან ის დაკავებულის არაადამიანურ მოპყრობაშია დადანაშაულებული.*

ინგა ალავიძე

გორის პროკურორმა რამდენიმე დღის წინ საკუთარ კაბინეტში სასტიკად აწამა გიორგი მიგრიაული. **"საქმეზე სერიოზული კონტროლი გვაქვს დაწესებული და ყველა ის პროკურორი, ვინც მიგრიაულის წამებაში მიიღო მონაწილეობა, მკაცრად უნდა დაისაჯოს, მათი ადგილი აუცილებლად ციხეშია,"** - აცხადებს სოზარ სუბარი.

რაც შეეხება არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს, როგორც სახალხო დამცველი ამბობს, **"სიტუაცია არ შეცვლილა, მეტიც, დაკავებულთა ცემა-წამების მხრივ კატასტროფული ვითარებაა. ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკა, რომელიც არასრულია, საგანგაშოა.**

**13 ოქტომბერს დაგვიკავშირდა ადვოკატი ლორთქიფანიძე და შეგვატყობინა, რომ რამდენიმე საათის მანძილზე იდგა თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობის წინ და მას ეჭვმიტანილთან არ უშვებდნენ. ჩვენ შევედით თბილისის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში და აღმოჩნდა, რომ დაკავებული 8 ეჭვმიტანილიდან 5-ს სხეულზე წამების კვალი ეტყობოდა. ორმა მათგანმა წამების ფაქტი უარყო. განაცხადეს, რომ დაზიანებები დაკავებისას, სადარბაზოში მივიღეთო, თუმცა, დაზიანების გარეგნული ნიშნები სხვა რამეს მეტყველებდა. მესამე დაკავებულის განცხადებით, ის საპატრულო პოლიციამ სცემა. მანვე განაცხადა, რომ მისგან წინააღმდეგობის გაწევას ადგილი არ ჰქონია. ვფიქრობ, რომ სამივე საქმე შესასწავლია. რაც შეეხება დანარჩენ ორ დაკავებულს - გიორგი სულაქველიძემ და დავით გოგიშვილმა ადგილზევე, ადვოკატის თანდასწრებით დაგვიწერეს განცხადებები, რომ ისინი წინასწარი დაკავების საკანში სცემეს და მათ რამდენიმე კაცი ურტყამდა. მაშინვე მოვიწვიეთ პროკურორი და მომხდართან დაკავშირებით აღიძრა საქმე. ამ საქმეზეც სერიოზული კონტროლი გვაქვს დაწესებული და ყველა ის პირი, ვინც მათ ცემაში მიიღო მონაწილეობა, დაისჯება.**

**საერთოდ, ბოლო პერიოდში დაკავებულთა წამების ფაქტები ყველანაირ ზღვარს სცილდება და დაუსჯელობის საოცარ შეგრძნებას ბადებს, რაც აუცილებლად უნდა მოიხსნას. ცოტა ხნის წინ პრეზიდენტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრაზე პრეზიდენტმა, გენერალურმა პროკურორმა და შს მინისტრმა ცალსახად გამოხატეს თავიანთი პოზიციები დაკავებულთა არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გახშირებაზე. სახალხო დამცველის ოფისის ინიციატივას, შექმნილიყო არასამთავრობო ორგანიზაციათა საბჭო, რომლის წევრებიც ომბუდსმენის რწმუნებით იქნებიან აღჭურვილნი და საშუალება ექნებათ განახორციელონ წინასწარი დაკავების საკნების მონიტორინგი, შს მინისტრი უკვე გამოეხმაურა. ირაკლი ოქრუაშვილის თანხმობით, არასამთავრობო ორგანიზაციების ორ-ორ წევრს საშუალება ექნება, საქართველოს მასშტაბით მოქმედ წინასწარი დაკავების საკნებში ნებისმიერ დროს, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე შევიდნენ და ადგილზე გაეცნონ სიტუაციას. მონიტორინგს კოორდინაციას გაუწევს სახალხო დამცველის ინსტიტუტი. არ მინდა, ხმამაღლა ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ომბუდსმენის ოფისი ყველა ღონეს იხმარს, რათა დაკავებულთა ცემა-წამების ფაქტები შემცირდეს, ერთეულ შემთხვევებამდე იქნეს დაყვანილი,"** - ასეთია სახალხო დამცველის სოზარ სუბარის პოზიცია.

# საზოგადოებრივი მონიტორინგი - საუკეთესო გამოსავალი

პირველი გვერდიდან

ბა გახლდათ.

**"სახალხო დამცველის აპარატის პატრონაჟით შეიქმნება 47 ჯგუფი, რომლებიც წინასწარი დაკავებს საკნებში განახორციელებენ მონიტორინგს. ვფიქრობთ, ამ გზით უფრო სწრაფად მივაღწევთ შედეგს და აღმოიფხვრება ცემის და წამების ფაქტები,"** - განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც აღიარებს, რომ ჯერჯერობით, მის სისტემაში კიდევ არიან ადამიანები, რომელთაც ადამინის წამებისკენ აქვთ მიდრეკილება.

**"სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობაში ახალი ეტაპი იწყება. აქამდე ფოკუსირებული ვიყავით კორუფციასთან ბრძოლაზე, ხალხისათვის მოპარული ფულის სახელმწიფოსთვის დაბრუნებაზე და ინსტიტუციონალურ მშენებლობაზე. ვფიქრობ, ეს წარმატებით განხორციელდა და კვლავაც ხორციელდება. დღეს ჩვენ მზად ვართ კრიმინალთან ბრძოლისათვის, თუმცა ბრძოლა არ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების დარღვევის ფონზე. ამიტომაც ახალ ეტაპზე მთავარი პრიორიტეტი იქნება კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა,"** - ასეთია გენერალური პროკურორის მიზანი, რომელსაც წარმატებად მიაჩნია, რომ ბოლო პერიოდში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო დაახლოებით 14 ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

**"ჩვენ მომავალშიც ძალიან მკაცრები ვიქნებით. ნებისმიერი ადამიანის უფლებების დარღვევას, განსაკუთრებით თუ ეს იქნება პოლიციის მხრიდან ცემა-წამება ან აკრძალული ნივთის ჩადება, მოჰყვება უმკაცრესი რეაგირება,"** - გვპირდება ზურაბ ადეიშვილი.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შექმნილი კეთილსინდისიერი და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული მონიტორინგის ჯგუფები, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მთელ საქართველოში იმუშავებენ. მათ სრული უფლება ეძლევათ, შეამოწმონ პოლიციის ნებისმიერ განყოფილებასა და წინასწარი დაკავების საკნებში მიყვანილი ადამიანები და კანონსაწინააღმდეგო ფაქტების დააფიქსირების შემთხვევაში სამართალდამცველ ორგანოებს მიმართონ. რეაგირება რომ აუცილებლად მოხდება, ამაში პრესკონფერენციის მონაწილეთაგან ეჭვი არავის ეპარება.

**"ბოლო პერიოდში ჩვენ მიერ აღმოჩენილ ფაქტებს გენერალური პროკურატურის და შს მინისტრის მხრიდან უსწრაფესი რეაგირება მოჰყვა. მაგრამ ეს ახალი პროექტი, რომლის ინიციატორიც გახლავთ შინაგან საქმეთა მინისტრი, გულისხმობს გაცილებით ფართომასშტაბიანი მონიტორინგის ჩატარებას, რათა ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს ცემა-წამების ფაქტები. ამაზე ლაპარაკი დღევანდელ სამყაროში სირცხვილია,"** - ამბობს სოზარ სუბარი.

**"ჩვენ არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ ცემა-წამების მრავალწლიანი ტრადიცია ავტომატურად, ერთი ხელის მოსმით აღმოიფხვრება. დღეს საუბარია იმაზე, რომ პროცესუალური ნორმების დაღვევით მტკიცებულებების შექმნა ქვეყანაში ნორმა აღარ იქნება და მეორე - ძალიან მკაცრი "ნადირობა" გამოცხადდება იმ პოლიციელებზე, რომლებიც აგრძელებენ საბჭოურ ტრადიციას,"** - ასეთია პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავჯდომარის მოადგილის გიგა ბოკერიას პოზიცია.

თემის გაგრძელება

## უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის

*ჩვენს ქვეყანაში, სადაც საზოგადოება კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან გამჭვირვალობასა და საჯაროობას ჩვეული არ არის, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) ახალი ინიციატივა მოულოდნელი, თუმცა სასიამოვნო სიახლე იქნება.*

მარიამ ჭაჭვაძე

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი უკვე რამდენიმე წელია, ქვეყანაში სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტებს ახორციელებს. მათ შორის არის თბილისში 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრით დაზარალებული განათლების ობიექტების (სკოლების) რეაბილიტაციის პროექტი, რომლის ფარგლებში დედაქალაქის რამდენიმე სკოლის ინფრასტრუქტურის აღდგენა ამჟამადაც მიმდინარეობს. კიდევ ცხრა საშუალო სკოლის სამშენებლო სამუშაოებზე სსიფ-მა ტენდერი ამ ცოტა ხნის წინათ გამოაცხადა. ხსენებული პროექტის საქმიანობის, ტენდერის უფრო მეტი გამჭვირვალობისა და საჯაროობის მიზნით, საგანგებოდ შეიქმნა სატენდერო შემფასებელი კომისია, რომელიც მთლიანად მოწვეული, გარეშე პირებისგან არის დაკომპლექტებული. ეს ინიციატივა სსიფ-ს ახალ აღამასრულებელ დირექტორს კარლო ბარდაველიძეს ეკუთვნის. **"უფრო მეტი ღიაობისთვის, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ამ კომისიაში ჩაგვერთო ის ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულები არიან ამ საქმიანობით. სსიფ-ს ერთადერთი მიზანი აქვს, რაც შეიძლება გამჭვირვალედ და საჯაროდ ჩატარდეს ეს ტენდერი,"** - ამბობს ბარდაველიძე.

ამ კომისიის ერთ-ერთი წევრი ლევან ციცქიშვილი, რომელიც ამ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს წარმოადგენს, ამბობს, რომ რაც უფრო მეტ ორგანიზაციაში იქნება სსიფ-ის ეს ინიციატივა დანერგილი და გავრცელებული, საზოგადოებისთვის უფრო მეტი ეფექტის მომტანი იქნება.

სატენდერო კომისიის ფუნქციებში შედის ტენდერის გახსნა და შედეგების შეფასება. საბოლოოდ, იგივე კომისია გამარჯვებულ კომპანიებს კონტრაქტების მინიჭების თაობაზე რეკომენდაციას გაუწევს მსოფლიო ბანკთან. საზოგადოებას და სკოლის ადმინისტრაციას, როგორც მომხმარებლებს, საშუალება აქვთ სხვადასხვა ეტაპებზე მიიღონ მონაწილეობა მონიტორინგში და შეაფასონ მიმდინარე საქმიანობა.

ხსენებულ სამშენებლო სამუშაოებზე შესყიდვები მთლიანად მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი პროცედურების თანახმად ჩატარდება. სატენდერო კომისიის წევრების თქმით, ამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის შესყიდვების წესები მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოში მოქმედი პროცედურებისგან. ცნობისათვის, სატენდერო კომისია შემდეგი უწყებების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული: ფინანსთა სამინისტრო, განთლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, თბილისის მერია და სახალხო დამცველის ოფისი.

## მორჩილაძე პროფესიონალ მენეჯერებს სტუდენტებში ეძებს

სოფიკო ოხანაშვილი

მოხმარებული გაზის საფასურის ამოღების გაუმჯობესებისა და საწარმოს მომგებიან ბიზნესად ქცევის მიზნით, "თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე საწარმოში მართვის ახალი სისტემის დანერგვას გეგმავს. მენეჯმენტის მორჩილაძისეული ვარიანტი "თბილგაზში" ე.წ. კრიზისული მენეჯერის თანამდებობის შემოღებასა და ბიზნესმენებისათვის სამართავად კონკრეტული უბნების გადაცემას ითვალისწინებს, ოღონდ გარკვეული პირობებით. **"ბიზნესმენმა, რომელიც დაინტერესებულია გაზის სექტორით, ჩვენთან ხელშეკრულების გასაფორმებლად ერთი თვის მოხმარების საფასური წინასწარ უნდა გადაიხადოს. ამის შემდეგ მას გადაეცემა რომელიმე უბანი. თუ მინუსებში წავა, მას კონტრაქტი მაშინვე შეუწყდება. მოგებას კი ამოღებული თანხის პროპორციულად მიიღებს",** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში დავით მორჩილაძემ. მისივე თქმით, უკვე არსებობენ კონკრეტული მსურველები, რომლებსაც "თბილგაზში" ასეთი სახის ინვესტიციების ჩადება სურთ. მორჩილაძის განმარტებით, შეირჩევიან ისინი, ვინც "ამოღების ყველაზე კარგ გრაფიკს შემოგვთავაზებს". თუმცა, "თბილგაზის" ხელძღვანელის თქმით, ბიზნესმენებთან ხელშეკრულების გაფორმება გრძელვადიანი პროცესია, მანამდე კი, საწარმოს გადასარჩენად მორჩილაძე ე.წ. კრიზისული მართვის მენეჯერის თანამდებობების ამოქმედებას აპირებს. მისი ინფორმაციით, ყველა უბანს თითო კრიზისული მართვის მენეჯერი ეყოლება. ("თბილგაზს" 12 მხვილი უბანი აქვს). **"კრიზისული მართვის მენეჯერები უნდა იყვნენ გამოცდილი ბიზნესმენები. კარგად მუშაობის შემთხვევაში, გარკვეული დროის შემდეგ, მათ რომელიმე უბანი ყოველგვარი თანხის გარეშე გადაეცემათ სამართავად",** - განაცხდა მორჩილაძემ.

"თბილგაზის" გენერალური დირექტორი ბიზნესმენების გარდა, თანამშრომლობისათვის ESM-ის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებს იწვევს, რომლებიც უბნების მართვის სტრუქტურას შეიმუშავებენ. ორთვიანი საცდელი პერიოდის წარმატებით გავლის შემდეგ, ახალგაზრდა მენეჯერებს კონკრეტული უბნები გადაეცემათ სამართავად. **"აქ საუბარია პრაქტიკული მენეჯმენტის სკოლაზე: სტუდენტი თან მუშაობს, თან სწავლობს",** - განმარტა მორჩილაძემ.

ოფიციალურ პრეზენტაციამდე, რომელიც ოთხშაბათსაა დაგეგმილი, ამ იდეამ ტესტირება ESM-ის სტუდენტებთან ორსაათიანი ლექციით გაიარა.

## ახალმა საგადასახადო კოდექსმა ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას ხელი არ უნდა შეუშალოს

ნანა გიორგაძე

*მსოფლიოს ცნობილი კომპანიები, "დრაიმლერ კრაისლერი", "ფოლკსვაგენი", "ბმვ", "რენო", "ოპელი", "აუდი", "პეჟო", "ტოიოტა", "ვოლვო", "შკოდა", "ჰუნდაი", "კრაისლერი", "ჰონდა", "ნისანი" და სხვა, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში ავტომობილების იმპორტისათვის შეტანილი გადასახადების გამო, იძულებულნი გახდებიან დახურონ საქართველოში თავისი ოფიციალური წარმომადგენლობები, შეაჩერონ თავიანთი ინვესტიციები.*



ავტომობილების იმპორტიორთა ასოციაცია ახალ საგადასახადო კოდექსს აპროტესტებს.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ავტომობილების იმპორტიორთა ასოციაცია, რომელიც საქართველოში ავტომობილების ოფიციალურ იმპორტიორ 14 კომპანიას აერთიანებს, პროტესტს გამოთქვამს ფინანსთა სამინისტროს მიერ შექმნილი ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში აღნიშნული საქმიანობისათვის დაფიქსირებული გადასახადების გამო. კერძოდ, კომპანიები თვლიან, რომ საგადასახადო კოდექსის შემუშავებისას (რომ აღარაფერი ითქვას ურთიერთსასარგებლო, ერთობლივ მუშაობაზე) საჭირო იყო, უბრალოდ, მათი აზრიც მოესმინათ, რათა ადგილი არ ჰქონოდა ავტომობილების იმპორტიორთა საქმიანობის ყოვლად დაუსაბუთებელ და გაუმართლებელ შეზღუდვებს - ამჟამად მოქმედი ეფექტური გადასახადის შეცვლას აქციზისა (7 პროცენტი) და დღგ-ს (18 პროცენტი) გადასახადით. მთავარი, რაც გუშინ, ავტომობილების იმპორტიორთა ასოციაციის მიერ გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე დაფიქსირდა, ის გახლავთ, რომ ეკონომიკურად გაუმართლებელია ფინანსთა სამინისტროს მიერ შექმნილი საგადასახადო კოდექსის ახალი პროექტი და უკუეფექტს გამოიწვევს. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტი დადებითის ნაცვლად უარყოფით შედეგს მიიღებს. ძველი (2002 წლის მარტამდე) დღგ-ს რეჟიმით დაბეგვრის დროს სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველთვიურად საშუალოდ 650 ათასი ლარი შედიოდა, ამჟამად კი ეს თანხა 2 მილიონამდე ლარს შეადგენს. ახალი პროექტით კი საბიუჯეტო შემოსავლები ისევ დაიკლებს.

სადილერო წარმომადგენლობების დახურვა ავტომატურად გამოიწვევს ავტომობილებისათვის ორიგინალური ნაწილების იმპორტის და მომსახურების გაუქმებას, რაც კიდევ უფრო გაართულებს და პრაქტიკულად შეუძლებელს გახდის ქვეყანაში არსებული უცხოური ავტოპარკის კვალიფიციურ მომსახურებას.

საქართველოში იმპორტირებული ავტომობილების ფასი (თუკი სადილერო კომპანიები არსებობას გააგრძელებენ) მინიმუმ 26 პროცენტით გაიზრდება.

გაძნელდება გადასახადებზე კონტროლი, რის გამოც, შესაბამისად გაიზრდება კორუფცია და ე.წ. ჩრდილოვანი გარიგებების წილი.

მოიმატებს ძველი ავტომობილების რაოდენობა, რაც მრავალ ეკოლოგიურ პრობლემას შექმნის და გაიზრდება ავტოსაგზაო უბედური შემთხვევების რიცხვი.

სამუშაოს გარეშე დარჩება კომპანიებში და საავტომობილო ბიზნესში დასაქმებული ათასობით ადამიანი.

"დრაიმლერ კრაისლერის" წარმომადგენლის ლაშა ლომიძის განცხადებით, უდავოა, რომ საგადასახადო კოდექსის ახალი პროექტი მისაღები და მომგებიანია ეკონომიკის რიგი დარგებისათვის, მაგრამ საქართველოში, რომელიც ჯერჯერობით არ წარმოადგენს ავტომწარმოებელ ქვეყანას და ამდენად, არ გააჩნია ადგილობრივი, სამამულო წარმოებისა თუ ბაზრის დაცვის მიზეზი, საგადასახადო კანონმდებლობა ხელს არ უნდა უშლიდეს ავტოიმპორტს. მისივე თქმით, აღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიღების შემთხვევაში, თანაბრად დაზარალდება როგორც ოფიციალური დილერი, ასევე კერძო იმპორტიორი.

მთავარია, რა შედეგს გამოიღებს საავტომობილო ბიზნესისათვის ახალი ტიპის გადასახადის შემოღება. ფინანსთა სამინისტროს მოადგილე ზურაბ ანთელიძე აცხადებს, რომ აქ ძალიან მარტივი და სამართლიანი პრინციპია ჩადებული - ყველა ავტომობილი ღირებულების მიხედვით დაიბეგროს. მისივე თქმით, აღნიშნული ცვლილება ფისკალურ ეფექტს გამოიწვევს. თუმცა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვერ აკონკრეტებს, რა და როგორი დადებითი შედეგი ექნება არსებულთან შედარებით ახალ გადასახადს.

თავისი მოსაზრება აქვთ საკანონმდებლო ხელისუფლებაში. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე ყოვლად მიუღებლად მიიჩნევს ავტომობილების იმპორტისათვის ახალ საგადასახადო კოდექსში დაფიქსირებულ დაბეგვრის რეჟიმს, რომელიც ავტომობილის ღირებულებით განისაზღვრება, რადგან იგი კორუფციული გარიგებებისა და მაქინაციებისათვის კარგ ნიადაგს შექმნის. მისი თქმით, მთავრობის "მატარებელმა ჩაიარა", რადგან მისი მოვალეობა იყო წარმოედგინა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი, რომელიც კანონმდებლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამდენად, მიღებული იქნება ისეთი კოდექსი, როგორიც საჭიროა ქვეყნისათვის.

დეპუტატი ლადო პაპავა აცხადებს, რომ პროექტში განსაზღვრული ავტომობილების დაბეგვრის რეჟიმი ყოვლად დაუსაბუთებელია და პარლამენტი ამ ცვლილებას მხარს არ დაუჭერს.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი აღნიშნულ გადაწყვეტილებას ალოგიკურს უწოდებს და საავტომობილო ბიზნესში დასაქმებული ადამიანების მიმართ მხარდაჭერას აფიქსირებს. მისი განცხადებით, ეს საკითხი უახლოეს დღეებში დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის საკომიტეტო მოსმენაზეც განიხილება.

გუშინ პრესკონფერენციაზე გადამხდელთა კავშირის პოზიცია მისმა აღმასრულებელმა მდივანმა გიორგი ისაკაძემ დააფიქსირა: "გადამხდელთა კავშირი მხარს უჭერს დაბეგვრის ძველი რეჟიმის დაბრუნებას. დაბეგვრის ახალმა რეჟიმმა, შესაძლებელია, ქვეყანაში ავტოპარკი დაასამაროს".

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეფასება, რომელიც პრესკონფერენციაზე ავტომობილების იმპორტიორთა ასოციაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, არის ის, რომ მათი ანალიზი ემყარება არა მხოლოდ ეკონომიკურ პროგნოზს, არამედ არსებულ მწარე გამოცდილებასაც. ახალი რეჟიმის ძირითად ნაკლს წარმოადგენს არა მხოლოდ საგრძნობლად გაზრდილი განაკვეთები, არამედ დაბეგვრის შეცვლილი ობიექტის საინვოისო ღირებულება, რომლით მანიპულირებაც (გადასახადის შემცირების მიზნით) საკმაოდ ადვილია, ხოლო მისი სისწორის დადგენა - რთული. ახლანდელი დაბეგვრის ობიექტით ძრავის მოცულობით მანიპულირება კი, ფაქტობრივად გამორიცხულია. იგი გამორიცხავს კორუპციული გა-

## ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში უკრაინაც დაგვეხმარება

ეთერ მამულაშვილი

*საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში, კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს. თბილისში ვიზიტად მყოფი უკრაინის ფინანსური მონიტორინგის კომიტეტი ქართველ კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს აფორმებს.*



ნოემბერში თბილისში რუსეთის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვიზიტი და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოწერა იგეგმება.

იური ლობოდინის ფოტო

ურთიერთგაგების მემორანდუმს ორი ქვეყნის სამსახურების წარმომადგენლებმა გუშინ ეროვნული ბანკის შენობაში მოაწერეს ხელი. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელის ნიკა გეგუჩაძის თქმით, მემორანდუმი ითვალისწინებს ორი ქვეყნის შესაბამის სამსახურებს შორის ინფორმაციის გაცვლას უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. ამავე მემორანდუმში გათვალისწინებულია ამ სფეროში არსებული გამოცდილების ურთიერთგაზიარებაც. გეგუჩაძის და უკრაინის ფინანსური მონიტორინგის კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილის სტანისლავ კლიუჟკეს განცხადებით, თანამშრომლობა განსაკუთრებით სასარგებლო იქნება კონფლიქტის ზონებში. გეგუჩაძის თქმით, აფხაზეთში არსებული "შავი ფულის" მოძრაობის ერთობლივი მონიტორინგში, უკრაინის გარდა, მალე რუსეთის და თურქეთის ჩართვაც იგეგმება.

უკრაინასთან გაფორმებული მემორანდუმი, ჩეხეთისა და სერბეთის რესპუბლიკების შემდეგ, საქართველოსთვის რიგით მესამეა. გეგუჩაძის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში "ეგმუნტის" ჯგუფის კიდევ ათ სახელმწიფოსთან იგეგმება მსგავს მემორანდუმზე ხელმოწერა. მათ შორის იტალიასთან, ისრაელთან, ხორვატიასთან, უნგრეთთან, მოლდავეთთან და რუსეთთან. ამ უკანასკნელიდან დელეგაციას თბილისში ნოემბრის ბოლოს ელიან.

ხელმოწერის ცერემონიალის დაწყებამდე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი მანაგაძემ განაცხადა: **"მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნებს შორის ამ სფეროში თანამშრომლობას, რადგან მარტო ერთი ქვეყანა აღნიშნული პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლას ეფექტურად ვერ შეძლებს. უკრაინას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის მიღების დროს პრობლემები ჰქონდა, თუმცა მან ეს პრობლემები დაძლია. ჩვენ, უკრაინის გამოცდილების გათვალისწინებით, ბევრ პრობლემას ავიცილებთ."**

აფხაზეთში "შავი ფულის" მიმოქცევის გაკონტროლების მიზნით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან თანამშრომლობას პრიორიტეტს ანიჭებს. გეგუჩაძის თქმით, უკონტროლო ტერიტორიები, მათ შორის, აფხაზეთი, "შავი ფულის" გათეთრებისთვის ყველაზე კარგი ნიადაგია. **"აფხაზეთში ამჟამად ულიცენზიოდ მოქმედებენ ფინანსური დაწესებულებები და სადაზღვევო კომპანიები. იქ შეუძლებელია ნარკოტიკების ვაჭრობის, ადამიანთა გატაცების, იარაღით ვაჭრობის გაკონტროლება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვცდილობთ, ურთიერთობები დავამყაროთ შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან და რუსეთთან"** - აღნიშნა გეგუჩაძემ. მისივე თქმით, ამ მიმართულებით საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური უკვე მუშაობს. რაც შეეხება თურქეთს, როგორც გეგუჩაძემ აღნიშნა, თურქეთთან მოლაპარაკებები უახ-



# საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2004 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული ბრონირებული ავტომანქანის ტვირთამწეობით 10-15 ტ. შესყიდვაზე ქვემოთ მოცემული სპეციფიკაციის შესაბამიად აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| რესურსის დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
|---|---|---|
| ბრონირებული ავტომანქანა- ტვირთამწეობა 10-15ტ. ძარა ბრონირებული სტანდარტით B4+/C4M4 CEN/DIN; ფასეულობის სათავსი არა ბრონირებული დამატებითი აღჭურვილობა: ძარაზე დამატებითი საკეტი მძღოლისათვის; შიდა კავშირი "ძარა-ქუჩა";?A საძილე ადგილი; კონდიციონერი; ავტონომიური გათბობის სისტემა; საწვავის ავზების ბრონირებული დაცვა; Fფასეულობის სათავსი დაცვის განყოფილების გარეშე, შიდა განათებით, ორფრთიანი კარით და შიდა გისოსებით, იატაკზე ეგრეთწოდებული „როლინგის" სისტემა, ტვირთის გიდრავლიკური ამწე; დარტყმის საწინააღმდეგო უკანა ბამპერი; | 1 | ცალი |

2. მიწოდება სასურველია განხორციელდეს ტენდერის დამთავრებისა და ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარულ დღეში. DAF-საქართველოს პირობით. საქონელი, ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს ISO 9001-2001 მოქმედ სტანდარტს.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ან მსოფლიოში აღიარებულ საერთაშორისო ენაზე (რუსული, ინგლისური, გერმანული,) განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში სათანადო რეგისტრაციის გავლით 18.00-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88 იმეილი mimnadze @ gov.ge

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება(ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის(ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

ზ) ბოლო ხუთი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

(უცხო ქვეყნის რეზიდენტმა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს, დოკუმენტების მიღება შესაძლებელია ფაქსით, ელ. ფოსტით ორიგანალის წარმოდგენამდე. ორიგინალი საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო წინადადების გახსნამდე).

5. საქართველოს რეზიდენტებმა მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა წარმოდგინონ ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკავალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ე.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ თანხის გადარიცხვა განხორციელდება სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107. CITIBANK N. A. NEW YORK, USA

SWIFT: CITIUS33
ACC.NO. 36119994(**USD**)
NATIONAL BANK OF GEORGIA,TBILISI
SWIFT;BNLNGE22
ACC. NO 000904742 ("შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლი".
.DEUTSCHE BANK AG, FRANKFURT
SWIFT; DEUTDEFF
ACC. NO. 9498551 **(EUR)**
NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT; BNLNGE22
ACC. NO 000904742 ("შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლი".

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკიში მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5,საფოსტო ინდექსი 380005, ოთახიN124,125 ტელ./ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88, იმეილი mimnadze @ gov.ge

*საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.*

# "სახეზეა სტალინიზმის დაბადება"

ხათუნა ბაბიევი

კვირას, 17 ოქტომბერს ბელორუსმა საბოლოოდ განაცხადა უარი დემოკრატიულ განვითარებაზე, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის 86 პროცენტზე მეტი ნებაყოფლობით თუ ძალდატანებით ალექსანდრ ლუკაშენკოს მმართველობის ვადის გახანგრძლივებაზე დათანხმდა. თუკი აქამდე ბელორუსის კონსტიტუციის თანახმად, ერთ პირს საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წარდგენა მხოლოდ ორჯერ შეეძლო, რეფერენდუმის შედეგად კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების წყალობით, პრეზიდენტობის მოსურნე პირი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ალექსანდრ ლუკაშენკო) არანაირად აღარ იზღუდება ყოველი ვადის ამოწურვისთანავე ხელმეორედ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებისაგან. "ევროპის უკანასკნელ დიქტატორად" მონათლულმა პრეზიდენტმა კონსტიტუციის შეცვლაც არ იკმარა და ძალაუფლების უზურპაციისთვის არც პარლამენტში გააჭაჭანა ოპოზიციიდან ვინმე.

კვირას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ჩატარებული რეფერენდუმის პარალელურად საპარლამენტო არჩევნებიც "შედგა", მართალია, მეორე ტურის დანიშვნა საჭირო გახდა კიდევ ორ ოლქში 31 ოქტომბერს, მაგრამ ეს ოპოზიციონერთა სასარგებლოდ არაფერს შეცვლის. დღეისათვის კი არჩევნები 109 საარჩევნო ოლქში შედგა და 110 დეპუტატიდან არჩეულია 107.

ბელორუსის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის მონაცემებით, ელექტორატის აქტივობა დაახლოებით 90 პროცენტი იყო. ალბათ ზედმეტია, იმის აღნიშვნა, რომ რეფერენდუმი ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დარღვევით ჩატარდა. კონსტიტუცია, რომ უცვლელი დარჩენილიყო 2006 წლისთვის ლუკაშენკო იძულებული იქნებოდა, პრეზიდენტის პოსტი დაეტოვებინა. რეფერენდუმის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებაც ლუკაშენკომ სულ რაღაც ექვსი კვირის წინ მიიღო, თანაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. მოსახლეობის ნების სრული უგულებელყოფა იყო ისიც, რომ კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით ამომრჩეველთა 30 პროცენტმა 5 დღით ადრე დააფიქსირა თავისი ნება. აღნიშნული კანონდარღვევა ძირითადად საავადმყოფოებში, საჯარისო ნაწილებსა და სხვა "დახურულ" საარჩევნო უბნებზე მოხდა და რასაკვირველია, ამ პროცესს არც ერთი დამოუკიდებელი თუ ოპოზიციური დამკვირვებელი არ დასწრებია. ამასთან დაკავშირებით, ოპოზიციური ალიანსის ლიდერმა ვლადიმირ ლებედკომ პრესკონფერენციაზე რეფერენდუმის ფალსიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტებიც წარადგინა, კერძოდ, მინსკის მეოთხე საშუალო სკოლაში გახსნილ საარჩევნო უბანზე მოპოვებული ბიულეტენის ფოტო, რომელზედაც ნათლად



"ევროპის უკანასკნელმა დიქტატორმა" საარჩევნო უბნებზე მისულ ხალხს საჩუქრები და 20-30 პროცენტის ფასდაკლებით პროდუქტები დაურიგა.

ჩანს წინასწარ შემოხაზული "დიახ". ლებედკოს თქმით, ასეთ მზა ბიულეტენებს საარჩევნო კომისიის წევრები არჩევნების წინა დღეს ხმის მისაცემად ხანდაზმული ასაკის ხალხს ურიგებდნენ. თუმცა, კანონდარღვევა მხოლოდ ამით არ ამოწურულა, რადგან კვირას მთელი დღის განმავლობაში არ წყდებოდა მმართველი პარტიის სარეკლამო ვიდეორგოლების ჩვენება, სამაგიეროდ, ტელეეთერი არ დათმობია არც ერთ განსხვავებულ აზრს, ქუჩებში რეფერენდუმის საწინააღმდეგო პლაკატების გაკვრაზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი. რეფერენდუმამდე რამდენიმე კვირით ადრე დაიხურა 9 დამოუკიდებელი გაზეთი. კვირას საარჩევნო უბნებზე არ შეუშვეს ოპოზიციონერი დამკვირვებლები, ხოლო სოციოლოგიური სააგენტოების წარმომადგენლები პირდაპირ კვლევის დროს დააკავეს.

გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის წარმომადგენლის ანატოლი ლებედკოს თქმით, ლუკაშენკოს მმართველობის ათწლეულის მანძილზე, უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნები ყველაზე უსამართლო იყო. რეფერენდუმის პარალელურად მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ლებედკოს ოპოზიციური პარტია სხვა 5 ოპოზიციურ პარტიასთან გაერთიანდა. ოპოზიციური ალიანსის მიზანი საკანონმდებლო ბარიერის გადალახვა იყო, რაც საბოლოო ჯამში, მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ოპოზიციის მიერ წარდგენილ კანდიდატთა ნახევარი ან საერთოდ არ დაუშვეს კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად ან საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მოხსნეს. წინასწარი შედეგებით, ახალ პარლამენტში ვერც ერთი ოპოზიციონერი ვერ მოხვდა.

ეუთო-მ, რომელიც ბელორუსში საპარლამენტო არჩევნების მსვლელობას აკვირდებოდა, უკვე აღნიშნა დემოკრატიული პრინციპების იგნორირების ფაქტები. "ბელორუსის საპარლამენტო არჩევნები არ პასუხობს ეუთო-ს მოთხოვნებს", განაცხადა ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა ტონი ტინსგრაადმა. მოლოდინისამებრ, ეუთო-ს შეფასებისაგან რადიკალურად განსხვავებულია დსთ-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის ვლადიმირ რუშაილოს კომენტარი: "ბელორუსში არჩევნები თავისუფალი, ლეგიტიმური და გამჭვირვალე იყო".

აშკარა ავტორიტარიზმის მიუხედავად, ლებედკოს მიაჩნია, რომ ლუკაშენკოს ხელში კონსოლიდირებული ძალაუფლება ისევ მისთვის აღმოჩნდება საზიანო, რადგან ეს კიდევ უფრო წაახალისებს და გააერთიანებს ქვეყანაში დარჩენილ დემოკრატიულ ძალებს. თუმცა, მომავლისადმი ასეთი ოპტიმისტური დამოკიდებულება, სამწუხაროდ, 10 მილიონიან სახელმწიფოში ცოტას თუ აქვს. ერთ-ერთი რიგითი ამომრჩევლის განცხადებით, "ნებაყოფლობით ლუკაშენკო ძალაუფლებაზე უარს არასოდეს იტყვის. უკვე სახეზეა სტალინიზმის დაბადება".

## ორი სიტყვით

**ყარაჩაი-ჩერქეზეთი.** ყარაჩაი-ჩერქეზეთში მოკლეს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ანსარ ტებუევი. როგორც ჟურნალისტებს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში აცნობეს, უცნობებმა ტებუევის ავტომანქანა გუშინ დილით დაცხრილეს. ტებუევი მიღებული ჭრილობებით გარდაიცვალა. 54 წლის ანსარ ტებუევი ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მთავრობაში სოციალურ ბლოკს კურირებდა, ასევე კოორდინაციას უწევდა ძალოვანი სტრუქტურების მუშაობას. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**ვენესუელა.** მეხანძრეები 20 საათის განმავლობაში ებრძოდნენ ხანძარს, რომელიც ვენესუელის დედაქალაქ კარაკასის ყველაზე მაღალ ცათამბჯენში მძვინვარებდა. როგორც სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივი ძალების წარმომადგენლები იუწყებიან, ამჟამად ცეცხლი ლოკალიზებულია - იქ ალების მხოლოდ რამდენიმე კერაღაა დარჩენილი.

კარაკასის ცენტრში მდებარე 56-სართულიან ცათამბჯენს ცეცხლი 17 ოქტომბრის ღამეს გაუჩნდა. ალების კერა 34-ე სართულზე მდებარეობდა, თუმცა ხანძარი სწრაფად მოედო ზედა სართულებს და სახურავს მიაღწია. ცეცხლის ჩაქრობა მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, რაც მეხანძრეთა დასახმარებლად სამხედროები და სპეციალური ტექნიკით აღჭურვილი ვერტმფრენები მივიდნენ, რომლებიც ტონობით წყალს ასხამდნენ შენობის სახურავს. ხანძრის ჩაქრობისას 40 მეხანძრე დაშავდა. ისინი მხუთავი გაზით მოიწამლნენ. მთლიანად განადგურდა 22 სართული. სპეციალისტთა აზრით, თავად შენობა შეიძლება ნებისმიერ დროს ჩამოინგრეს. ცათამბჯენი ლითონის კონსტრუქციებისგან შედგება, რომელიც მაღალ ტემპერატურის შედეგად ნაწილობრივ გადნა. ხანძრის მიზეზი, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის. როგორც აღმოჩნდა, შენობაში, სადაც მსხვილი კომპანიების ოფისები და სამთავრობო დაწესებულებებია განთავსებული, ცეცხლსაქრობი არ ყოფილა. **24 საათი**

# აზერბაიჯანის რესპუბლიკის მე-13 წლისთავი

*გუშინ აზერბაიჯანის რესპუბლიკა სახელმწიფო სუვერენიტეტის დღეს აღნიშნავდა. ქვეყნის დამოუკიდებლობის 13 წლიან ისტორიაზე და ჩვენი უახლოესი მეზობლის და სტრატეგიული პარტნიორის სამომავლო პერსპექტივებზე საუბრობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში* ***რამიზ ჰასანოვი.***

1918 წლის მაისში, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა - ჩვენი ისტორიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშავი მოვლენაა. პირველად ისლამურ სამყაროში წარმოიშვა დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობის აღიარებული წევრი გახდა. თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე ახალგაზრდა რესპუბლიკამ დემოკრატიული, სუვერენული სახელმწიფოს ყველა ატრიბუტის შეძენა მოასწრო. დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა მთელ რიგ ევროპულ სახელმწიფოებთან, ქვეყნის დამოუკიდებლობა ცნო ვერსალის კონფერენციამ და მისმა ყველა მონაწილემ. შეიქმნა არმია, ორპალატიანი პარლამენტი, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, საკუთარი ვალუტა, სახელმწიფო სიმბოლიკა და მრავალი სხვა, - ეს ყველაფერი, დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობაზე აზერბაიჯანელი ხალხის განხორციელებული ოცნებები იყო, და მართალია, დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ორ წელიწადზე ნაკლები იარსება, მან აზერბაიჯანელი ხალხის მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მეთაურის მამედინ რასულზადეს სიტყვები - "ერთხელ აღმართული ალამი, არასოდეს დაეშვება" - წინასწარმეტყველებად იქცა, რომელიც 70 წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ ახდა: საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად აზერბაიჯანმა კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ახალი, თანამედროვე აზერბაიჯანის მშენებლობის პროცესი იოლი არ ყოფილა. არსებობის პირველივე დღეებიდან, ქვეყანამ რთული დრო გამოიარა. მას საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობად რგებული, მეტწილად ყოფილი საბჭოთა ცენტრის მიერ ხელოვნურად შექმნილი პრობლემებისა და ამოცანების ტვირთი ხვდა წილად. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით, აზერბაიჯანი უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. სომხეთის აგრესია და სამხედრო დაპირისპირება, გარკვეული გადახრები საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, დაძაბულობა საზღვრებზე, ეკონომიკის ვარდნა და სხვა მრავალი, ქვეყანაში უკიდურესად დაძაბულ სიტუაციას ქმნიდა.

ასეთ ურთულეს პირობებში მიღებული იქნა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება -აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი მოსახლეობის მოთხოვნით იქნა მოწვეული ბაქოში და ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში. ეს არჩევანი ყველა მიმართულებით გამართლდა: ქვეყანას სჭირდებოდა პოლიტიკოსისა და დიპლომატის არაჩვეულებრივი ტალანტით, ხალხის ნდობით აღჭურვილი, პატრიოტი, ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ ყველაფრის გამღები ხელმძღვანელი. მის მოსვლასთან ერთად ბოლო მოეღო ყველა ნეგატიურ ტენდენციას, დამყარდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტაბილურობა, აღდგა საზოგადოებრივი წესრიგი, განიარაღებული იქნა უკანონო სამხედრო ფორმირებები, ბოლო მოეღო სეპარატისტულ მისწრაფებებს, შეჩერდა სომხეთის სამხედრო აგრესია. ჰეიდარ ალიევის მეთაურობით ქვეყანამ საერთაშორისო იზოლაცია გაარღვია და მსოფლიო საზოგადოებრიობამდე სიმართლის მიტანა, ნდობის კრედიტის აღდგენა და ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლისთვის გზის გაკვლევა შეძლო. რასაკვირველია, ამ ყველაფრის განსახორციელებლად, პირველ რიგში, ჰეიდარ ალიევის ნებისყოფა, სიმამაცე და გამოცდილება, ასევე აზერბაიჯანელი ხალხის მხარდაჭერა იყო საჭირო. ხალხმა ირწმუნა თავის ლიდერის და მისი ხელმძღვანელობით დიდი გარდაქმნების გზას დაადგა.

დროის მცირე მონაკვეთში ქვეყანაში დამყარდა პოლიტიკური და ეკონომიკურ სტაბილურობა, ალიკვეთა უზომო ინფლაცია, გამყარდა ქვეყნის ეროვნული ვალუტა - მანათი, ბოლო მოეღო ეროვნული სიმდიდრის უკონტროლო გატანა-გაყიდვას, მოწესრიგდა სახელმწიფო ორგანოების მუშაობა, რეორგანიზებული იქნა არმია და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები. ქვეყნის ეკონომიკამ სწრაფი განვითარება დაიწყო, რაზეც მაჩვენებლებიც მეტყველებენ - უკანასკნელი 7 წლის მანძილზე ერთობლივი შიდა პროდუქტი 90 პროცენტით გაიზარდა. განხორციელდა ფართომასშტაბური პრივატიზაციის პროგრამა - მიწა თითქმის მთლიანად გადავიდა გლეხების ხელში და ეს პროცესი კიდევ გრძელდება.

ამავდროულად, აზერბაიჯანმა ნავთობრესურსების მსოფლიო ბაზარზე გასატანად ქმედითი ნაბიჯები გადადგა. 10 წლის წინ, საერთაშორისო იზოლაციის, საგარეო და საშინაო ზეწოლის ურთულეს პირობებში ხელი მოეწერა "საუკუნის კონტრაქტს", რომელიც ჰეიდარ ალიევის ნავთობსტრატეგიის პირველი ფაზა გახდა. "საუკუნის კონტრაქტმა" კარი გაუღო უზარმაზარ უცხოურ ინვესტიციებს და დღეს, აზერბაიჯანი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე უცხოური ინვესტიციების მოცულობით უდავო ლიდერია. ამ კონტრაქტმა საფუძველი დაუდო მსგავსი, სანავთობო და რესპუბლიკის ეკონომიკის სხვა სფეროებში პროექტების რეალიზაციის პროცესს, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ როგორც ქვეყნისთვის, ასევე, მთლიანად რეგიონისთვის. მრავალი სირთულეებით თანმხლები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა, ქვეყნის ხელმძღვანელობის მცდელობის წყალობით დაიწყო და ახლა უკვე დასრულების სტადიაშია. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ინიციატორი და ხორცისშემსხმელი აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი იყო. შემთხვევითი არ არის, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის რეალიზაციაში მონაწილე ნავთობკომპანიებმა ამ ნავთობსადენს ჰეიდარ ალიევის სახელი უწოდეს, რითაც პატივისცემა გამოხატეს ადამიანისადმი, რომლის ოსტატობისა და დაუღალავი ძალისხმევის შედეგი იყო ეს მოვლენა.



აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რამიზ ჰასანოვი.

უკანასკნელი 13 წლის მანძილზე აზერბაიჯანმა ხელოვნურად შექმნილი საერთაშორისო იზოლაციის გარღვევა მოახერხა და მსოფლიო პროცესებში აქტიურად მონაწილე საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაცია დღესაც გრძელდება და სხვადასხვა ძალებისგან მძაფრი წინააღმდეგობაც აშკარაა, აზერბაიჯანმა მიაღწია საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ქვეყნის საზღვრების ურღვევობის აღიარებას და საოკუპაციო ძალების ქმედებების დაგმობას. ამ წლების განმავლობაში აზერბაიჯანი წამყვანი რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი გახდა და ამ ტრიბუნებს ქვეყნის სწორი იმიჯის შექმნის, საკუთარი ინტერესების დაცვის და დემოკრატიის იდეის წინწამოსაწევად იყენებს. ქვეყნის ხელმძღვანელობამ საქვეყნოდ განაცხადა თავის სურვილი, ააშენოს დემოკრატიული სახელმწიფო და ინტეგრაცია მოახდინოს ევროპულ ოჯახში, ამავდროულად, შეინარჩუნოს აზერბაიჯანის თვითმყოფადობა და ტრადიციები.

ქვეყანამ შეიარაღებული ძალების შესაქმნელად უზარმაზარი შრომა გასწია. 1993 წლამდე მდგომარეობა არმიაში ძალიან რთული იყო. დღეს აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები ყველაზე მაღალ სტანდარტებს პასუხობს და მაღალპროფესიონალურ არმიად გადაიქცა, რომელსაც მის წინაშე დაყენებული ამოცანების - ქვეყნის მთლიანობისა და სუვერენიტეტის - დაცვა შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ 1994 წელს სომხეთ-აზერბაიჯანის ფრონტზე მიღწეულ იქნა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკური ნებიდან გამომდინარე, არმიას ნებისმიერ დროს შეუძლია ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება. ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს ნატო-სთან "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამისა და "Best Efforts"-ის პროგრამის ფარგლებში და მზადაა, ითანამშრომლოს ყველა ქვეყანასთან, რომელთა გამოცდილებაც კიდევ უფრო დაეხმარება აზერბაიჯანის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. რესპუბლიკა ანტიტერორისტული კოალიციის მოწინავეთა შორის იმყოფება, აზერბაიჯანის ჯარი სამშვიდობო ფუნქციას ასრულებს ავღანეთსა და ერაყში.

2003 წელს ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა, რომლის შედეგად ხალხმა არჩევანი ახალგაზრდა, ენერგიული პოლიტიკოსისა და ჰეიდარ ალიევის იდეების ჭეშმარიტი გამგრძელებლის, ილხამ ალიევის სასარგებლოდ გააკეთა. სათავეში მოსვლისთანავე ენერგიულად დაიწყო რესპუბლიკის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრა და აზერბაიჯანის საერთაშორისო იმიჯის განმტკიცება. სახელმწიფოს მეთაურის მრავალრიცხოვანი ვიზიტები - ევროპის საბჭოში, ევროკავშირში, ნატო-ში, გაერო-ში, - კიდევ ერთხელ ადასტურებს აზერბაიჯანის სწორ პოლიტიკას, რომელიც თავის მომავალს ევროპულ და მსოფლიო სტრუქტურებში ინტეგრაციაში ხედავს. ეს აზერბაიჯანის სტრატეგიული არჩევანია.

არჩევნებიდან გასულ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკა კიდევ უფრო გაძლიერდა და 2004 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 10 პროცენტი შეადგინა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ წარსულში წარმოშობილი დადებითი ტენდენციები გრძელდება და ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას შედეგი მოაქვს. სხვა საკითხებთან ერთად პრეზიდენტი ალიევი დიდი ყურადღებას უთმობს სოციალ-ეკონომიკური და რეგიონული განვითარების პროგრამების განხორციელებას. კერძოდ, უკვე წინასწარ შედეგს იძლევა რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სფეროში გატარებული ზომები. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი თვეების მანძილზე დაახლოებით 70 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული სოციალური საკითხების გადასაჭრელად. ლტოლვილების და იძულებით გადადგილებული, მძიმე პირობებში მცხოვრებ და სოციალურად დაუცველი პირებისათვის მასშტაბური პროგრამები ხორციელდება. შემუშავებულია და მიმდინარეობს ლტოლვილთა კარვის დასახლებების ლიკვიდაციისა და მათი ახლადაშენებულ სახლებში გადაყვანის სახელმწიფო პროგრამა.

ქვეყნის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომავლისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება. მტკიცდება კავშირები საზღვარგარეთ მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან, მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა აზერბაიჯანული დიასპორის ჩამოსაყალიბებლად.

აქტიურად ვითარდება ურთიერთობა აზერბაიჯანის მეზობელ ქვეყნებთან - რუსეთთან, თურქეთთან, ირანთან და საქართველოსთან. აზერბაიჯანი ყოველთვის იყო რეგიონის ყველა ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობების, საზღვრების ურღვევობისა და ურთიერთსასარგებლო, პარტნიორული ურთიერთობის მომხრე. იმ ქვეყნებს შორის, რომლებთანაც მეტ-ნაკლებად დინამიური ურთიერთობები გვაქვს, საქართველო ერთ-ერთი პირველია.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ორი ხალხის საუკუნოვანმა მეგობრობამ ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის სახე მიიღო. მრავალწლიანმა სტრატეგიულმა პარტნიორობამ რეგიონის განვითარებამდე მიგვიყვანა და ყველა სფეროში გააღრმავა თანამშრომლობა. ორ ქვეყანას შორის ინტეგრაციული პროცესი სხვადასხვა სექტორში მიმდინარეობს: ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკოლოგიურ და სხვა სფეროებში. ნავთობსადენები ბაქო-თბილისი-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზრუმი, ძველი აბრეშუმის გზა - შეგვიძლია ამ სტრატეგიული თანამშორომლობის ნაყოფად მივიჩნიოთ. აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობა უმაღლეს დონეზე წარიმართება. 1995 წლიდან ჩვენი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებში მეგობრობისა და თანამშრომლობის ჯგუფები ამოქმედდა. ერთობლივად შემუშავებულ ხუთწლიან გეგმაში ორივე ქვეყნისთვის მისაღები ზომებია გათვალისწინებული. საკანონმდებლო მოღვაწეობის სფეროში ინფორმაციის გაცვლა, გამოცდილების გაზიარება, რეგიონული მნიშვნლობის საკითხთა ერთობლივი განხილვა და გადაწყვეტა, აზერბაიჯანის მოქალაქე ქართველთა და საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელთა პრობლემების ერთობლივი მოგვარება, მძიმე წუთებში ერთმანეთის დახმარება - მუშაობის მუდმივ ნორმად გადაიქცა. საქართველო და აზერბაიჯანი საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებზე რეგიონის განვითარების მრავალ საკითხთან მიმართებაში გამოდიან ერთიანი პოზიციით. ჩვენი ხალხების მეგობრობა სამუდამო გახადა არ მარტო მეზობლობამ და ურთიერთდახმარებამ, არამედ დიდმა კულტურულმა ერთობამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით, არა მხოლოდ ბედნიერ წუთებში, არამედ უბედურების ჟამსაც. ქართველები და აზერბაიჯანელები ყოველთვის ერთმანეთის მხარში იდგნენ, - სხვა იმპერიის შემადგენლობაში მყოფნი თუ სუვერენული არსებობის პერიოდში. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ჯანსაღი ძაფებით შეკრული სტრატეგიული პარტნიორობა და შედეგიანი თანამშრომლობა მაგალითად გამოადგებათ არ მარტო რეგიონის ხალხებსა და სახელმწიფოებს, არამედ მთელ პლანეტას.

დღეს, როდესაც ორივე სახელმწიფოს სათავეში ახალგაზრდა, დინამიურობით აღსავსე ლიდერები დგანან, რომელთა შორის ურთიერთობები შეგვიძლია შევაფასოთ როგორც არ მარტო ურთიერთსასარგებლო პარტნიორობა, არამედ როგორც პირადი მეგობრობა, ქვეყნების ურთიერთკონტაქტები კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიდა, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს ქვეყნებს, საერთაშორისო არენაზე მათ ავტორიტეტს კიდევ უფრო გაზრდის და რეგიონს მსოფლიო ინტეგრაციული პროცესის ერთ-ერთ წამყვან ძალად გადააქცევს.

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
## აცხადებს კონკურსს
# საეთერო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 362 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის გამოცხადების საფუძვლების - თავისუფალი რესურსის არსებობის და/ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

კომისია აღნიშნავს, რომ, კომისიას განცხადებით მიმართა შპს "პირველმა რადიომ" (26.04.2004 №02) საეთერო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

კანონმდებლობით მაუწყებლებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების, ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების, აგრეთვე, სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, არსებული სიხშირული რესურსის მიზნობრივი და ოპტიმალური გამოყენების, ხარისხიანი მაუწყებლობის მიწოდების წინაპირობების შექმნის მიზნით, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 455 მუხლის, "კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ" დებულების მე-2 მუხლის თანახმად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

**1.** გამოცხადდეს კონკურსი საეთერო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

ა) ექვსი გადამცემის გამოყენებით, მითითებული სამაუწყებლო ზონების მიხედვით:

| | სამაუწყებლო ზონა | ანტენის განთავსების ადგილი | გეოგრაფიული კოორდინატები | ანტენის სიმაღლე მიწის ზედ.მ | სიხშირე, მჰც | სიმძლ. კვტ | მაუწყებლობის სავ. რად. კმ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | ბათუმის ანძა | 41E43; 41N41 | 56 | 106.4 | 0.8 | 40 |
| 2 | 7 | ქუთაისის ანძა | 42E44; 42N16 | 40 | 106.4 | 1 | 45 |
| 3 | 9 | სენაკი | 42E05; 42N17 | 25 | 106.4 | 1 | 40 |
| 4 | 6 | ახალციხის ანძა | 42E57; 41N38 | 35 | 106.4 | 0.5 | 25 |
| 5 | 4 | გორის ანძა | 44E03; 42N02 | 120 | 106.4 | 1 | 45 |
| 6 | 5 | მარნეულის ანძა | 44E48; 41N28 | 40 | 106.4 | 0.5 | 25 |

შენიშვნა:

სამაუწყებლო ზონები განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N 267 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით.

გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 1 000 (ერთი ათასი) მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

**ბ)** სამოქმედო ზონა - ქ. ბათუმი, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედას, შუახევის, ხულოს რაიონები. (სამაუწყებლო ზონა - 2)

მცხეთის, კასპის, გორის, ხაშურის, ქარელის, ცხინვალის, ჯავის, ახალგორის, დუშეთის, ყაზბეგის რაიონები. (სამაუწყებლო ზონა - 4)

ქ.რუსთავი, გარდაბნის, საგარეჯოს, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი-წყაროს, დმანისის რაიონები (სამაუწყებლო ზონა - 5)

ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, ნინოწმინდის, წალკის რაიონები (სამაუწყებლო ზონა - 6)

ქ.ქუთაისი, ხონის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები (სამაუწყებლო ზონა - 7)

ქ.ფოთი, სენაკის, მარტვილის, აბაშის, ხობის რაიონები (სამაუწყებლო ზონა - 9)

**გ)** სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 36,855 (ოცდათექვსმეტი ათას რვაას ორმოცდათხუთმეტი) ლარით;

**დ)** კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2004 წლის 17 დეკემბერი 12:00 საათი;

**ე)** ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს 2004 წლის 12 ნოემბრის 17:00 საათამდე;

**2.** ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისთვის - სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისთვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) ტელერადიომაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

ე) ტელერადიომაუწყებლობის დადგენილი პრიორიტეტების უზრუნველყოფის პირობები;

ვ) სამაუწყებლო ზონის დასახლებული ტერიტორიის მაუწყებლობით მოცვის გრაფიკი და სამაუწყებლო ზონაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადები;

ზ) ტელერადიოპროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები;

**3.** ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის - აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ლიცენზიის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ე) სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ვ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

**4.** კომისია არ მიიღებს წარმოებაში ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, რის თაობაზეც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისათვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება. კონკურსის ჩატარების დროს სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება;

**5.** ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 452 და 362 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) უცხო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და მის წარმომადგენლებს;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და მათ წარმომადგენლებს;

გ) უცხოეთის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებულ პირს, მის წარმომადგენლობებსა და ფილიალებს;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ეკუთვნის ამ პუნქტის "ბ"- "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სუბიექტს.

ე) პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში FM რადიოსამაუწყებლო სიხშირული რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ სამაუწყებლო ზონაში.

**6.** კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ა) ტექნიკური;

ბ) ფინანსური;

გ) პროგრამირების.

**7.** ტექნიკური ასპექტის შეფასებისას კომისია პრიორიტეტს ანიჭებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობას, აგრეთვე მის მიერ მაუწყებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს.

ტექნიკური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 1 ქულა.

**8**. ფინანსური ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტალურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმის თანახმად, მიმდინარე და მომავალში საქმიანობის დაწყებისა და გაფართოების დაფინანსების წყაროების და მოცულობის მიხედვით, შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:

ა) საკუთარი წყაროები (მათ შორის უშუალოდ განხორციელებული საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები);

ბ) სესხები;

გ) სუბსიდიები, გრანტები და სპონსორული დაფინანსება;

დ) საინვესტიციო ვალდებულებები;

ფინანსური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 2 ქულა;

**9.** პროგრამირების ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის კომისიის მიერ დადგენილ ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებთან შესაბამისობის, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ოდენობის, აგრეთვე სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის (მომხმარებლების) მრავალფეროვანი ინტერესების გათვალისწინებით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 3 ქულა.

**10.** კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის "დ", "ე", "ვ", "ზ" ქვეპუნქტით, მე-3 პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით, მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნების ამსახველი მასალები უნდა წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმის სახით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

**11.** გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - ტექნიკური, ფინანსური და პროგრამირების ასპექტების მიხედვით დაგროვილი ქულების მაქსიმალური რაოდენობა.

**12.** კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. კონკურსში მონაწილეობისთვის არ დაიშვება ის პირი, რომელსაც არასრულად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან კონკურსის პირობებს. სხდომის ოქმი, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, მოწმდება კომისიის ბეჭდით.

**13.** თუ კონკურსის ორი ან მეტი მონაწილის ქულების ოდენობა თანაბარია, კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 455 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარის მიერ ხდება სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დაფიქსირება და თანხის იმ მინიმალური ოდენობის გამოცხადება, რომელიც უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას (საკონკურსო ბიჯი), რომელიც შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებულ თანხის ოდენობას.

ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობისა და საკონკურსო ბიჯის ჯამისა.

გ) ყოველი მომდევნო მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირება ხდება წინა მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირების შემდგომ საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა.

დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას დააფიქსირებს გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას.

ე) ყოველი მონაწილის მიერ დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში.

**14.** კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს.

**15**. სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში.

**16**. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში თანაბარწილად ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

**17**. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის პროცესში დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით "საქართველოს საარჩევნო კოდექსი", "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ", "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", "საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ", "მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", "რეკლამის შესახებ" და "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები.

**18.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამაუწყებლო ზონ(ებ)ის სრულად დაფარვა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სამაუწყებლო ქსელის შექმნის ან სხვა პირის ტექნიკური საშუალებების სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გამოყენების გზით.

**19**. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**20**. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ კვირაში ერთხელ კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე.

**21**. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც ტელერადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები.

**22.** გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში;

**23.** საკონკურსო სხდომა საჯაროა. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე (www.gncc.ge) ინტერნეტში;

**კომისიის თავმჯდომარე დ.ქიტოშვილი**

# კანონის უზენაესობა ერთადერთი იარაღი წამების წინააღმდეგ

## საქართველოს ხელისუფლებას უკვე სთხოვენ პასუხს წამების ფაქტზე

სოფიკო ჩხაიძე

*თავისუფლებააღკვეთილი ადამიანის წამება, გარდა იმისა, რომ წმინდა ჰუმანური თვალსაზრისით სრულიად მიუღებელია, კიდევ ერთ უარყოფით დატვირთვას ატარებს. წამების მსხვერპლი შეიძლება გახდეს როგორც უდანაშაულო ადამიანი, რომლისთვისაც დანაშაულის "მიკერებას" ცდილობენ, ასევე დამნაშავე, რომელზე ზემოქმედებაც სამართალდამცველებს შეიძლება დასჭირდეთ მისგან რაიმე ისეთის მისაღებად, რასაც ფიზიკური ზეწოლის გარეშე ვერ ახერხებენ. ეს რაიმე კი, შეიძლება, იყოს ყველაფერი - დაწყებული მატერიალური შემოსავლის მიღების სურვილიდან, ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელი აღიარებითი ჩვენების ჩათვლით. ამ გზით მოპოვებული მტკიცებულება, როგორც არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს, დამაჯერებლობას იმთავითვე მოკლებულია, რაც, ჯერ ერთი, სასამართლოს მიერ ბოროტმოქმედის გათავისუფლების საფუძვლად შეიძლება იქცეს. მეორეც, წამების შესახებ ინფორმაციის გახმაურება ბრალდებულის მიმართ, მისი ვინაობისა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, საზოგადოების სიბრალულს და თანაგრძნობას იწვევს. აქედან გამომდინარე, დასკვნა ერთია - იმის გამო, რომ სამართალდამცველ ორგანოებს არ ძალუძთ ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის დადასტურება ბრალდებულზე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის გარეშე, ისინი, გარდა იმისა, რომ ეჭვქვეშ აყენებენ მისთვის დამსახურებული სასჯელის მისჯის შესაძლებლობას, ხშირ შემთხვევაში სერიოზულ დამნაშავეთა წამებული გმირის გვირგვინით შემოსვას უზრუნველყოფენ.*



*ყველა, ვინც შევარდნაძის დროინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერისა და საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის მქონე სულხან მოლაშვილის საპყრობილეში მონახულება მოახერხა, ერთი და იგივე შთაბეჭდილებით გამოვიდა - ადამიანი, რომელიც მათ საკანში ნახეს, კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს არ ჰგავდა.*

ყველა, ვინც შევარდნაძის დროინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერისა და საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის მქონე სულხან მოლაშვილის საპყრობილეში მონახულება მოახერხა, ერთი და იგივე შთაბეჭდილებით გამოვიდა - ადამიანი, რომელიც მათ საკანში ნახეს, კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს არ ჰგავდა. უზომოდ გამხდარი, წვერმოშვებული, ფეხებზე, ხელებსა და ზურგზე მრავალი და საკმაოდ სერიოზული დაზიანების მქონე სულხან მოლაშვილი უმალ გახდა საქართველოს ხელისუფლებისთვის, უფრო კონკრეტულად, სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელებისთვის, უშუალოდ კი თბილისის ან უკვე ყოფილი პროკურორის ვალერი გრიგალაშვილისთვის ბრალდებების წაყენების მიზეზი.

თავად გრიგალაშვილმა მოლაშვილის წამება კატეგორიულად უარყო და ბრალდებებზე პასუხის გაცემა იმ გამოძიებას მიანდო, რომელიც მისივე ქვემდებარე უწყებაში აღძრული სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე დაიწყო. მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა: თავად ვალერი გრიგალაშვილი დედაქალაქის პროკურორის თანამდებობიდან უფრო მაღალ პოსტზე გადაანაცვლეს; ამ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, მისი დაწყებიდან სამი თვის თავზე კი, ჯერჯერობით, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა იმ ექიმს, რომელმაც მოლაშვილის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებები დოკუმენტურად არ დააფიქსირა და არა მას, ვინც ეს დაზიანებები მიაყენა.

თუ მოლაშვილის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებების წარმომავლობის ეჭვქვეშ დაყენება კიდევ შესაძლებელია, ძნელია რამე მოუხერხო იმ ფაქტებს, რომელთა შესახებაც არასამთავრობო ორგანიზაციები იმთავითვე საუბრობდნენ და რომლებიც, საერთაშორისო კონვენციების თანახმად, ისევე ითვლება წამებად და პატიმარზე ზემოქმედების მოხდენის საშუალებად, როგორც მისი ელექტროშოკზე მიერთება. მიუხედავად ამისა, ვერ ვიხსენებთ, რომ შესაბამის ორგანოებს ვინმე დაესაჯათ იმისათვის, რომ ბრალდებულ მოლაშვილს საკანში არც სკამი ჰქონდა და არც დენი.

დღესდღეობით სულხან მოლაშვილის ადვოკატები ევროსასამართლოში სარჩელის შესატანად ემზადებიან, მაგრამ მანამდე საქართველოს პრეზიდენტის სახელზე წერილი მოვიდა პატიმართა წამების წინააღმდეგ მებრძოლი ყველაზე სერიოზული და მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებიდან, სახელწოდებით "მსოფლიოს ორგანიზაციები წამების წინააღმდეგ"(OMCT). როგორც ირკვევა, გაერთიანების საერთაშორისო სამდივნოს სულხან მოლაშვილის წამების შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთმა წევრმა ორგანიზაციამ მიაწოდა.

წერილში ნათქვამია, რომ მოლაშვილი, სიკვდილის შიშით, კარგა ხანი არ ახმაურებდა იმას, რომ აწამეს; რომ გამოძიება ვერ ადასტურებს მის პირდაპირ კავშირს დანაშაულთან, რომელსაც ედავება და მიუხედავად ამისა, მისგან სადავო თანხის გადახდას ითხოვს; რომ მოლაშვილი აიძულეს, თავისად გამოეცხადებინა აგარაკი, რომელიც სინამდვილეში მას არ ეკუთვნოდა და შემდეგ ეს აგარაკი სახელმწიფოსთვის გადააცემინეს და ა.შ. ყოველივე აქედან გამომდინარე კი, არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს:

**"ორგანიზაცია გამოხატავს ღრმა შეშფოთებას მოლაშვილის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის გამო და, თუ მის მიმართ არ არსებობს საერთაშორისო სამართლითა და სტანდარტებით დადგენილი კანონიერი ბრალდებები, მოითხოვს მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. ხოლო თუ ასეთი ბრალდებები არსებობს, გამოიტანონ ისინი მიუკერძოებელი და კომპეტენტური სასამართლოს წინაშე და უზრუნველყონ მისი პროცესუალური უფლებების დაცვა. ორგანიზაცია მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისგან, დაგვარწმუნოს, რომ პატიმრის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებების გამო გამოძიება სრულყოფილი და მიუკერძოებელია, რათა მას, ვინც პასუხისმგებელია ამაზე, დაეკისროს კანონით გათვალისწინებული სასჯელი ან ადმინისტრაციული ჯარიმა და უზრუნველყოს, რომ ადეკვატური კომპენსაცია გადახდილ იყოს მსხვერპლისთვის".**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებას უკვე აქვს ევროსტრუქტურებისაგან, მავანი ჩინოვნიკის დანაშაულის გამო, პასუხისმგებლობის დაკისრების გამოცდილება, მოლაშვილთან მიმართებაში ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს.

სამაგიეროდ, აქტიურად მოქმედებს მოლაშვილის დაცვის მხარე. **"სულხან მოლაშვილი რომ ნაწამებია, ამაში ეჭვი უკვე აღარავის შეაქვს. მეტი სამართლებრივი ბერკეტი ამის დასადგენად აღარ არსებობს, რადგანაც უკვე სამი ექსპერტიზა ჩატარდა. პირველი ექსპერტიზა იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრმა ჩაატარა, მეორე ალტერნატიულმა ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა, მესამე კი კომისიური ექსპერტიზა ჩატარდა. სამივე ექსპერტიზის პასუხები იდენტურია - მოლაშვილს სხეულზე წამების კვალი აღენიშნება. ჩვენ მზად გვაქვს ევროსასამართლოში გასაგზავნი სარჩელი და უკვე ვთარგმნეთ მთელი საჭირო დოკუმენტაცია. ეს ყველაფერი რამდენიმე დღეში გადაიგზავნება სტრასბურგში. ცხადია, ჩვენ არ გვაქვს იმედი, რომ ყოველივე ზემოთქმული გავლენას მოახდენს მოლაშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამოძიებასა და სასამართლო პროცესზე. მაგრამ მისი წამება სულ სხვა საქმე გახლავთ, რომლის გამოც ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგ-**

### კომენტარი

**სოსო თოფურიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე:**

"ცხადია, პირველი ინსტანცია, ვინც შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები უნდა მოიკვლიოს, გენერალური ინსპექციაა. შესაბამისად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტიც ინფორმაციას საპყრობილეში დაზიანებებით შესული პატიმრების შესახებ ჩვენს სამსახურს სრულად აწვდიდა და გენერალური ინსპექციაც ყველა ფაქტზე ატარებდა მოკვლევას. თუმცა, როგორც იცით, ჩვენ გამოძიების ჩატარების, შესაბამისად, დაპირისპირებისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლება არ გვაქვს. ამიტომ, გენერალური ინსპექცია შემოიფარგლებოდა პატიმრისა და მის მიერ დასახელებული მოძალადე პოლიციელისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევით. საქმე კი იმით სრულდებოდა, რომ პატიმარი ამბობდა, მცემა ან მაწამაო, პოლიციელი კი ყველაფერს უარყოფდა, საბოლოოდ კი მოკვლევის მასალები პროკურატურას გადაეცემოდა. ამიტომ გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის გადაწყვეტილებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მონაცემებს ჩვენ აღარ გვიგზავნის, პირდაპირ პროკურატურას აწვდის. ამის გამო ახლახანს გვქონდა საუბარი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან და მათ გენერალურ პროკურატურასთან საქმის მოგავარება გვირჩიეს. როგორც კი ამას მოვაგვარებეთ, სრული ინფორმაცია გვექნება დაკავებულებზე ფიზიკური ზეწოლის შესახებ. ახლა კი, შეიძლება ითქვას, ჩვენი რეაგირება ამ თვალსაზრისით, ადეკვატურიც არ არის".

**რამაზ ჟღენტი, პროკურატურაში სისხლის სამართლის დევნაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი:**

"მარტო მიმდინარე წელს 21 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული პოლიციელების მიერ დაკავებულის წამების გამო. საქმეები აღძრულია დუშეთის, დიდუბე-ჩუღურეთის, მთაწმინდა-კრწანისის, ქუთაისის და სხვა პროკურატურებში. ძალზე მძიმე სიტუაციაა ამ თვალსაზრისით სამეგრელო-ზემო სვანეთში.

გენერალურ პროკურორს საქმე ასე აქვს დაყენებული: ცემა-წამების ნებისმიერი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, პატიმრობაში აყავთ პოლიციის მუშაკი და მათ თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში წაუყენებენ ბრალს. შესაბამისად, ვის მიმართაც კი გამოკვეთილია დანაშაულის შემადგენლობა, ყველას მიმართ გამოიყენება აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა. მასალები, რომელთა გამოც საქმეები აღძრულია, ან პოლიციიდანაა შემოსული, ან პროკურატურას თავისი ინიციატივით აქვს მოკვლევა ჩატარებული.

წინა წლებში მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით, პოლიციელები რაღაც-რაღაც მეთოდებით იძვრენდნენ ხოლმე თავს და პასუხისმგებლობას თავიდან იცილებდნენ. იყო მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, როცა პოლიციელი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ახლა სულ სხვაგვარად არის საკითხი დაყენებული. კი, ბატონო, პროკურატურის ფუნქციებში ყოველთვის შედიოდა დაკავებულთა და პატიმართა მიმართ ძალადობის გამოყენებაზე რეაგირება, მაგრამ, როცა საქმე ეხება სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლის დასჯას პატიმარზე ფიზიკური ზეწოლის გამო, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს გენერალური პროკურორის მკაცრ ხელს. მაგალითად, ადრე ასე ხდებოდა: წამების შედეგად დაზარალებული საბოლოოდ თავადვე ამბობდა უარს თავის ჩვენებაზე. ასეთ დროს გააჩნია, გამომძიებელი როგორი პრინციპულობით მიუდგება საქმეს. ახლა დამოკიდებულება სულ სხვაა. სულ ცოტა ხნის წინათ გენერალურმა პროკურორმა მოისმინა ყველა საქმე, რომელიც კი ამ კუთხით არის აღძრული და მისი პოზიცია ძალზე მკაცრი გახლდათ. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ვიღაცამ, არასამთავრობო ორგანიზაცია იქნება ეს თუ ვინმე სხვა, რაიმე ფაქტი მოგვაწოდა და ჩვენ რეაგირება არ მოვახდინეთ, დამაჯერებლად არ ჟღერს. არათუ მხოლოდ რეაგირება, პირდაპირი მითითება გვაქვს, რომ ყველა პოლიციელი, ვისაც კი დაკავებულის ცემა-წამება დაბრალდება, იზოლირებული იყოს საზოგადოებისგან და ამ მითითებას კიდეც ვასრულებთ".

# ჩივიან მხოლოდ ეჭვმიტანილები

## სასამართლოში ცემა-წამების თაობაზე გამოძიებული საქმეები არ შედის

*საქართველოში დაკავებულთა ცემა-წამების ფაქტები კვლავ მრავლადაა, მაგრამ, თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი გოგიაშვილის განცხადებით, ბოლო პერიოდში სასამართლოში არ შესულა არც ერთი ამ კატეგორიის საქმე.*

ინგა ალავიძე

**- ბატონო გიორგი, როგორია საოლქო სასამართლოს სტატისტიკა, ირღვევა თუ არა ადამიანის უფლებები წინასწარი დაკავების იზოლატორში, აქვს თუ არა კვლავინდებურად მათ ცემა-წამებას ადგილი?**

- ამ საკითხთან დაკავშირებით ცოტა ხნის წინ მოგვმართეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მოითხოვეს სტატისტიკური მონაცემები. საოლქო სასამართლოს მრავლად აქვს გამოტანილი კერძო განჩინებები იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმარი იყო ნაცემი, ნაწამები, აღენიშნებოდა სხეულზე დაზიანებები. საოლქო სასამართლომ კერძო განჩინებები რეაგირებისთვის გადაუგზავნა პროკურატურას, რათა ეწარმოებინათ მოკვლევა და დაედგინათ, თუ რა პირობებში მოხდა პატიმართა დაზიანება. შემიძლია თქმა, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი მრავლად ჰქონდა.

**- უმეტეს შემთხვევაში სასამართლო არ ითვალისწინებს განსასჯელის ჩვენებას, რომ გამოძიებამ აღიარებითი ჩვენებები მისგან მოიპოვა წამების გზით - რა კომენტარს გაუკეთებდით ასეთ პრეტენზიას.**

- გეთანხმებით, ეს საკითხიც კვლავინდებურად პრობლემად რჩება, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ეს ფაქტორი ხელოვნურად გამოიყენება, თითქმის ყველა განსასჯელი აცხადებს იმას, რომ ის აწამეს წინასწარი გამოძიების პროცესში. ამიტომ სასამართლო დგება პრობლემის წინაშე - უნდა დაასკვნას, რამდენად რელაურია განსასჯელის განცხადება. თუ მოიპოვება საქმეში ექსპერტიზის დასკვნა, რომ დაკავებულის სხეულზე დაზიანებები აღინიშნებოდა, მაშინ სასამართლო იძულებული გახდება, აღიაროს განსასჯელის წამების ფაქტი. სხვა შემთხვევაში, როცა არ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, ძნელია განსასჯელის ზეპირი განცხადება მიიღო.

**- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, სტატისტიკა მართლაც შემაშფოთებელია, მიუხედავად იმისა, რომ ის არასრულია. თბილისის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანი დაკავებულთა ცემა-წამების მხრივ ლიდერობს. თქვენთან თუ გაიზარდა სამართალდამცველთა მიერ დაზარალებული მოქალაქეების საჩივრები?**

- მოქალაქეების საჩივრები მართლაც შესამჩნევია. აცხადებენ, რომ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეწოლას, მაგრამ ამ ფაქტების ირგვლივ ჩატარებული გამოძიების მასალები, საქმეები, რომელიც საფუძველზეც კონკრეტული პირები მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, სასამართლოში არ შემოდის. არადა, ეს უმნიშვნელოვანესი პროცედურაა. მით უმეტეს, რომ ევროპის სასამართლო სახელმწიფოს ავალებს, არ დაუშვას წამების ფაქტები, არაადამიანური მოპყრობა. მსგავს შემთხვევებზე დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს გამოძიება და არ უნდა მოხდეს მათი მიჩქმალვა. დამოუკიდებელმა სასამართლომ კი გამოძიების მასალებს ობიექტური შეფასება უნდა მისცეს. სამწუხაროდ, როგორც გითხარით, ადამიანის ცემა-წამების ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიებული საქმეები სასამართლოში არ შემოდის. არ ყოფილა შემთხვევა, განსახილველად შემოსულიყო საქმე იზოლატორში მომუშავე პირების მიმართ, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან მსგავსი დანაშაულის ჩადენაში.

დაკავებულის მიმართ არაადამიანური მოპყრობა რეალური პრობლემაა. არადა, ადამიანის უფლებებზე, სიცოცხლის უფლებებზე, ყველა სხვა უფლებებია დაშენებული და წამება ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დარღვევაა. ამას ამბობს ევროპის ქარტია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; გაერო-მ სპეციალურად მიიღო ადამიანის წამების წინააღმდეგ კონვენცია, ანუ არსებობს ნორმატიული, სამართლებრივი ბაზა, მაგრამ რამდენად ხორციელდება ის სამართალწარმოებაში, სხვა საქმეა. ეს საკითხი მით უმეტეს აქტუალურია საქართველოსთვის, სადაც სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლებს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისკენ მიდრეკილება ყოველთვის ჰქონდათ.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი ....................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ....................

საკონტაქტო ტელეფონი ....................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

# შიში?!

**უკვე მესამე წელია, თბილისის სკოლების მერვე კლასებში ისწავლება საგანი "კანონიერების კულტურა". ეს საგანი ასწავლის მოსწავლეებს, რომ კანონი უზენაესია, კორუფცია კი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა და მოქალაქის უფლება - მოვალეობაა პირველის დაცვა და მეორის საწინააღმდეგოდ მოქმედება. მოკლედ კი "კანონიერების კულტურამ" მოზარდთა მოქალაქეებად ჩამოყალიბების პროცესს უნდა შეუწყოს ხელი.**

**"24 საათში", გვერდში "წერილები მთავრობას", ქვეყნდება მოსწავლეთა წერილები. ისინი, ვინც ხედავს ზოგად თუ ლოკალურ პრობლემებს, სწერენ ამის შესახებ მათ, ვისაც ამ პრობლემის მოგვარება ეხება. აღმასრულებლებიც პასუხობენ ან არ პასუხობენ მათ და შესაძლებლობის შესაბამისად აგვარებენ ან ვერ აგვარებენ პრობლემას.**

**ორი წლის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ხშირად ხდება, როცა მოსწავლეს უნდა, თქვას, დაწეროს, მაგრამ თავს იკავებს: შიშის გამო, რომ არ დაისაჯოს თვითონ ან მისი ახლობელი; უიმედობით, რა მნიშვნელობა აქვს, ასე იყო და ასე იქნებაო; ან, ეს ხომ ჩაშვებაა, ფიქრობს მოზარდთა ერთი ნაწილი.**

**დღეს გთავაზობთ ორი მოქალაქის -მოზარდ ანა ჩაგუნავასა და ზრდასრულ ნოდარ ლადარიას საუბარს: რა არის შიში, გვიშლის თუ არა ხელს ის თავისუფალ არჩევანში და უნდა ჩავიქნიოთ ხელი თუ არა.**

**ეს საუბარი გასულ წელს შედგა, მაგრამ ერთი მოსწავლის წერილმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ პრობლემა, რომელიც ამ წერილშია დასმული, აქტუალურია.**

**დიდუბის რაიონში მცხოვრები მეათეკლასელი მოსწავლის ანა ტაბატაძის წერილიდან:**

**"რამდენჯერმე, თქვენი გვერდის (აღარ მინდა ვთქვა, რომ ეს ჩვენი გვერდია ა.ტ.) საშუალებით, მინდოდა დიდუბის გამგეობას ან დიდუბის მაჟორიტარი დეპუტატისთვის ხმა მიმეწვდინა, მაგრამ ამაოდ. ელიავას ქუჩა ისეთივე აოხრებულია და ძაღლების ხროვა ადამიანებს ისევ აშინებს.**

**ამას წინათ დიდუბის გამგებელიაო, მითხრეს პლაკატებზე რომ კაცი იყო იმაზე და მას, თურმე, უნდა, რომ პარლამენტში მოხვდეს დიდუბის მაჟორიტარ დეპუტატად. მე რომ დღეს არჩევანის გაკეთების უფლება მქონდეს, ალბათ, ვეტყოდი ამ კაცს: გამგებლობით რა გაუკეთე დიდუბეს-მეთქი? საერთოდ კი, მითხარით, აზრი აქვს თქმას ან წერას?"**

**მიზეზი არსებობს და ვფიქრობ, საკმაოდ სერიოზული იმისთვის, რომ გაზეთის გვერდის შინაარსობრივი და ვიზუალური სტანდარტი კიდევ ერთხელ დაირღვეს. გთავაზობთ ერთი წლის წინანდელ საუბარს. მაშინ, შარშან, ერთ-ერთი სკოლის მეცხრეკლასელებს შევხვდი - ეს კლასი იმ თექვსმეტთაგანია, რომლებმაც გაიარეს საგანი "კანონიერების კულტურა" და პროექტში მონაწილეობენ.**

**საინტერესო და ორმხრივად აქტიური საუბრის შემდეგ ისინი საგაზეთო წერილების დაწერას შემპირდნენ, რაც, გარკვეულად, მათი მოვალეობაც არის, როგორც პროექტის მონაწილეებისა და სურვილიც უნდა იყოს, როგორც სამოქალაქო განათლების საფუძვლებს ნაზიარები მოზარდებისა. წერილები არ გამოჩნდა და, როგორც მასწავლებელმა მითხრა, მოსწავლეებს უთქვამთ: "რა აზრი აქვს თქმას, მაინც არაფერი შეიცვლებაო" (!!!).**

**მაშინ მე ვთხოვე ჩვენი გაზეთის ომბუდსმენს, ნოდარ ლადარიას, დამხმარებოდა და ამ მოსწავლეებთან გვესაუბრა იმაზე, აქვს თუ არა აზრი მოქალაქისგან შემჩნევას, თქმას და არჩევანის გაკეთებას. კლასიდან რამდენიმე, ჩვენი შეხვედრის დროს ყველაზე აქტიური მოსწავლე მოვიწვიე, მაგრამ ისინი არ მოვიდნენ - უფრო კონკრეტულად კი, არ მოვიდა ხუთი ვაჟი და მოვიდა ერთადერთი ანა ჩაგუნავა. საუბარი შედგა და ვფიქრობ, გაზეთის საშუალებით ანას თანაკლასელები და თანატოლები დაფიქრდებიან იმ პრობლემაზე, რასაც სამოქალაქო ნიჰილიზმი ჰქვია და რაც იმ სიღრმეზე ჩადის, რომ საზოგადოებისთვის არა იმდენად აწმყოში, რამდენად სამომავლოდაც სავალალო ხდება. მაშ ასე, საუბრობენ "24 საათის" პრესომბუდსმენი ნოდარ ლადარია და 43-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ანა ჩაგუნავა.**

ნ.ლ. - ანა, რატომ ამბობს ადამიანი უარს სიმართლის თქმაზე? შიშის გამო ხომ არა?

ა.ჩ. - შიში? არა მგონია.

ნ.ლ. - შენ დაგიწერია რამე ამ გვერდისთვის?

ა.ჩ. - არა, ჯერ არა, მაგრამ შიშის გამო კი არა.

ნ.ლ. - ანა, როგორ ფიქრობ, როცა ადამიანი სიმართლის თქმას გაურბის, მაინც არის თუ არა ეს შიში?

ა.ჩ. - გააჩნია, რას ეხება და რამდენად სერიოზულია ის, რასაც ეხება.

ნ.ლ. - შიში - იმ შემთხვევაში, თუ შეიძლება ვინმემ შური იძიოს, მაგრამ მეორე მომენტია - სასოწარკვეთილება - მე რატომ გავაკეთო, მაინც არაფერი არ შეიცვლება, მაგრამ მე მაინტერესებს, გკითხო: მერე რა, არაფერი შეიცვალოს. აი, მე ვწერ გაზეთში, ვიცი, რომ ამით არაფერი შეიცვლება, მაგრამ ვწერ - მე მინდა, მართალი ვიყო საკუთარ თავთან. აი, ვინც იბრძვის რაღაც სიმართლისთვის, იმისთვის მართლა მნიშვნელოვანია, ის გაიმარჯვებს თუ არა? ან უნდა იყოს მნიშვნელოვანი?

ა.ჩ. - ჩემი აზრით, უნდა იყოს. თუ ის ენერგიას ხარჯავს, იბრძვის, რა თქმა უნდა, შედეგიც აინტერესებს, მნიშვნელოვანია.

ნ.ლ. - მართალი ხარ, ამით ის კმაყოფილებას მიიღებს. მაგრამ, აი, როგორ გითხრა, არსებობს საკმარისი პირობები და არსებობს შესაძლებელი - გამარჯვება აუცილებელია ბრძოლისთვის?

ა.ჩ. - ხანდახან...

ნ.ლ. - ამ შემთხვევაში?

ა.ჩ. - ამ შემთხვევაში აუცილებელია - მე მინდა შედეგი ჰქონდეს ჩემს მოქმედებას.

ნ.ლ. - აი, ვთქვათ, მასწავლებელი არის კორუმპირებული და ჩვენ ეს ვთქვით, მაგრამ არაფერი შეიცვალა. გამოდის, რომ ჩვენ დავიჩაგრეთ ამის გამო? გამოდის, რომ აღარ უნდა ვთქვათ, თუ ტაქტიკა უნდა შევცვალოთ?...

ა.ჩ. - გააჩნია ადამიანს. შეიძლება, ერთს ბრძოლა გაეგრძელებინა, მეორე შეწყვეტდა. უმრავლესობა, ალბათ, შეწყვეტდა. ალბათ, არა აქვთ რწმენა, რომ რამე შეიცვლება.

ნ.ლ. - და უნდათ კი, რომ შეიცვალოს?

ა.ჩ. - უნდათ, ყველას უნდა.

ნ.ლ. - წარმოვიდგინოთ, რომ შენს კლასში ვიღაც ხმას იმაღლებს. შენი აზრით, რატომ აკეთებს ამას? რა საფუძველი აქვს ამისთვის. აი, მაგალითად, არიან ადამიანები, რომლებიც არჩევენ მოიტანონ საჩუქარი და ისე გააკეთებინონ საქმე. მეორე ტიპის ადამიანები წყნარად არიან და არ არევიან არაფერში. არიან მესამე ტიპისა, რომლებიც აქტიურობენ და ამბობენ. შენი აზრით, ამათგან რომელია კარგი, ცუდი, მართალი და ვინ რატომ აკეთებს ასეთ არჩევანს?



# წერილები მთავრობას

ა.ჩ. - კლასში?

ნ.ლ. - ჰო, კლასში. კლასი ხომ იგივე საზოგადოებაა, პატარა საქართველოა, სადაც ყველას აქვს თავისი არჩევანი. ვინც ცდილობს, შეეწინააღმდეგოს რაღაცას, არ გიფიქრია მის საქციელზე, კარგია თუ ცუდია, ის სამართლიანია სხვებზე თუ რატომ, ხომ შეიძლება, მისი ბრძოლა ამაო იყოს, შედეგს წინასწარ ვერ განსაზღვრავ...

ა.ჩ. - ბევრი არ არის ეგეთი, ვინც ხმას აიმაღლებს.

ნ.ლ. - ე.ი. მათ საფრთხე ელოდებათ და იმიტომ არიან ცოტანი?

ა.ჩ. - ალბათ.

ნ.ლ. - ვისი მხრიდან ელოდებათ საფრთხე, მასწავლებლის მხრიდან? შეიძლება, თქვენი მხრიდან? რომელია უფრო საშიში?

ა.ჩ. - ჩვენ მისი თანაკლასელები ვართ და მას გავუგებთ. მით უმეტეს, რომ ის, შეიძლება, ჩვენს სათქმელს ამბობდეს. რა მაგალითიც თქვენ მოიყვანეთ, ამ შემთხვევაში გამოდის, რომ საფრთხე მასწავლებლის მხრიდან ემუქრება.

ნ.ლ. - ხომ შეიძლება, მან იმ მოქმედებით მთელი კლასი დააზიანოს?

ა.ჩ. - როგორ, ვერ ვხვდები

ნ.ლ. - კარგი, ვთქვათ კლასში რაღაც ძალადობასთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, შენს კლასს არ ვგულისხმობ, მაგრამ ვიცი ფაქტები, როცა კლასელები ძალით უმკლავდებიან თანაკლასელებს, აი, ვინც მათი სარწმუნოების არ არის, ანუ ვინც მათნაირი არ არის, რაღაც ნიშნით გამორჩეულია, ასეთი შემთხვევები არის. რატომ ხდება ასე?

ა.ჩ. - რატომ ხდება, არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა. ისე, მე ვთვლი, რომ ჩემი მართლმადიდებლური რწმენა სხვას თავს არ უნდა მოვახვიო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემთვის უზენაესია და, როცა მცემენ ჩემი სხვანაირობისთვის, ეს არასწორია. მაგრამ რატომ ხდება, არ ვიცი.

ნ.ლ. - ერთი შეკითხვა მაქვს. ალბათ, ეს თემას არ ეხება, მაგრამ მაინტერესებს, გოგოებს შორის კლასში არის ძალადობა, დაჩაგვრა. ცემას არ ვგულისხმობ, დათრგუნვის სხვა საშუალებები.

ა.ჩ. - ცემა ნამდვილად არ არის და ისედაც ვერ წარმომიდგენია, რა უნდა იყოს გოგოებს შორის საძალადო? არ ვიცი. ჩემი აზრით, გოგოებს შორის წვრილმანი მიზეზები არსებობს და, დროსთან ერთად გაივლის და აღარ გვემახსოვრება.

ნ.ლ. - ადამიანს, რომელსაც კლასში აქტიური პოზიცია უკავია, როგორ უყურებენ თანაკლასელები? ჩემს დროში კლასში არასწორად იყენებდნენ სიტყვა "ინტრიგანს" და, თუმცა ის სხვა რამეს ნიშნავს, ეძახდნენ მას, ვინც ხმამაღლა აცხადებდა იმას, რასაც სხვები ურიგდებოდნენ. თქვენი თაობა ესალმება თუ არა ცხოვრებისადმი აქტიურ პოზიციას, როგორ აფასებს ამას: ეს კარგია, ცუდია, თუ თქვენში სხვა კანონებიც არსებობს?

ა.ჩ. - თუ შეიძლება, უფრო რომ მივხვდე, რას მეკითხებით?

ნ.ლ. - აი, მაგალითად, უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე ვარ და მესმის ასეთი დიალოგი: ვიღაცეები ფულითაც აბარებენ. პასუხი: ღმერთმა ხელი მოუმართოს იმასაც და მეც. გასაგებია, ხომ?! შესაბამისად, თქვენ როგორ უყურებთ ადამიანს, რომელიც დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს, წინააღმდეგობას უწევს იმას, რასაც სხვები იღებენ. მას ცხოვრების შეცვლა უნდა. რას ფიქრობთ, რომ ის სულელია, რომ ის ხელს გიშლით მშვიდობიანად ცხოვრებაში? მაგალითად, იტალიის უმაღლეს სასწავლებლებში კორუფცია არის, მაგრამ ამას სტუდენტთა მცირე ნაწილი ვერ ურიგდება, დანარჩენები წინააღმდეგობას არ უწევენ, ხელს აძლევთ კიდეც. შენს კლასში რომ ვინმემ ხმა აიმაღლოს, თანაკლასელებისგან წინააღმდეგობას წააწყდება თუ თანადგომას?

ა.ჩ. - მე გვერდით დავუდგები ადამიანს, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ გამოვა.

ნ.ლ. - კარგი. როგორ გესმის, რა არის კორუფცია? ცხოვრებაში წაწყდომიხარ ამის ფაქტს, ან უამბია ვინმეს?

ა.ჩ. - ყველაზე იოლად, როგორც შემიძლია ავხსნა... კორუფცია ეს არის ქრთამის გადახდა რაღაცის შემძლე ადამიანისთვის, რომ მისი გული მოიგო და საქმე გააკეთო.

ნ.ლ. - დაახლოებით იგივეა, რომ ამბობენ "ხელი ხელს ბანსო", ხომ? მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ხშირად ვაკეთებთ სიკეთეს, რაც გვინაზღაურდება, სანაცვლოდაც გვიკეთებენ სიკეთეს. შენ მე დაბადების დღეზე საჩუქარი მომიტანე, მერე მეც მოგიტანე რაღაც. ეს არ არის კორუფცია. როგორ ფიქრობ, საჩუქარი კორუფციად როდის იქცევა? დახმარება, ან საჩუქრის მიცემა ყოველთვის კორუფცია ხომ არ არის?

ა.ჩ. - კორუფცია ის არის, რომ შენ აძლევ მას იმიტომ, რომ მან ის გაგიკეთოს, რაც მას შეუძლია და რაც შენ გჭირდება. ეს სიკეთე არ არის. როცა საჩუქარს ჩუქნი, სანაცვლოზე არ ფიქრობ, ეს უანგარობაა. კორუფცია ანგარებაა.

ნ.ლ. - მე არ გეუბნები, რომ შენ ასეთი რამე გინახავს, მაგრამ წარმოიდგინე, რომ მასწავლებელს ნიშნის დასაწერად საჩუქარს აძლევენ. ამ შემთხვევაში ბოროტება სად არის?

ა.ჩ. - რომ არ გეკუთვნის და გიწერენ, საჩუქრის ხათრით.

ნ.ლ. - გეთანხმები, მაგრამ წარმოიდგინე რომ გეკუთვნის...

ა.ჩ. - და მაინც საჩუქარს აძლევ? როცა გეკუთვნის ნიშანს ვინ არ დაგიწერს?!

ნ.ლ. - მესმის, ვერ წარმოგიდგენია, მაგრამ მე წარმომიდგენია. ვთქვათ, ეს პირადი მოთხოვნაა, საჩუქრის გარეშე ვიღაც არ აკეთებს საქმეს. ბოროტებაა ალბათ ისიც, რომ ადამიანი საჩუქარს იღებს თავისი მოვალეობის შესრულებისთვის. შესაბამისად, როგორ ფიქრობ, ასეთ დროს საზოგადოება როგორ ზარალდება? ფიქრობ თუ არა, რომ ამ გზით საზოგადოებაში ადგილს უვიცი ადამიანები იკავებენ. გამოდის, თუ არა, რომ კორუფციასთან შერიგებით საზოგადოება თავს იკლავს?

ა.ჩ. - თუ ურიგდება, ასე გამოდის.

ნ.ლ. - რა გამოდის - საზოგადოება მაინც ცხოვრობს ამ კორუფციით. გამოდის, რომ საზოგადოებას, რომელიც კორუფციას ეგუება, ადამიანი არ სჭირდება - არც მე, არც შენ...

ა.ჩ. - სამწუხაროა, მაგრამ ასე გამოდის. მაშინ ვინ სჭირდება?

ნ.ლ. - ძალიან ცოტა ადამიანი სჭირდება. მაგალითები შეიძლება მოვიყვანო, მაგრამ ახლა ჩვენ საუბარს ვაგრძელებთ. რას ფიქრობ სამომავლოდ, რა სპეციალობას აირჩევ?

ა. ჩ. - სამართალმცოდნეობას ან საერთაშორისო სამართალს.

ნ.ლ. - აი, რომ გაიგო ჭორი, სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ ფაკულტეტზე მოსახვედრად უნდა გადაიხადო 20 ათასი დოლარი, რა რეაქცია გექნება ამაზე, შეაფასე ეს ფაქტი

ა.ჩ. - რომ ჩაირიცხო? მაშინ ვეცდები რომ სხვაგან ჩავაბარო...

ნ.ლ. - არა, ჩვეულებრივად, გამოცდებით ჩარიცხვაც ხდება, მაგრამ ისე, თუ ვინმე ფულს გადაიხდის, მნიშვნელობა არა აქვს მის ცოდნას, ისე ჩაირიცხება. ეს ძალიან დიდი თანხაა, ხომ? როგორ შეაფასებ ამ ფაქტს?

ა.ჩ. - არსად არ ღირს ქრთამის მიცემა. ასეთი რამ რომ არ მოხდეს, სახელმწიფოს სიძლიერეა საჭირო. სახელმწიფო უნდა ქმნიდეს იმ პირობას, რომ ასე არ იყოს. ლექტორს უნდა ჰქონდეს იმდენი ხელფასი, რომ ქრთამის აღების შემთხვევაში მისი დასჯა აუცილებელი იყოს. და თუ სახელმწიფო ვერ უქმნის პირობებს, მაშინ ვერც დასჯი, უნდა გავუგოთ და სახელმწიფო დავადანაშაულოთ.

ნ.ლ. - მაგალითად, მისაღები გამოცდების გაუქმებაზე რას იტყვი? ყველა, ვინც მოისურვებს, მოხვდება, მაგრამ შემდეგ, სწავლის ხარისხის მიხედვით, დარჩებიან ან არ დარჩებიან.

ა.ჩ. - ძალიან კარგი იქნება. ვისაც შეუძლია, ისწავლის და დარჩება, ვინც არა და წავა, არ დატოვებენ.

ნ.ლ. - შემდგომში, დატოვებაში არ აიღებენ ქრთამს?!

ა.ჩ. - !!!

ნ.ლ. - რატომ სჩადის ასეთ უჭკუობას ქრთამის მიმცემი? ამ ფასად წავიდეს და უცხოეთში ისწავლოს. რატომ არჩევს საქართველოში ამ თანხის ქრთამად მიცემას უცხოეთში კანონიერ სწავლას?

ა.ჩ. - ნამდვილად უჭკუო საქციელია, რატომ?

ნ.ლ. - იმიტომ, რომის ვინც ქრთამს აძლევს, ის ამ ქვეყანას სჭირდება, იმიტომ, რომ ის თამაშის წესებს იცავს. აი, კიდევ ერთი მაგალითი. თბილისში იშენებენ უძვირფასეს სახლებს, როცა ამ ფულის მეხუთედით სადმე საზღვარგარეთ შეიძლება აშენება, თუნდაც სამხრეთ აფრიკაში, სადაც იდეალური ტემპერატურაა.

ა.ჩ. - ალბათ იმიტომ, რომ ისევ იმ კორუმპირებულ წრეში იყვნენ, რომ მეტი იშოვონ და მერე უფრო ძვირფასი სახლები აიშენონ.

ნ.ლ. - მე სხვაგვარად ვფიქრობ. საზოგადოების თვალში აქ აშენებულზე მეტად იქ აშენებული ითვლება თავხედობად.

ა.ჩ. - მე ვფიქრობ, რომ ის უფრო დიდი თავხედობაა, რომ აქ, მშიერი ადამიანების თვალწინ, ააშენო ასეთი სახლი. ვიღაცას ერთი პურის ყიდვაც არ შეუძლია.

ნ.ლ. - შენი აზრით, ვინც დღეში ერთ პურს ძლივს ყიდულობს, ის ყოველთვის უფრო მართალია იმაზე, ვინც ძვირფას სახლს იშენებს?

ა.ჩ. - არა, ყოველთვის არა. არის კატეგორია ადამიანებისა, რომელიც განათლებულები არიან, ცოდნა აქვთ, მაგრამ გარემოებას ალღო ვერ აუღეს და ღირსების შელახვად მიაჩნიათ, ზოგიერთ სამუშაოზე წასვლა. ადამიანი, რომელიც არ მოქმედებს, ალბათ, ღირსიცაა დღეში ერთი პურის მეტი არაფერი ჰქონდეს, მიდგეს, მოდგეს...

ნ. ლ. - საქმე ისაა, რომ კორუფცია ხელს უშლის ადამიანს, იმოქმედოს. შენ თქვი, რომ ბევრი ღირსების შელახვად თვლის რაღაც სამუშაოზე დათანხმებას. მეტად მნიშვნელოვან საკითხს მივადექით - ღირსების გრძნობა, რომელიც ადამიანებს ოდითგან მოსდგამთ, გამოდის, რომ დღეს მათ სასარგებლოდ არ მუშაობს და დაბრკოლებად ექცევათ. ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციები ხელს ხომ არ გვიშლის?

ა.ჩ. - მე მგონი, არა. ჯობს, რომ წარსულზე არ ვიფიქროთ, მომავალზე ვიფიქროთ და იმაზე, რაც შეიძლება გავაკეთოთ, რომ ხვალინდელი დღე გვქონდეს.

ნ.ლ. - ხომ არ გამოდის, რომ დღეს, თამაშის წესების მისაღებად, სწორედ ეს ღირსება გვიშლის ხელს წინსვლაში, იქნებ ეს ხელს იმაშიც გვიშლის, რომ ხმა ამოვიღოთ ცხოვრების უკუღმართი მხარეების წინააღმდეგ. შენ ხომ თქვი, რომ ერთ შენს ნაცნობს არ ეთაკილება სამ ადგილზე დამლაგებლად მუშაობა, მაგრამ დიდი ნაწილი ამას თაკილობს. შენ ის გაამართლე და სხვები გაამტყუნე. ხომ არ არის რამე ისეთი, რაც ხელს უშლის ადამიანებს ბოროტების წინააღმდეგ? მაგალითად, ცხოვრებისთვის ხელისშემშლელ პირობებთან წინააღმდეგობის გაწევაში? იქნებ იმაში, რომ არ იყვნენ შემრიგებელნი სწორედ წარსულზე ფიქრი უშლით ხელს? საიდან მოდის შემრიგებლობა?



მამუკა ტყეშელაშვილის და ირაკლი ბილაშვილის კოლაჟი

ა.ჩ. -გეთანხმებით, უმოქმედობა ცუდია და ბოროტებაა, მაგრამ ერთეულებს, ვინც არ ურიგდება ბოროტებას,თანადგომა სჭირდებათ და ადამიანების უმეტესობა ფიქრობს, რატომ მე და არა ის, თუ ბევრნი იქნებიან, მეც შევუერთდებიო. ასეა, ჩემი აზრით.

ნ.ლ. - ე.ი. ერთეულებს სჭირდებათ საზოგადოების მხარდაჭერა?

ა.ჩ. - თანადგომა სჭირდებათ თვითონ ადამიანებს, საერთო კარგ აზრში თანადგომა.

ნ.ლ. - შენ უყურებ ტელევიზორს, გესმის რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს. მაინტერესებს, რას ფიქრობ, თუმცა ჯერ ასაკით ამომრჩეველი არ ხარ, მაგრამ შენი აზრით, არჩევნებზე მისვლა-არმისვლას რა აზრი აქვს? (ეს საუბარი ნოემბრის არჩევნებამდე შედგა. რედ.)

ა.ჩ. -როცა არ მიდიან, ეს პროტესტის გამოხატვაა და ვფიქრობ, მიზეზიც აქვთ -არავის ენდობიან. მაგრამ, ამომრჩეველი უნდა მივიდეს და თუნდაც მათ შორის გააკეთოს არჩევანი, ვინც არ მოსწონს. ღმერთმა ქნას, რომ გაამართლოს და თუ არა, რამდენიმე ხნის შემდეგ აღარ აირჩევს.

ნ.ლ. - ე.ი. შენ მხარს უჭერ იმას, რომ ადამიანმა აქტიური პოზიცია უნდა დაიკავოს. პროტესტი-შინ დარჩენა - უარესია.

ა.ჩ. -დიახ, ჯობია მიხვიდე, სახლში დარჩენა საშველი არ არის. თუნდაც იმიტომ, რომ შენი ხმა ვინმემ არ გააყალბოს. მაინც აირჩიე და იქნებ გაჭრას.

ნ.ლ. - ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ შენ თვლი, ადამიანს ცხოვრების შეცვლა შეუძლია.?

ა.ჩ. -შეუძლია, მაგრამ გავლენა რომ მოახდინო და შეცვალო, ერთი ადამიანი არ არის საკმარისი, ბევრნი უნდა იყვნენ.

**პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.**

**დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge**
**მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა**

**შემდეგი გვერდი გამოვა 1 ნოემბერი**

კულტურული მიგრაცია და პატრიოტიზმი



B2

ვარიაციები ჯოჯოხეთზე



B3

ქართული ფოლკლორი გერმანიაში



B8

ფიროსმანობა

# „ვინცა წაიკითხოთ, შენდობა ბრძანეთ...”

## მირზაანი ფიროსმანობას ახალი მარანით შეეგება

მადი სერებრიაკოვა

“ფიროსმანაშვილისა ნინიასა ვინცა წაიკითხოთ, შენდობა ბრძანეთ” - ძველი დიდების ნაშთად მხოლოდ ეს სიტყვებიღა შერჩენია მირზაანში ფიროსმანის სახლ-მუზეუმის მახლობლად მდებარე ფიროსმანაშვილების საგვარეულო პატარა ეკლესიას. ამას გარდა, ეკლესიას კიდევ რამდენიმე წარწერა აქვს შემორჩენილი. მაგალითად, 1974 წლით დათარიღებული - “აქ ნადირობა აკრძალულია!” და რაღაც მსგავსი Здесь был Вася-სი. ეკლესიის ინტერიერი მთლიანად განადგურებულია, სახურავზე კი ბუჩქები ხარობს. სამაგიეროდ, იქვე ახლოს, ფიროსმანის პატარა კარმიდამოს გვერდით ქაჯეთის ციხესავით აღმართულა რკინა-ბეტონით ნაშენები სოც-რეალისტურ სტილში შესრულებული მხატვრის სახლ-მუზეუმი, რომელსაც არც ლანდშაფტთან და არც ფიროსმანთან საერთო არაფერი აქვს და მირზაანში ყოველწლიურად დამკვიდრებულ ფიროსმანობის ზეიმსაც ბევრს ვერაფერს ჰმატებს. წელს, ფიროსმანობის მასპინძელი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ფესტივალი “არტ-გენი” და კომპანია GWS-ის პრემიალური ღვინოების ბრენდი “თამადა” იყო. მათი ინიციატივით, ჭამა-სმის დღესასწაულად ჩამოყალიბებულ ფიროსმანობას წელს ცოტაოდენი ლაზათი კულტურულმა პროგრამამ შესძინა.

ამ დღესასწაულზე ვინმე უცხოელი რომ დაპატიჟო, რომელსაც ფიროსმანის შემოქმედება თვალით არ უნახავს, იფიქრებს, რომ ფიროსმანი ან “ვარდების რევოლუციის” გმირი, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, გამოჩენილი თამადა იყო. შეიძლება კახელებს მწარე იუმორშიც ჩამოვართვათ სახლ-მუზეუმის ეზოში გამოფენილი პრიმიტივისტული ხელოვნების ნიმუშები (მაგალითად, შოთა ჯამასპიშვილის მიერ შესრულებული მიხეილ სააკაშვილი ვარდით ხელში), ანდა უკეთესი: კატაფალკის სტილში ყვავილებით მორთული ავტომობილი ერთი წლით დაგვიანებული რევოლუციური მოწოდებებით. ასეთი კიჩით დაწყებული ფიროსმანობა მირზაანში შემდეგ ღვინისა და ხალხური შემოქმედების დღესასწაულით გაგრძელდა. აქა-იქ კი ფიროსმანის სადღეგრძელოებიც ჟღერდა.

ამ ზაფხულს, თბილისში, კუს ტბის მახლობლად, ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე ძალზედ ორიგინალური და წარმატებული პროექტი - ფესტივალი “არტ-გენი” განხორციელდა. მან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან თვითმოქმედი ფოლკლორული ანსამბლები მოიზიდა და ქართული ხალხური შემოქმედების არარაფინირებული, ტრადიციებთან უფრო მიახლოებული, მრავალფეროვანი და თვითმყოფადი სახე წარმოგვიდგინა. “არტ-გენის” ორგანიზატორებმა: ზუმბამ, ნიაზ დაისამიძემ და სხვებმა ამ წამოწყების გაფართოება განიზრახეს და შემდეგი აქცია დაგეგმეს. მას “უკან სოფლისაკენ” ჰქვია და რეგიონებში ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

სოფელში უკან დაბრუნების ერთ-ერთი მცდელობა სწორედ მირზაანში განხორციელდა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მირზაანში ათეულობით კოლექტივი და ხალხური მთქმელი ჩამოვიდა. თითქმის მთელი დღის განმავლობაში ფიროსმანის ეზო-კარი მათ კონცერტს მასპინძლობდა. ხინკლისა და მწვადის ესთეტიკა დაირღვა და ფიროსმანობა ხელოვნების დღესასწაულს დაემსგავსა: **“გვინდა გავიხსენოთ და ხალხსაც გავახსენოთ საიდან მოვდივართ, სად არის ჩვენი ფესვები.”** - აღნიშნავს აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ზაზა კორინთელი, იგივე ზუმბა.

მოგვწონს თუ არ მოგვწონს, საქართველოში ყველაფერი ღვინით იწყება, ღვინის ფონზე გრძელდება და მერე სადღეგრძელოებით გვირგვინდება. თუმცა, ღვინის სმასაც თავისი ლაზათი სჭირდება. ამ საქმისთვის GWS-ის წარმომადგენლებმა ფიროსმანის სახლ-მუზეუმში ძველი მარანი აღადგინეს და ქართველი ტრადიციული წესით ჩაატარეს. სპეციალურად ამისთვის მათ სახლ-მუზეუმის ტერიტორია დაასუფთავეს, ახალი ქვევრები ჩაყარეს და რქაწითელის ჯიშის ყურძენი შეისყიდეს. ყურძნის დაწურვა ფიროსმანობის, ალბათ, ყველაზე შთამბეჭდავი პროცესი იყო. თავდაპირველად ყანწებისა და “მრავალჟამიერების” ფონზე საწნახელში “არტ-გენისა” და “თამადას” წარმომადგენლები ჩავიდნენ. შემდეგ მათ მოხალისეებიც დაეხმარნენ. ფიროსმანის ღვინის დაწურვაში “24 საათმაც” დიდი სიამაყით მიიღო მონაწილეობა. როგორც GWS-ის წარმომადგენელმა ლევან კობერიძემ აღნიშნა, ფიროსმანობაზე დაწურული ღვინო შემდეგომში ცალკე ჩამოისხმება. მას “ნიკალა” დაერქმევა და მხოლოდ არაკომერციული მიზნებით იქნება გამოყენებული.

ამ აქციაში “თამადა” ტრადიციული ქართული მეღვინეობის პოპულარიზაციის მიზნით ჩაერთო. მათი აზრით, მომძლავრებული ფალსიფიკაციისა და შეზღუდული ბაზრის პირობებში, ტრადიციულ მეღვინეობას გადაშენების საფრთხე ემუქრება. ყოველი ამგვარი აქცია მეწარმეებმა და სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დარგის გადარჩენის გზების ძიებას უნდა მოახმარონ. ფიროსმანობას კულტურის სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესტუმრნენ. კულტურის სამინისტროს უფრო მასშტაბური ღვინის დღესასწაული ჰქონდა დაგეგმილი, რომლის ფარგლებშიც ფიროსმანობის ეს აქციაც შედიოდა. მომავალში იგი უფრო გაფართოვდება და სხვა რეგიონებსაც მოიცავს.

ფიროსმანობის ახალ მასპინძლებს კიდევ ერთი კარგი აზრი დაებადათ. ფიროსმანის ეზოში ქართული ვაზის გადაშენების პირას მისულ ძირებს დარგავენ და მომავალ წლებში ფიროსმანის მარანი უკვე საკუთარი მოსავლით გაივსება.



გოგიტა ბუხაიძის ფოტოები













B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ტერორიზმი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
არტურ შნიცლერის "წრის" მიხედვით
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**ტრაგიკომედიის თეატრი**
"VENCEREMOS ანუ ჩვენ გავიმარჯვებთ"
რეჟისორი: ვახტანგ ანდიაშვილი
ფასი: 5 ლარი
დას: 18:00 სთ.

**გლობუსი**
ნინო ნაკაშიძე
"ვინ არის დამნაშავე?"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"თანამონაწილე"
დას: 14:00; 16:30; 19:30; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"ევროტური"
დას: 12:00; 17:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
გოგა ჩანადირის ფოტონამუშევრების გამოფენა
"ინდონეზია ტერაქტების შემდეგ"
გახსნა 17 საათზე

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**ძველი გალერეა**
მაია ბურულაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ბაია გალერეა**
"კოლექციიდან კოლექციამდე"

**სურათების ეროვნული გალერეა**
ანსელმო ძერმის (იტალია) ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
მარია ნატალია ვაზ-პირეს ბიეკის (პორტუგალია) ნამუშევართა გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

*მოკლედ*

## სარეაბილიტაციო სამუშაოები მესტიაში

უახლოეს მომავალში სვანეთში მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება. არქიტექტორმა სიმონ ბარამიძემ მესტიის მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს უკვე წარუდგინა. "სპეციალურ დანადგარებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუზეუმისთვის სათანადო კლიმატის შექმნას, იტალიიდან ჩამოიტანენ. წინასწარი გაანგარიშებით, აპარატურის შესაძენად 30 ათასი დოლარი უნდა იყოს საჭირო", - ამბობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის დირექტორი კახა ტრაპაიძე.

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს საბოლოო გაანგარიშებებისთვის 23-24 ოქტომბერს არქიტექტორი სიმონ ბარამიძე ეწვევა, ნოემბრის ბოლომდე კი მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება. *მედია-ნიუსი*

## კლასიკური მუსიკის კონცერტი ქუთაისში

ქართველი პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი 24 ოქტომბერს ქუთაისში კლასიკური მუსიკის კონცერტს გამართავს. კონცერტზე დასწრება შეზღუდული იქნება და ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის პარტერის ბილეთები გაიყიდება მხოლოდ.

ვალერიან შიუკაშვილის კონცერტი ცნობილი პედაგოგისა და პიანისტის, დოდო ციცინავას (ქუთაისში მოღვაწე მუსიკოსი წელს გარდაიცვალა) ხსოვნას მიეძღვნება. 25 ოქტომბერს კი შიუკაშვილი ქუთაისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მასტერ-კლასებს გამართავს. *ინტერ-პრესი*

## სეზონის გახსნა

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა 35-ე შემოქმედებითი სეზონი გახსნა. ახალ სეზონზე თეატრმა აღდგენილი სპექტაკლი - ოთარ თაქთაქიშვილის "მინდია" წარმოადგინა.

ქუთაისის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, პროფესორ მედეა ამირანაშვილის თქმით, დეკემბრში თეატრი იუბილეს აღნიშნავს. ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 1969 წელს დაარსდა. *ინტერ-პრესი*

## მამა ბუში განრისხდა

აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა და თეთრი სახლის ამჟამინდელმა ბატონ-პატრონის მამამ კინოდოკუმენტალისტი მაიკლ მური ნაგვის ტომრად მოიხსენია.

უფროსი ბუშის გაცოფება, რაღა თქმა უნდა, რეჟისორის კინონამუშევარმა გამოიწვია; კერძოდ კი იმ პარალელმა, რომელიც მურმა ახლანდელი პრეზიდენტისა და ბინ ლადენის ოჯახებს, ასევე, საუდის არაბეთის სამეფო ოჯახს შორის გაავლო. ერთ-ერთ ამერიკულ ტელეარხზე გამოსვლისას ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) განაცხადა, რომ ეს ყველაფერი (ის, რასაც "ფარენგეიტი 9/11" ამტკიცებს) აღმაშფოთებელი სიცრუეა, მაიკლ მური კი - "აბსოლუტური უკანალი".

მამა ბუშის ეს ფრაზა, ალბათ, კიდევ უფრო წაადგება ფილმის შემოსავლებს - დღემდე "ფარენგეიტი 9/11"-მა მხოლოდ შეერთებულ შტატებში 119 მილიონი ამერიკული დოლარი დააგროვა. ფილმს ქართველი მაყურებელი თვის ბოლოს იხილავს კინოთეატრ "ამირანში".

# კულტურული მიგრაცია და პატრიოტიზმი

ვერა ნეფარიძე

*მოსკოვი ქართული ინტელექტუალური და კულტურული ელიტის რუსეთში ემიგრაციას გვაყვედრის; მეტიც, ეს არის თემა, რომელსაც რუსი პოლიტიკოსები მშვიდად ავითარებენ ევროპის საბჭოს სხდომაზე (როგორც ეს სექტემბრის ბოლოს სტრასბურგში მოხდა) და ამით "უმტკიცებენ" ცივილიზებულ საზოგადოებას, რომ "საქართველოსთვის რუსეთი არც ისე ცუდია", როგორც ქართველებს სურთ დაანახონ მსოფლიოს. შემდეგ კი, სამშობლოში დაბრუნებულები, საკუთარი წარმატებული არგუმენტებით კმაყოფილები საინფორმაციო ომს აგრძელებენ.*





*ვახტანგ კიკაბიძე და ნანი ბრეგვაძე რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობენ.*

თავისთავად საგულისხმოა ის საინფორმაციო სივრცეები, სადაც ამგვარი ომია წამოწყებული. "ერთმორწმუნე რუსეთმა" ამჯერად, ერთი შეხედვით, პოლიტიკისგან შორს მდგარი ვებ-საიტი "პრავოსლავიე.რუ" არჩია და ამით კიდევ ერთხელ გვაჩვენა, როგორია მისი პოლიტიკური ბრძოლის გზები და მიმართულებები (სხვათა შორის, ვისაც არ სურს დაიჯეროს, როგორაა ერთმანეთში გადაჯაჭვული რუსეთის ეკლესიისა და კრემლის ინტერესები, შეუძლია რამდენიმეჯერ იმოგზაუროს აღნიშნულ ვებ-საიტზე).

"პრავოსლავიე.რუ" ამჯერად საკუთარ მკითხველს სექტემბრის ბოლოს სტრასბურგში გამართული სესიის, კონკრეტულად კი, პირველი სხდომის (დღის წესრიგში სასწრაფო განხილვის პუნქტად შეტანილი იყო: "საქართველოსა და რუსეთის ურთიერთდამოკიდებულება") ანალიზს სთავაზობს. ინტერვიუს სახით გაკეთებულ მასალაში დიდი ადგილი უკავია ღიად პოლიტიკურ მსჯელობას, მხოლოდ მცირედი პასაჟი ეთმობა სხდომაზე მიმდინარე მოხსენებებითა თუ დებატებით განრისხებული რუსების კონტრარგუმენტებს შორის მნიშვნელობით ყველაზე მთავარს (რომლის ფესვებიც, ვითომ, საქმეში გაურეველ ჩვენს ინტელიგენციასა და სასცენო მოღვაწეებს სწვდებათ). ერთ-ერთი რუსი დელეგატის არგუმენტი ევროპის საბჭოს სესიის პირველ სხდომაზე ასეთი იყო: **"არც ისე ცუდია რუსეთი, თუკი, ურთიერთობების გამწვავების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტი გადასახლდა რუსეთში და იქ ყვავის, რომ აღარაფერი ვთქვათ საქართველოს ინტელექტუალურ და არტისტულ ელიტაზე, რომელიც თავიანთი რუსი თაყვანისმცემლების უცვლელი სიყვარულით სარგებლობს და არ გრძნობს ადამიანის უფლებების შეზღუდვას".** ასეთია კიდევ ერთი, ამჯერად "კულტურული" ნაღმი, რომელიც ჩადებულია ქართველი და რუსი თეატრალების, მწერლებისა და კულტურის სხვა დარგებში მოღვაწე კოლეგების ხმაურიან, სიხარულის ცრემლნარევ, ყვავილებით დამშვენებულ შეხვედრებზე, საღამოებზე, ერთობლივ თეატრალურ პრემიერებზე და ა.შ. ასეთ დროს ჩნდება, ალბათ, ლოგიკური შეკითხვა - რა არის პატრიოტიზმი და რას მოითხოვს ის მსხვერპლად? - ხშირად ამგვარი პომპეზური და "მონატრებულ პუბლიკასთან" შეხვედრით გამართლებული საღამოების მოკლებას ხომ არა? სხვათა შორის, ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, მსგავსი "კულტპახოდები" არ განმეორებულა, თუმცა ნაადრევია, ალბათ, იმაზე საუბარიც კი, რომ ქართველებმა "ჭკუა ისწავლეს"; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რუსი ჟურნალისტების კახეთში გამასპინძლების თემა ჯერ არ დაძველებულა.

დაბოლოს, თემასთან გარკვეულ კავშირშია ცნობა ხსენებული "პრავოსლავიე.რუ"-დან, სადაც საუბარია იმაზე, რომ რუსეთის სახელმწიფო და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია თანამშრომლობას აღრმავებენ მსხვილი კულტურული და საგანმანათლებლო პროექტების განსახორციელებლად. ასე რომ, ალბათ, ღირს სტრასბურგში რუსი დელეგატების მიერ წამოწყებულ თემაზე სერიოზული ფიქრი და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. შესაძლოა, ჩვენი კულტურული საზოგადოების (და არა მარტო მათ) მხარდაჭერასა და პატრიოტიზმს როგორც არასდროს, ისე ითხოვს ახლა ჩვენი ქვეყანა.

# ექსპრესიონისტული კონცერტინო

## გოეთეს ინსტიტუტმა კამერული მუსიკის კონცერტს უმასპინძლა

მადი სერებრიაკოვა



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

წელს გოეთეს ინსტიტუტი თბილისში მოღვაწეობის 10 წლისთავს აღნიშნავს. ამ თარიღთან დაკავშირებით, როგორც ინსტიტუტის დარბაზში, ისე სხვა საკონცერტო დარბაზებში რამდენიმე ღირსშესანიშნავი ღონისძიება გაიმართა. საიუბილეო ციკლი ამჯერად კამერულმა ორკესტრმა "თბილისის კონცერტინომ" გააგრძელა. გოეთეს ინსტიტუტის დარბაზში "კონცერტინომ" მორიგი სეზონი ექსპრესიონისტული მუსიკით გახსნა.

"თბილისის კონცერტინო" კომპოზიტორმა და დირიჟორმა შავლეგ შილაკაძემ 1988 წელს დააარსა. მანამდე იგი მისსავე დაარსებულ "თბილისის კამერატას" ხელმძღვანელობდა; 1990 წლიდან ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების წევრია. ამ ხნის განმავლობაში "თბილისის კონცერტინომ" 300-ზე მეტი კონცერტი გამართა საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც: გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიასა და ესპანეთში. ორკესტრის რეპერტუარში შედის მე-13-დან მე-20-ე საუკუნის ჩათვლით შექმნილი მუსიკალური ლიტერატურა. "თბილისის კონცერტინოს" შემადგენლობისთვის სპეციალურად ამუშავებენ ნაწარმოებებს შავლეგ შილაკაძე და ბოლო დროს სულ უფრო ხშირად - დირიჟორი გიორგი შილაკაძე. ორკესტრი ხშირად განიცდის განახლებას და, ძირითადად, ახალგაზრდული შემადგენლობით არის დაკომპლექტებული. წლების მანძილზე აქ მრავალი საინტერესო მუსიკოსი გაიზარდა, რომლებიც ამჟამად საქართველოში და საზღვარგარეთ სხვადასხვა ორკესტრებში ნაყოფიერად მოღვაწეობენ.

"თბილისის კონცერტინოს" სეზონი შემთხვევითი არ გახსნილა სწორედ გოეთეს ინსტიტუტში. კამერულ ორკესტრს გოეთეს ინსტიტუტთან უკვე საკმაოდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი პარტნიორული თანამშრომლობა აკავშირებს. გუშინდელ კონცერტს ახალგაზრდა დირიჟორი გიორგი შილაკაძე დირიჟორობდა. ორკესტრის დაარსებიდან მოყოლებული, იგი ჯერ კლავესინზე და ორგანზე უკრავდა, ხოლო შემდეგ დირიჟორის ასისტენტად მუშაობდა. 1998-2003 წლებში მან სტაჟირება გერმანიაში - საარბრიუკენსა და მანჰაიმში გაირა, სადაც მას მაქს პომერი და კლაუს არპი ხელმძღვანელობდნენ. დირიჟორი რეგულარულად მართავს კონცერტებს თბილისსა და ბათუმში.

სეზონის გახსნა "თბილისის კონცერტინომ" ძალზედ საინტერესო პროგრამით აღნიშნა. შტრაუსი, ბერგი, შონბერგი, ბრუკნერი - "თბილისის კონცერტინოს" უმეტესად ახალგაზრდული შემადგენლობისათვის უკვე სერიოზული განაცხადია. პირველ განყოფილებაში ბრუკნერის "ადაჟიო" და შტრაუსის "მეტამორფოზები" (23 ხემიანი ინსტრუმენტისათვის) შესრულდა. ეს უკანასკნელი 9 შემსრულებლისთვის თავად გიორგი შილაკაძემ გადაამუშავა. მართალია, მის შესრულებაში ორკესტრანტებს ხელი ელექტროენერგიის მოულოდნელმა გამორთვამ შეუშალა, თუმცა გაუგებრობას მათ მალევე დააღწიეს თავი და დარბაზის მხარდაჭერაც დაიმსახურეს.

მეორე განყოფილებაში "თბილისის კონცერტინო" სოლისტებთან ერთად წარდგა. კონცერტში მონაწილეობა ვერ მიიღო ოპერის თეატრის სოლისტმა ირმა ბერძენიშვილმა, რომელიც თეატრში მოახლოებული სეზონის გახსნისთვის ემზადება. მის მაგივრად შტრაუსის და ბერგის კამერულ-ვოკალური ნაწარმოებები თამარ გაგნიძემ და სოფიო ბერიშვილმა შეასრულეს.

"თბილისის კონცერტინო" მომდევნო კონცერტს კვლავ გოეთეს ინსტიტუტის დარბაზში გამართავს. ამჯერად კონცერტი უფრო კლასიკური პროგრამით იქნება შედგენილი: ბახის, მენდელსონის, ბეთჰოვენის ნაწარმოებებს "თბილისის კონცერტინო" მოწვეულ სოლისტებთან ერთად 1 ნოემბერს შეასრულებს.

# რთველი, თამადა და პატარა ნინიას სიხარული

დესი დაშკოვა

*რესტორან "ძველი სახლის" ეზოში შეკრებილ საზოგადოებას ჯი ემ სი ჯგუფის პიარსამსახურის მენეჯერი მაკო ჯაოშვილი დაჰპირდა, - "ძველი სახლის" თამადობით, დოვლათიანი შემოდგომის თბილი საღამო თბილისობის კვირეულის ბედნიერად გათენების საწინდარი გახდებაო. ახლა კი, ვიდრე სადღესასწაულო ტორტს გაჭრიდნენ, ჯერ წინა ამბავს მოგახსენებთ.*



პური თონეში ჩავაკარი; თურმე, საქართველოში ყველაზე კარგი მეპურეები რაჭველები არიან. იმდენი ჩურჩხელა ვჭამეე! სულ ცხელ-ცხელი იყო, ნამდვილ კახურ თათარაში ამოვლებული. კიდევ ვნახე შამფურზე როგორ წვავდნენ ქაცარს (ქაცარი თხა არის მეგრულად). ჭაჭის არაყსაც იქვე ხდიდნენ და ცოტა გავსინჯე-კიდეც. მერე მხატვარმა დამხატა. იცი, რა კარგი იყო?! - უყვებოდა პატარა ნინია დედას. ნინიას ხალისიანი განწყობა და ეთნოგრაფიულ-კულინარული შთაბეჭდილებები რესტორან "ძველი სახლიდან" გამოჰყვა.

კვირას ჯი ემ სი ჯგუფმა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია GWS-მა რესტორნის ეზო მოწვეული საზოგადოებისთვის ჩვეულებრივზე უფრო სანახაობრივი გახადეს. ეზოში დაგუზგუზებულ ცეცხლზე, შამფურზე თიკანი იწვებოდა, იქვე ჭაჭის არაყი იხდებოდა; რაჭული თონიდან პურებს ყრიდნენ; თათარაში ახლად ამოვლებულ ჩურჩხელებს აივანზე გადებულ ხარიხებზე ჰკიდებდნენ; სიმინდსა და გოგრა-კვახებს ხარშავდნენ... ტერასაზე კი, რომელიც, მართალია, არც ისე კამკამას, მაგრამ მაინც მტკვარს გადაჰყურებს, უხვი, ევროსტანდარტით გაწყობილი ეროვნული ალაფურშეტი იყო გაშლილი. გურმანებიც და ვეგეტარიანელებიც კერძების შესანიშნავ გემოს აღნიშნავდნენ.

ყარაჩოღელები და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მომღერლები და მოცეკვავეები, ქართული ცეკვა-სიმღერა. მიუხედავად მაკო ჯაოშვილის მოწოდებული მაგალითისა, საზოგადოება მხოლოდ მაყურებლის ფუნქციას და აპლოდისმენტებს დასთანხმდა.

"მერე ტორტი გაჭრეს, ძალიან დიდი ტორტი, ბევრნაირი ხილით მორთული, მაგრამ ვერ შევჭამე, აღარ შემეძლო", - დაამთავრა პატარა ნინიამ ამბის მოყოლა.

კვირას რესტორან "ძველი სახლის" - სამი, და GWS-ის ათი წლისთავი იზეიმეს.

# ქვით ნაგები ლოგიკა თბილისში ალოგიკურია

## ახლის შენებამდე ძველის ბოლომდე გააზრებაა საჭირო

სოფო კილასონია

არავისთვისაა უცხო, თუ რაოდენ დიდი ტრადიცია გააჩნია ქართულ არქიტექტურას, რა დიდი როლი ენიჭება ჩვენს მრავალსაუკუნოვან ხუროთმოძღვრებას მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ის, რომ ქართული ეკლესია-ტაძრები, არა მხოლოდ მაღალი დონის არქიტექტურის ნიმუშებია, არამედ ჩვენი ეროვნული, მენტალური სახე, ჩვენი რწმენის მაუწყებელი და ჩვენი ისტორიის მომსწრე, ამსახველი - ხშირად საუბრობენ.

თუმცა, ისტორიის ცოდნა, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაფასება და მასზე საუბარი ერთია. იმისთვის კი, რომ ტრადიცია გავამართლოთ, ახლის შენებაა საჭირო. ოღონდ სიტყვა - შენება ფართო გაგებით. ჩვენი ხუროთმოძღვრება ისაა, რითიც თავს ვიწონებთ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კულტურის მქონე ერების წინაშე. ერთია თუ როგორ ვაფასებთ მას და მეორე, - თუ როგორ გვესმის, როგორ ვხედავთ და ვიაზრებთ იმას, რაც ჩვენამდე დიდი ოსტატობით შეუქმნიათ, და რამდენად ვგრძნობთ იმ პასუხისმგებლობას, რასაც ის გვაკისრებს.

დღეისათვის თბილისში ნაირფეროვანი მშენებლობები მიმდინარეობს. ახალი საცხოვრებელი სახლები, სხვადასხვა დაწესებულებები, სავაჭრო ცენტრები. მათი სტილური დახარისხება მეტად შორს წაგვიყვანს. თუმცა, ეს არაფერი, უბრალოდ, შესაძლოა, არქიტექტურის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ჩვენთვის შესაფერისი ტერმინოლოგია, არარსებულობის გამო, ვერ მოვნახოთ. ერთის თქმა კი მარტივად შეიძლება, ჩვენს ქალაქში სრული არქიტექტურული ეკლექტიზმი გამეფებულა. ეკლექტურობა მეტად მძიმე ფორმებში. თუმცა, ამ საკითხის გარშემო ბევრი თქმულა და ამ ბოლო დროს მრავალსაც უკამათია, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც ამ ახალი საერო მშენებლობების დახასიათებისგან თავს შევიკავებთ, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე.

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში თბილისში მრავალი ტაძარი, ახალი ეკლესია-ნაგებობა გაჩნდა. მათ შორის უადრესი 90-იან წლებშია აგებული. მშენებლობათა მაღალი სიხშირით 1998-1999 წლები გამოირჩევა და ამ წლებიდან მოყოლებული მშენებლობათა ტემპი დღემდე არ შენელებულა. მშენებარე ტაძართა რაოდენობა დღითი დღე მატულობს.

ადგილი სადაც ეკლესიებს აგებენ, არაერთგვაროვანია. ზოგ შემთხვევაში, ეკლესია ცენტრალური გზის პირას მდებარეობს და, სათანადოდ ქალაქის განაშენიანებაშია ჩაწერილი, ზოგჯერ მეტ-ნაკლებად ამაღლებულ ადგილზე, თუმცა ძალზე იშვიათად, ყველაზე ხშირად ტაძრები ცენტრიდან მოშორებით, კორპუსებსა და შენობებს მოფარებულ ტერიტორიებზეა აგებული. ხშირად სხვადასხვა დაწესებულებათა ახლოს, სკოლებისა და საავადმყოფოების ეზოებში. ეს კი თავისთავად მოწმობს იმას, თუ რომელი ორგანიზაციის თაოსნობით აიგო ტაძარი.

ეს მშენებლობები არ არის კონცენტრირებული ქალაქის ერთ ან ორ უბანზე, პრინციპში მან მთელი ქალაქი მოიცვა: ვაკე-საბურთალოს რაიონში, დაახლოებით, 16 ტაძარი აიგო, მთაწმინდა-კრძანისის რაიონში - ოთხი ტაძარი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში - სამი, გლდანი-ნაძალადევში - 10, ხოლო ისანი-სამგორის რაიონში - ცხრა ტაძარი აშენდა. ამას ემატება დაახლოებით რვა მშენებარე ეკლესია.

რაც შეეხება ტაძართა ზომასა და საშენ მასალას, უმეტესად საშუალო ან მომცრო ზომის ტაძრები იგება. გვხვდება მინიატურული ზომის ნაგებობებიც. საშენ მასალად იყენებენ როგორც ქვას, ისე აგურს, თუმცა უმრავლესობა ქვისგან არის აგებული.

თბილისში აგებული ტაძრები, მათი არქიტექტურული ტიპის მიხედვით, შეიძლება პირობითად ორ ჯგუფად დავყოთ: უგუმბათო და გუმბათიან ტიპის ტაძრებად. სწორედ პირველ მათგანზე შევჩერდებით ამჯერად.

უგუმბათო ტიპის ტაძრებში შედის დარბაზული ტიპის ნაგებობები, ასევე, სამი სამნავიანი ბაზილიკა და სამი ორნავიანი ტაძარი. შესაძლებელია, დარბაზული ტაძრების ჯგუფიდან ხუთი ტიპოლოგიური ჯგუფი გამოვყოთ: მარტივი გეგმის მქონე დარბაზული ტიპის, დარბაზული ტიპისა სამხრეთ კარიბჭე-მინაშენებით, ცალ მხარეს უბრალოდ მინაშენით, სამხრეთ-დასავლეთ მინაშენ-გარშემოსავლელით და დარბაზული ტიპის ტაძრები სამხრეთ-ჩრდილოეთ მინაშენით.


წმ. ლაზარეს სახელობის ეკლესია ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე


წმ. გიორგის სახელობის ეკლესია დიდუბეში სამტრედიის ქუჩაზე

დარბაზული ტიპის ეკლესიები ქრისტიანობის ადრეულ საფეხურზე შეიქმნა. ცალნავიანი ეკლესიების მარტივი ფორმები მათი სწრაფი აშენების საშუალებას იძლეოდა. ამ ტიპმა ყველაზე დიდხანს გაძლო. დარბაზულმა ტიპის ეკლესიებმა XVIII საუკუნემდე იარსება. ამ ტიპს, როგორც ვარაუდობენ მეცნიერები, საერო არქიტექტურა - საცხოვრებელი დარბაზი უდევს საფუძვლად. კონკრეტულად ჩვენში კი "გლეხის დარბაზი". ამას გარდა ფაქტია, რომ დარბაზული ტიპი ყველაზე მობილური იყო ყველა ერის ხალხისათვის, ყოველთვის. შესაძლოა, ამით უნდა ავხსნათ ამ ტიპის მსგავსი ახალ ეკლესია-ნაგებობების სიმრავლე თბილისშიც.

ბაზილიკა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ პირველ არქიტექტურულ ტიპს წარმოადგენს, რამაც განაპირობა მისი გავრცელება ქვეყნებში, რომლებიც ახალ რელიგიას ადრეულ ხანაში ეზიარა. საქართველოში სამნავიანი ბაზილიკები დომინირებენ და მათ ენიჭება უპირატესობა ადრეულ შუა საუკუნეების საწყისი პერიოდის ხუროთმოძღვრებაში. თუმცა, ბაზილიკის ტიპი გარედან შემოტანილ თავსმოხვეულ ვარიანტად დარჩა ბოლომდე. შიდა სივრცის გრძივი ღერძი ვერ შეისისხლხორცა ქართველმა ხუროთმოძღვარმა, მან მაინც ცენტრულ ტაძარს მიანიჭა უპირატესობა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თბილისის ახალ უგუმბათო ნაგებობათა ამგვარ ტიპიზირებას (დარბაზული თუ ბაზილიკური ტაძრები) ამ ტაძართა დახასიათების გამარტივებისთვის ვიშველიებთ. ისე კი, რიგ შემთხვევებში, მათი გეგმა თუ ფორმა პირდაპირი გაგებით არ პასუხობს დარბაზული თუ ბაზილიკური ტიპის ძირითად არსსა და შიდა სივრცისა თუ გარე მასათა გადაწყვეტაში მათ მიერ დასმულ ყველაზე მარტივ ან ძირითად ამოცანებს. ერთი მხრივ, დარბაზული ტაძრისთვის დამახასიათებელი ხალვათი სივრცე და მეორე მხრივ, ბაზილიკის გრძივღერძიანი შიდა სივრცე ახალ ეკლესიათა "უხერხულ" მინაშენებში და მშრალ, მეტად შეზღუდულ არქიტექტურულ კონსტრუქციებში დაკარგულა.

აღნიშნული ვარიანტებიდან სივრცულობით მაინც დარბაზული ეკლესიები გამოირჩევა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ისინი საკმაოდ მცირე, შეზღუდული ზომისანი და მწირად განათებულნი არიან, რაც ხელს უშლის სივრცის მთლიანობის აღქმას. მეტი სირთულეები გვხვდება დანარჩენებში (დარბაზულები სხვადასხვა მხრიდან, სხვადსხვა ზომის მინაშენებით), სადაც, ხშირ შემთხვევაში, დაუხვეწელი ან გამოკვეთილი არ არის, თუ რა ჩანაფიქრი ჰქონდა არქიტექტორს. მეტიც, საერთო წყობა თავისთავად გაუგებარი ხდება, როდესაც ტაძრის გარშემო მშენებლობანი თანდათან ვითარდება, ანუ სხვადსხვა მოცულობებს მაშინ უშენებენ, როცა ამის საჭიროებას ხედავენ, - როცა ეკლესიის მრევლი მატულობს. აქედან გამომდინარე, მათი საწყისი ეტაპის ფორმისეული გადაწყვეტა იკარგება. ამას გარდა, არის მრავალი პრობლემა და მრავალი ასპექტი, რასაც მეტ-ნაკლებად, ალბათ, უნდა შევეხოთ.

ის, რომ დღეს მრავალი ეკლესია შენდება, რომლებშიც წირვა-ლოცვა აღევლინება და აღმსარებელი მრევლი წმინდა ზიარებას ღებულობს, თავისთავად დიდი ღვთიური მადლია. თუმცა, არის მეორე მხარეც, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია. მარტო ის, რომ ეკლესია "სახლი ღვთისაა", მორწმუნეთა კრებულის შეყრის ადგილია, სადაც წმინდა ლიტურგიკა სრულდება, მხოლოდ ამიტომაც, ეს ნაგებობა განსაკუთრებული უნდა იყოს და არა ჩვეულებრივი არქიტექტურული, თუნდაც მწყობრი კონსტრუქცია. ისე როგორც ხატსა და ფრესკაში არსებობს გარკვეული კანონიკურობა, ქრისტიანულ არქიტექტურასაც გააჩნია საკუთარი იკონოგრაფია, რომლის დახვეწასა და "გაკეთილშობილებაზეც" მეტად ბევრს ზრუნავდა შუა საუკუნეების ხუროთმოძღვარი თუ დამკვეთი არქიტექტორი და რომლის არსებობა და მნიშვნელობა, როგორც ჩანს, დავიწყნია თანამედროვე შემოქმედთა უმრავლესობას. არქიტექტურა უთუოდ "გვიამბობს" რაღაცას. შუა საუკუნეების ტაძრები კი უთუოდ არიან განსაზღვრული აზრის მატარებელნი.

ქართული და საერთოდ ქრისტიანული ტაძრის მიერ დატეული სიმბოლური აზრი რთულია და მრავალასპექტიანი, თუმცა არის რამდენიმე მათგანი, რომელიც მეტად თვალნათელი დასანახია მისი ისტორიის განმავლობაში და აუცილებელია მათი გათვალისწინება, რათა ნაგებობამ ქრისტიანული, მართმადიდებლური ტაძრის იერი არ დაკარგოს და, უბრალოდ, რელიგიური-საკულტო დანიშნულება არ მიიღოს (ეს ორი კი მეტად განსხვავდება ერთმანეთისგან). რისი ტენდენციებიც, სამწუხაროდ, აშკარად შეინიშნება.

თბილისის ახალ, კონკრეტულად კი უგუმბათო ტაძრებში, ორი ტენდენცია იგრძნობა: ერთი მხრივ - შუა საუკუნეების არქიტექტურის პირდაპირ ასლებს ასრულებენ, ცალკეულ დეტალებს თუ მორთულობას სესხულობენ, მეორე მხრივ - ფორმალურ თუ სტილურ გადაწყვეტაში გარკვეულ სიახლეთა ძიება აღინიშნება. პირველი შემთხვევისთვის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ამაღლების სახელობის ტაძარი (ამაღლების ქ.), რომელიც სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. მისი შიდა სივრცე ერთი წყვილი სვეტით იყოფა სამ ნავად. მისი ფასადები უწყვეტი თაღედით არის მორთული, გამოყენებულია ჯვრისა და გრეხილი თაღის მოტივიც, რაც ჩვენი შუა საუკუნეების არქიტექტურის ტრადიციების გაგრძელება-გამეორებაზე მიუთითებს. საერთოდ, ნაგებობა საკმაო სიმპათიებს იმსახურებს, რაც მეტწილად მისი დეკორატიული იერიდან გამომდინარეობს. ამაში კი მნიშვნელოვან როლს მასალის თეთრი და ნაცრისფერი ფერების მონაცვლეობა ასრულებს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ნათლად ჩანს, რომ არქიტექტორები ზეპირად იმეორებენ მათთვის რჩეულ ვარიანტს, და არ იაზრებენ მას ახლებურად, არ ითავისებენ, მეორე შემთხვევაში, ავტორთა მცდელობა ძალად ორიგინალობას ჰგავს და არაადეკვატურობის, მეტიც, ფორმათა მოუქნელი თამაშის შთაბეჭდილებას უქმნის მნახველსა და მლოცველს. მაგალითად: წმ. ბარბარეს სახელობის ტაძარი გურამიშვილის გამზირზე, წმ. ბარბარე ვაჟა-ფშაველას გამზირზე და სხვა.

ამ თვალსაზრისით, გუმბათიან ნაგებობებში ერთიანი სურათია. ხუროთმოძღვრები, ძირითადად, მხოლოდ (გეგმის - ფორმის თვალსაზრისით) გადმოღებულ ვარიანტებს - რომელიმე ტაძრის ჩამოყალიბებულ მონახაზს ახორციელებენ. თუმცა, ამ ნაგებობებს უფრო კონკრეტულად შემდგომ სტატიაში შევეხებით.

ტაძართა მხატვრული გადაწყვეტა, თითქმის ყველგან ერთნაირია. იშვიათად გვხვდება ფასადები თითო-ოროლა რელიეფური ელემენტით, რომელთა ადგილი შემთხვევითობის შთაბეჭდილებას უფრო ბადებს, ვიდრე მათ გააზრებულ განთავსებას კონკრეტულ ადგილას, ხოლო დამუშავება, როგორც წესი, საკმაოდ უხეშია (მეორდება ჩაკვეთილი ჯვრები ან ვაზის მოტივი), ძირითადად, ტაძართა ფასადები მოკლებულია რაიმე მორთულობას, - შიშველია, თუმცა ეს მონუმენტური სისადავე არაა, ეს ფასადთა სიღარიბეა.

ის, რაც გვაოცებს ჩვენს უძველეს ეკლესიებში, ფორმისა და შინაარსის ადეკვატურობაა, ნინოწმინდა, ჯვარი, სამთავრო, ალავერდი და სხვა მრავალი ერთდროულად დიდი ხელოვნებაცაა და დიდი სულიერებაც. მიუხედავად ამისა, დღეს სამღვდელო პირები, ისინი, ვინც, ხშირ შემთხვევაში, არიან ამ ახალ ეკლესიათა მშენებლობების მოთავენიცა და არქიტექტორნიც, ამ ნაგებობათა მხატვრულ გადაწყვეტაზე საერთოდ არ ზრუნავენ. ფაქტია, ამ საქმისადმი მათი დამოკიდებულება ერთს ცხადყოფს, უმრავლესობა მათგანმა ტაძარი გამიჯნა მისი მხატვრული ღირებულებებისგან, რამაც თანამედროვე ეკლესიებს საკმაოდ უფერული იერსახე მისცა. არადა, ქართულ სატაძრო არქიტექტურაში ეს ორი ასპექტი მჭიდროდაა გადაჯაჭვული. შუა საუკუნეების ტაძარი ყველაფერთან ერთად, რა პერიოდისაც არ უნდა იყოს (კლასიკური თუ გარდამავალი ხანის), დახვეწილი ხელოვნების ნიმუშია. სწორედ რომ ხელოვნებაა, რომელიც იმ სულიერებას, იმ განწყობას, იმ ენერგიასა და იმ ამაღლებულ ხასიათს ატარებს, რასაც ნებისმიერი ადამიანი, მორწმუნე თუ ათეისტი, ქრისტიანი თუ სხვა სარწმუნოების აღმსარებელი მართლმადიდებლურ ტაძარში შესვლისას უნდა განიცდიდეს. ტყუილად ხომ არ არის ტაძარში კედლის მხატვრობა, საგალობელი - ყოველივეს თავისი შინაარსი-სემანტიკა, საკუთარი დატვირთვა აქვს - სვეტს, თაღს, გუმბათს, საკურთხევლის აფსიდას. ეს ყოველივე უეცრად და ხელაღებით არ მიუღიათ. ამ და სხვა მსგავსი საკითხის განსახილველად ეწყობოდა საეკლესიო კრებები, მსჯელობდნენ მეტად განათლებული წმინდა მამები, ქრისტიანული ხელოვნების მცოდნენი. რა თქმა უნდა, იყო აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა ამ პროცესებში იბადებოდა ის ნიმუშები, ის ძეგლები, რითიც ამაყობს ნებისმიერი ქრისტიანი ქართველი. დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა, არც არქიტექტორთა კავშირები ფლობს ინფორმაციას და არც საპატრიარქო ფლობს რაიმე მასალებს უკვე აშენებულ თუ მშენებარე ტაძრებზე. ვინ აშენებს, როგორ, სად არავინ უწყის. ამ პროცესებს არავინ აკონტროლებს, მიუხედავად იმისა, რომ სათანადო საბჭოები, რომელთა კომპეტენციაშიც ეს უნდა შედიოდეს ერთგანაც და მეორეგანაც მრავალია. თითქმის ყველგან, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მღვდლების კერძო მშენებლობებთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევებში კი, ამოცანა ერთია, მეტი და მეტი ადამიანი დაიტიოს შენობამ. სხვა ყოველივე კი, ის, რასაც შევეხეთ ამჯერად და რასაც მომდევნო სტატიაში მიმოვიხილავთ, ფაქტია და სამწუხაროა, რომ რიგ შემთხვევებში, მეორეხარისხოვანი.

---

პაულო კოელიოს სვეტი

# ვარიაციები ჯოჯოხეთზე



ცოდვილი ადამიანი თითქმის ყველა რელიგიაში განიკითხება. ყველგან მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც უკვდავი სული საზოგადოების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებებისთვის ისჯება (ძირითადად, სულ ასეა - ყველაფერს არა ინდივიდუალურ, არამედ საზოგადოების დონეზე განიხილავენ).

ტანჯვისთვის გამოყოფილი ეს მიწა სხვადასხვა რელიგიაში სხვადასხვაგვარადაა აღწერილი. მას ხან მდინარის შორეულ ნაპირად ხატავენ - მცველებად მიჩენილი მრისხანე და უმოწყალო სამთავიანი ძაღლების თანხლებით, ანდა - უზარმაზარ კლდედ, რომელიც თავის მძიმე კალთებქვეშ სრესს ცოდვილთა სულებს.

ბერძენთა გმირისთვის პრომეთესთვის - რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და კაცთა მოდგმას გადასცა - ჯოჯოხეთი, ალბათ, კლდეზე მიჯაჭვა იყო; კლდეზე, სადაც ყოველდღიურად მოფრინდებოდა ხოლმე არწივი, რათა პრომეთეს ღვიძლი ლუკმა-ლუკმა დაეწიწკნა და ეჭამა.

ჟან-პოლ სარტრი თავის პიესაში Huis Clos წერს, რომ ჯოჯოხეთია სხვა ხალხი. ერთ ლექსში ხორხე ლუის ბორხესიც არაჩვეულებრივად აღწერს ადამიანთა მომავალს გარდაცვალების შემდეგ: ის ამბობს, რომ ჩვენ გველის ერთ კონკრეტულ სახეზე უწყვეტად დაკვირვება და ფიქრი მის შესახებ. ზოგისთვის ამ სახეში გამთლიანდება სამოთხე - რადგანაც სახე შეიძლება მისთვის საყვარელი ადამიანისა იყოს; ზოგისთვის კი ეს იქნება ჯოჯოხეთი - რადგან მას აიძულებენ უწყვეტად, მარადიულად უყუროს იმ ადამიანს, რომელსაც უმიზეზოდ ატკინა გული.

ჯოჯოხეთის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო განმარტებას ერთ არაბულ წიგნში ვპოულობ: დაწერილია, რომ როგორც კი სული ტოვებს სხეულს, მან უნდა გაიაროს უვიწროეს, დანის წვერზე უფრო წვრილ ხიდზე. ერთ მხარეს სამოთხეა, მეორე მხარეს - ურიცხვი დაღმავალი წრე, რომელიც, ხვეულ-ხვეულ, დედამიწის გულისკენ მიექანება და ღრმა სიშავეში ინთქმება. ხიდის გადავლამდე (წიგნში არ არის მითითებული, თუ საით მიემართება თვითონ ხიდი) ადამიანი ერთ ხელში იჭერს ყველა კეთილ საქმეს, რაც კი ცხოვრებაში ჩაუდენია, მეორე მუჭს კი ცოდვებით ივსებს. მერე კი რომელი მხარეც გადასწონის - ცოდვისა თუ სიკეთისა, იქეთ მხარეს ჩავარდება, ან სამოთხეში, ან ჯოჯოხეთისკენ ჩამავალ ხვეულებში.

ქრისტიანობა აღიარებს ჯოჯოხეთს, სადაც მარადიული ტირილი, მოთქმა და კბილთა ღრჭენაა. იუდაიზმი აღგვიწერს გამოქვაბულის მსგავს საკანს, სადაც მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის სულები ეტევიან; ერთ დღესაც, როცა საკანი პირთამდე აივსება, მაშინ დგება სიცოცხლის აღსასრულიც. ისლამი გვიხატავს ყოვლისმომცველ ცეცხლს, რომელშიც ყველა დაიწვება, თუ ღმერთი არ ინებებს სხვაგვარად. "რელიგიათა განმარტოებით ლექსიკონში" კი ასეთი რამ წერია: ქრისტეს ამქვეყნად ცხოვრების დროს იუდაისტების ერთ ნაწილს სჯეროდა, რომ არაწმინდა სულები სიკვდილის შემდეგ ისჯებოდნენ გეენაში - სახელი, რომელიც იერუსალიმთან ახლომდებარე ადგილიდან აიღეს; ადგილიდან, რომელსაც მეზობელი ქალაქების მაცხოვრებლები ნაგავსაყრელად იყენებდნენ. თუმცა, გეენა არ გულისხმობდა მარადიულ სასჯელს. იქ ყოფნისა და ტანჯვის მაქსიმალური ვადა 365 დღე იყო.

ინდუისტებსაც არ აქვთ სულების მარადიული დასჯისთვის გამოყოფილი ადგილი, რადგან მათ სჯერათ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ სული რეინკარნაციას განიცდის და საკუთარი ცოდვებისთვის რომ ზღოს, ხელახლა მოევლინება იმ ადგილებს, სადაც ბოროტი საქმეები ჩაიდინა, - ანუ დედამიწას. მიუხედავად ამისა, ინდუისტურ რელიგიაში მაინც არის ოცზე მეტი სატანჯველი, რომელთაც ხშირად "ქვემო სიღრმეებს" უწოდებენ.

ბუდისტებიც სულის დასასჯელ რამდენიმე კატეგორიას გვთავაზობენ; მათ აქვთ რვა ცეცხლოვანი ჯოჯოხეთი და რვაც - ყინულოვანი. არის კიდევ ცალკე სამეფო, სადაც განკითხული სული ვერც სიცივეს გრძნობს და ვერც სიცხეს, მხოლოდ წყურვილისა და შიმშილის მარადიული შეგრძნებით იტანჯება.

თუმცა, როცა მრავალფეროვნებაზე და ჯოჯოხეთის სხვადასხვა კატეგორიაზე მიდგება საქმე, ჩინელებს ვერავინ შეედრება. უამრავი სხვა კულტურისგან განსხვავებით, რომლებიც ჯოჯოხეთს დედამიწის სიღრმეში სახავენ (ალბათ, სიკვდილის, დამარხვის და სხეულის ხრწნის ანალოგიით), ჩინელები ცოდვილ სულებს უფრო ზევით, მთებში აგზავნიან. უფრო ზუსტად, აგზავნიან მთების მასივში სახელად "რკინის პატარა კედელი", რომელიც გარშემორტყმულია "დიდი კედლის" სახელით ცნობილი მთების სხვა მასივით. ამ ორ სარტყელს შორის, ერთმანეთის თავზე, რვაზე მეტი დიდი ჯოჯოხეთია მოქცეული, თითოეული მათგანი შეიცავს 16-იოდე უფრო პატარა ჯოჯოხეთს, რომლებიც, თავის მხრივ, მათ ქვეშ განლაგებულ ათ მილიონამდე ჯოჯოხეთს ზედამხედველობენ.

ჩინელებს ასევე სწამთ, რომ ეშმაკები არიან სულები, რომელთაც უკვე ზღეს საკუთარი დანაშაულისთვის, განიცადეს დიდი ტკივილი და ახლა შურისძიებას სხვებზე აპირებენ, ცოდვაში დანარჩენების ჩათრევის გზით.




*პაულო კოელიოს ტრილოგიის პირველი წიგნი გამოსცა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.*

ფეხბურთი

# ადრიან მუტუ სკანდალში გაეხვია




ნინო ტიკარაძე

*აკრძალული პრეპარატების მოხმარების გამო სპორტსმენები ხშირად ხდებიან ჟურნალისტთა ინტერესის ობიექტები. დოპინგის სიყვარული ხშირად მათ საკმაოდ ძვირად უჯდებათ - დისკვალიფიკაციას, ბუნებრივია, ფეხბურთელის რეპუტაციის შელახვა მოჰყვება შედეგად.*

გუშინ სერიოზულ სკანდალში გაეხვია ინგლისური კლუბის "ჩელსის" რუმინელი თავდამსხმელი ადრიან მუტუ. საქმე ის არის, რომ დოპინგის ტესტმა დადებითი პასუხი აჩვენა, თუმცა, ჯერჯერობით, ყველაფერი გარკვეული არ არის. იმ შემთხვევაში, თუ მას დოპინგის მოხმარება დაუმტკიცდება, ორწლიან დისკვალიფიკაციას მიიღებს.

ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, ეს შედეგი არ შეიძლება სანდოდ ჩაითვალოს, რადგან იგი ოფიციალურად არავის გამოუცხადებია. აგენტი ამბობს, რომ სანამ განმეორებით ტესტს ანალოგიური შედეგები არ ექნება, ფეხბურთელის ბრალეულობაზე საუბარი ზედმეტია. "ორშაბათს მე ჩემს საქმიან პარტნიორთან ერთად ლონდონში გავფრინდი. სწორედ იქ გავიგე ეს ამბავი. მაშინვე მუტუს დავურეკე. ის ამ ცნობამ შოკში ჩააგდო და სასწრაფოდ დაბრუნდა ლონდონში."

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ ივლისში მუტუს ბრალი დასდეს დოპინგის მოხმარებაში. "მე არასოდეს მიმიღია აკრძალული პრეპარატები. ეს ბინძური ჭორებია ჩემს წინააღმდეგ." მაგრამ ამჯერად ყველაფერი რთულადაა. საქმე ეხება ტესტს, რომელმაც იგი დოპინგის მოხმარებაში ამხილა, თუმცა, ამხილა თუ არა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია!

როგორც გაირკვა, რამდენიმე ხნის წინათ მუტუს უსიამოვნება მოუვიდა "ჩელსის" მთავარ მწვრთნელთან ჟოზე მოურინიოსთან, რომელსაც არ უნდოდა, მის ფეხბურთელს რუმინეთის ნაკრების შემადგენლობაში ეთამაშა, მაგრამ მუტუმ არ გაითვალისწინა მოურინიოს სურვილი და მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩეხეთისა და რუმინეთის ნაკრები გუნდები.

დღეს კი რუმინეთში საუბარია იმაზე, რომ მოურინიომ "შური იძია" ურჩობისთვის, თუმცა, ამ აზრს არ ეთანხმებიან ინგლისში, რადგან, როგორც ამბობენ, მისი დისკვალიფიკაცია კლუბის ინტერესებში არ შედის.

ფეხბურთელის ერთ-ერთი წარმომადგენელი აცხადებს: "ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასა და თავად "ჩელსის", რა თქმა უნდა, აქვს ფეხბურთელთა შემოწმების უფლება, მაგრამ მათ ფეხბურთელი არ უნდა დაადანაშაულონ მანამ, სანამ სიმართლე განმეორებითი ტესტით არ დადგინდება. ჩვენ საბოლოო პასუხს ველოდებით. არავინ იცის, რა მოხდება შემდეგ. სიმართლე, ალბათ, რამდენიმე დღეში გაირკვევა."

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ტეილორი აცხადებს: "ჩვენ უკვე საქმის კურსში ვართ, მაგრამ მუტუსთან პირისპირ შეხვედრამდე არ ვაპირებთ კომენტარის გაკეთებას".

ვნახოთ, დამტკიცდება თუ არა მუტუს ბრალეულობა და შეუერთდება თუ არა იგი დოპინგის მოყვარულ სპორტსმენთა სიას. ყველაფერი რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

# "რეალის" ამბიცია დღეს გამოჩნდება

ჩემპიონთა ლიგის ტურნირში მონაწილე გუნდებიდან ბევრმა შაბათს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში ითამაშა. დღეს საუბარი გვექნება გუნდებზე, რომლებიც ამ საღამოს ჩემპიონთა ლიგის ტურნირის მესამე ტურში შეხვდებიან ერთმანეთს.

**A ჯგუფი**

**ლივერპული - დეპორტივო**

**მონაკო - ოლიმპიაკოსი**

შაბათს ინგლისის პრემიერლიგის მატჩში "ლივერპული" - 0:2 აგებდა ლონდონის "ფულჰემთან", მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება შეძლო და მეტოქეს ოთხი გოლი გაუტანა. თუმცა, "ლივერპულს" დანაკლისი აქვს. სტივ ფინანს მუცელი აწუხებს, ხოლო ჰარი კიუელს - ჯვარედინი იოგები. ამიტომ მათი მონაწილეობა "დეპორტივოსთან" ნაკლებად სავარაუდოა. რაც შეეხება იმ ფეხბურთელებს, ვინც ესპანელებს ნამდვილად არ ეთამაშება, ესენი არიან სტივენ ჯერარდი, ვლადიმირ შმიცერი და ანტონიო ნუნიესი. ჯერარდმა ფეხი მოიტეხა, ხოლო შმიცერმა და ნუნიესმა მუხლის ტრავმები მიიღეს და მათი საქმე უკვე გადაწყვეტილია.

"დეპორმა" შინ პრიმერადივიზიონში პირველი გამარჯვება იზეიმა და დებიუტანტი "ხეტაფე" დაამარცხა - 2:1. სეზონში ამ პირველი საშინაო გამარჯვებით გალისიელებს გუნება გამოუკეთდათ. ეს მატჩი გუნდში დიეგო ტრისტანის დაბრუნებით აღინიშნა, რომელიც იძულებული იყო, ტრავმის გამო სეზონის დასაწყისი გამოეტოვებინა. "დეპორტივოს" დაუბრუნდა მაურო სილვაც, რომელმაც ჯვარედინი იოგების ტრავმა მოირჩინა. გალისიელთა მწვრთნელმა თავის ფეხბურთელებს ენრიკე რომეროსა და ლიონელ სკალონის საშუალება მისცა, დაესვენათ და სასურველი ფორმა აღედგინათ.

"მონაკო" საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში "მეცს" უგებდა - 1:0, მაგრამ ანგარიშის შენარჩუნება ვერ მოახერხა და მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა. ამჟამად მონეგასკები ჩემპიონატის ლიდერებს "ლიონსა" და "ლილს" ოთხი ქულით ჩამორჩებიან. გუნდის მწვრთნელმა დიდიე დეშამმა არგენტინელ ხავიერ სავიოლას დასვენების საშუალება მისცა. სამაგიეროდ, "მონაკომ" დაკარგა პატრის ევრა, რომელმაც "მეცთან" მატჩში ტრავმა მიიღო. ფრანგები შინ ელოდებიან საბერძნეთის "ოლიმპიაკოსს", რომელმაც ეროვნული ჩემპიონატის მატჩში - 2:0 დაამარცხა "ერგოტელისი" და ქულებით გაუთანაბრდა ჩემპიონატის ლიდერ "პანათინაიკოსს".

**B ჯგუფი**

**ბაიერი - რომა**

**რეალი - დინამო**

ლევერკუზენის "ბაიერის" შემადგენლობაში მუხლის ტრავმის შემდეგ დაბრუნდა ხანო ბალიჩი. ფეხბურთელი ბუნდესლიგის ჩემპიონატის მატჩში "ჰერტას" წინააღმდეგ, რომელიც "ბაიერმა" წააგო - 1:3, შეცვლაზე გამოვიდა. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას იტალიური "რომას" წინააღმდეგ რადოსლავ კალუჟნის თამაშიც. მან პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში თამაშისას თავის ტრავმა მიიღო. "რომამ" კი, თავის მხრივ, დამაჯერებელი ანგარიშით - 2:0 დაამარცხა "ლივორნო". მსუბუქად დაშავდა დანიელე დე როსი, ხოლო რუმინელი კრისტიან კივუ თითქმის მწყობრში ჩადგა.




*შაბათს რონალდომ "ბეტისთან" შეხვედრაში "რეალი" გადაარჩინა. დღეს კი "სამეფო კლუბს" აუცილებლად გამარჯვება სჭირდება.*

მადრიდის "რეალმა" შაბათს ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში სევილიის "ბეტისის" წინააღმდეგ ფრედ - 1:1 ითამაშა. ამ ფრეს მადრიდელები უნდა უმადლოდნენ რონალდოს, რომელმაც გოლი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. "სამეფო კლუბის" მწვრთნელმა მარიანო გარსია რემონმა გუნდში "რეალის" იუნიორთა გუნდიდან ხავიერ არბელოა გადმოიყვანა. თავის სადებიუტო მატჩში ცენტრალური მცველის პოზიციაზე მან ალვარო მეხიო შეცვალა. "რეალს" ლაზარეთში დევიდ ბექჰემი და ჯონათან ვუდგეიტი ჰყავს. ორივეს ბარძაყი აქვს ნატკენი. მიჩელ სალგადომ კი ნაკრებში თამაშისას ტრავმა მიიღო და "ბეტისთან" მატჩი გამოტოვა. სანტიაგო სოლარი კი გამოჯანმრთელდა და მზად არის კიევის "დინამოსთან" სათამაშოდ, რომელმაც უკრაინის თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში "ვოლინი" - 2:1 დაამარცხა. ორი გოლი ლატვიის ნაკრების ფორვარდის მარის ვერპაკოვსკისის ანგარიშზეა.

**C ჯგუფი**

**აიაქსი - მაკაბი**

**იუვენტუსი - ბაიერნი**

გასულ უქმეებზე ჰოლანდიის "აიაქსმა" მოულოდნელი მარცხი იწვნია "ჰერენვენისგან" - 1:3. ეს "ჰერენვენის" პირველი გამარჯვებაა "ამსტერდამ არენაზე". ტრავმის გამო 8-თვიანი შესვენების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა მცველი ჰატემ ტრაბელსი. ფეხის განმეორებითი ტრავმის გამო ჰოლანდიის ჩემპიონატის მატჩი გამოტოვა რაფაელ ვან დერ ვაარტმა. მას ტრავმა ფინეთთან მატჩში გაუმიზეზდა. ტრავმირებულთა შორისაა ფორვარდი მაურო როსალესი. თუმცა, მეკარე მაარტენ სტეკელენბურგს იმედი აქვს, რომ ტელ-ავივის "მაკაბის" წინააღმდეგ სათამაშოდ მზად იქნება. "მაკაბიმ", თავის მხრივ, ქვეყნის ჩემპიონატში ფრედ დაასრულა მატჩი ნაზარეთის "ჰაპოელთან" - 1:1. ჯვარედინი იოგების ტრავმის შემდეგ გამოკეთდა ლორან კოენი. ბრაზილიის ნაკრების მცველ მარსიო ჯოვანინის კი ნიღბით მოუხდა თამაში, რომლითაც გატეხილ ცხვირს იცავდა. შეიძლება "აიაქსის" წინააღმდეგ სათამაშოდ მინდორზე ისიც გამოვიდეს.

ტურინის "იუვენტუსი" კი სერია A-ს ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. მან გასულ უქმეებზე "მესინა" - 2:1 დაამარცხა. ეს მატჩი გამოტოვა "იუვეს" ფრანგმა ფორვარდმა დავიდ ტრეზეგემ, რომელსაც დღეს ოპერაციას უკეთებენ. რაც შეეხება ალესანდრო დელ პიეროს, ის ტრავმის შემდეგ მწყობრში დგება და არ არის გამორიცხული, "ბაიერნის" წინააღმდეგ მანაც ითამაშოს. გერმანელები კი დასუსტებულნი არიან. ტრავმების გამო მათ ალექსანდრ ციკლერი და როკე სანტა კრუსი აკლიათ. ეს ფეხბურთელები ახლო მომავალში ნამდვილად ვერ ჩადგებიან მწყობრში. ტრავმირებულთა ნუსხაში ფიგურირებს ფორვარდების - კლაუდიო პისაროსა და ვაჰიდ ჰაშემიანის გვარებიც.

**D ჯგუფი**

**სპარტა - მანჩესტერ იუნაიტედი**

**ფენერბახჩე - ლიონი**

სტამბულის "ფენერბახჩემ" უაღრესად ძვირფასი გამარჯვება მოიპოვა "გაზიანთეფსპორთან" მატჩში. ერთადერთი გოლი ჰოლანდიელმა ფორვარდმა პიერ ვან ჰოიდონკმა გაიტანა. გუნდი დროებით დატოვა ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელმა ალექსმა. მან თურქეთში დაბრუნება ვერ მოასწრო და ბრაზილიის ნაკრებთან ერთად სამშობლოში შეყოვნდა. თურქები შინ ფრანგულ "ლიონს" ელოდებიან. ფრანგებმა ქვეყნის ჩემპიონატის მატჩში "კანი" - 4:0 გაანადგურეს. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას თურქეთში ჟუნინიო ბარამბუკანოს თამაში. მან ნაკრებში გამოსვლისას ტრავმა მიიღო. სამაგიეროდ, შემადგენლობაში ბრუნდება ფორვარდი სილვენ ვილტორი.

პრაღის "სპარტამ" ჩეხეთის ჩემპიონატის მატჩში თანაქალაქელი "სლავია" დაამარცხა და დღეისთვის სატურნირო ცხრილში პირველ ადგილს ინარჩუნებს. ერთადერთი გოლი ამ შეხვედრაში ირჟი ხომოლმა გაიტანა. პრაღაში ჩადის "მანჩესტერ იუნაიტედი", რომელმაც შაბათს ინგლისის ჩემპიონატის მატჩში მორიგი ქულები დაკარგა. მან ვერ შეძლო "ბირმინგემის" წინააღმდეგობის დაძლევა - 0:0. ამ მატჩში უეინ რუნი მხოლოდ შეცვლაზე გამოვიდა. რაიან გიგზი ავადაა, ხოლო ოლე გუნარ სოლსკიაერი მუხლის ტრავმის გამო უახლოეს რამდენიმე თვეს გამოტოვებს.

ფორმულა 1

# მოძრავი მაცივარი სან-პაულუზე ოცნებობს

გერმანულ "Bild am Sonntag"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში "ფერარის" ბრაზილიელი მრბოლი რუბენს ბარიკელო "იტალიისა" და "ჩინეთის დიდ პრიზებზე" გამარჯვებასა და თავის მიზნებზე საუბრობს. რუბინიოს სიტყვებიდან შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ სკუდერიელები ოსტატურად ცვლიან საკუთარ პრიორიტეტებს მრბოლების მიმართ. რომ არა საჯინიბოში ისეთი თანაგუნდელის ყოლა, როგორიც გერმანელი მიხაელ შუმახერია, გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ბრაზილიის ჰიმნს კიდევ რამდენჯერმე ააჟღერებდნენ, მაგრამ ბრაზილიელს, ჯერჯერობით, მაინც, აწ უკვე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონთან გაპაექრების საშუალებას არ აძლევენ. იტალიური საჯინიბოსთვის მთავარია "შუმი" და მერე რუბინიო. ის, ვინც სამეფო რბოლებს ადევნებს თვალყურს, ამაში ეჭვი არ უნდა შეეპაროს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "Bild am Sonntag"-ი და რუბინიო.

**- ამ კვირას ბრაზილია სეზონის ფინალურ რბოლას უმასპინძლებს. შინაურ კედლებში სარბოლო სტატისტიკას თუ გადავხედავთ, სახარბიელო ვითარებაში არ ხართ. რას იტყვით 2004 წლის შესაძლო შედეგზე?**

- იმედი მაქვს, ამჯერად ყველაფერი კარგად იქნება. მინდა, რბოლა ბოლომდე მივიყვანო და, ბოლოს და ბოლოს, სამშობლოშიც გავიმარჯვო. ჩემპიონის ტიტულთან ერთად ეს ჩემი კიდევ ერთი დიდი ოცნებაა.

**- ოცნებად ბოლო რბოლებიც გქონდათ: "მონცაზე" ("იტალიის დიდი პრიზი") და "ჩინეთის დიდ პრიზზე" გამარჯვებები. წლეულს ასე კარგად არსად გამოსულხართ?**

- მართალი გითხრათ, საკუთარ თავში არაფერი შემიცვლია, ისევე როგორც მანქანაში. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ მოულოდნელად გუნდისგან მხარდაჭერა მივიღე...

**- ესე იგი, ადრე შუმახერთან ბრძოლა არ შეგეძლოთ?**

- ეს არასდროს აუკრძალავთ. ალბათ, უფრო შემთხვევით ხდებოდა ყველაფერი. მე ახლაც დიდი მხარდაჭერა მაქვს...

**- შუმახერს მანამდე ექნება მხარდაჭერა, სანამ ტიტულის მოგებას ვერ შეძლებს?**

- დარწმუნებული ვარ, სეზონის განმავლობაში მეც და მიხაელიც აბსოლუტურად ერთნაირ ტექნიკას მივიღებთ. იმის გამო, რომ, მიხაელი დიდი ხანია "ფერარიში" გამოდის, მის ირგვლივ უფრო მეტი ადამიანი ფუსფუსებს. ასე რომ, მას უფრო მჭიდრო ფსიქოლოგიური კავშირი აქვს გუნდთან.

**- თქვენ კი იმისთვის გიხდიან, რომ გუნდის მეორე ნომერი იყოთ.**

- არა! მე იმისთვის მიხდიან, რომ წლიდან წლამდე უკეთესი ვიყო. ერთადერთი მიზნით - ჩემპიონატში გამარჯვება.

**- თქვენ რა, კიდევ გჯერათ, რომ შეგიძლიათ, მსოფლიო ჩემპიონი გახდეთ, მაშინ როდესაც მიხაელ შუმახერი თქვენი გუნდის ღირსებას იცავს?**

- ეს სულაც არაა ფანტაზია. ეს აბსოლუტური რეალობაა. მინდა, რომ ჩემპიონი "ფერარიში" გავხდე. მე შემიძლია მიხაელის დამარცხება. მომავალი სეზონიდან ისევ შევუდგები მასთან ორთაბრძოლას! მხოლოდ მაშინ წავალ, როდესაც დავრწმუნდები, რომ მიხაელი ჩემზე ძლიერია. მე ისეთივე სწრაფი ვარ, როგორც ის.

**- ფორმულა 1-ში თქვენზე დაცინვით ამბობენ "მუდმივად მეორე". არ გაღიზიანებთ?**

- მიყვარს ხალისი. სულ ვიცინი, რაც საკუთარი მიზნების მიღწევაში მეხმარება.

**- შუმახერთან შედარებისას ყოველთვის არასაკმარის ცივსისხლიანობაში გადანაშაულებენ.**

- ჩემთვის სულ ერთია, რას ამბობს ხალხი. ცხოვრებაში ბევრად უფრო ემოციური და მგრძნობიარე ვარ, ვიდრე მიხაელი, მაგრამ ტრასაზე ჩვენს შორის არანაირი სხვაობა არაა.

**- დავიჯეროთ, სხვა განსხვავება არაა?**

- ადრე უფრო ემოციური ვიყავი მანქანაშიც. მაგრამ ამისთვის დიდი საზღაური გავიღე. ახლა მეც ისეთივე მოძრავი მაცივარი ვარ, როგორც მიხაელი.




*რუბენს ბარიკელო: "მინდა, რბოლა ბოლომდე მივიყვანო და, ბოლოს და ბოლოს, სამშობლოშიც გავიმარჯვო. ჩემპიონის ტიტულთან ერთად ეს ჩემი კიდევ ერთი დიდი ოცნებაა."*

**- შუმახერი თქვენი მეგობარია?**

- თუ ნამდვილი მეგობრები ახალ წელსა და შობას ერთმანეთს ტელეფონით ულოცავენ, მაშინ - ჰო. ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. მაგრამ ტრასაზე ჩვენს მეგობრობას წერტილი ესმება.

**- ოდესმე თუ მოუტყუებიხართ?**

- თუ მას არ შეუძლია, ბოლომდე მართალი იყოს, კითხვაზე არ მპასუხობს ან თვალებში არ მიყურებს.

**- ისეთი სურვილი თუ გაქვთ, რომლის შესრულებაც მიხაელს შეუძლია?**

- მინდა, რომ კვირას სან-პაულუში გავიმარჯვო. ესაა ჩემი მთავარი სურვილი.

რაგბი

# რუსებს დავთრები აერიათ

პაატა თოთაძე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

რუსმა "დათვებმა" გეგმები შეცვალეს.

რუსეთის სარაგბო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში მომხდარმა სენსაციამ და მისგან წარმოქმნილმა არეულობამ მნიშვნელოვნად აურია გეგმები ნაკრებს. სამი ტურით ადრე ჩემპიონად მონათლულმა "ვვა-მონინომ" იმდენი მოახერხა, რომ შინ წააგო მოსკოვის "სლავასთან" და ახლა ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ოქროს მატჩში ანუ ფინალში მოუწევს კრასნოიარსკის "ენისეისთან" შეხვედრა.

ბოლოსწინა ტურამდე "მონინო" ორი ქულით უსწრებდა მთავარ კონკურენტ "ენისეის", რადგან ის პირად შეხვედრაში ჰყავდა დამარცხებული. აქედან გამომდინარე, "მფრინავები" ყველამ ჩემპიონად მიიჩნია და, გუნდის სიძლიერიდან გამომდინარე, არავის გასჩენია ეჭვი, რომ "მონინო" "სლავასთან" დამარცხდებოდა. ამიტომაც დაიგეგმა ნაკრების შეკრება ჩემპიონატის დასრულებისთანავე. იმდენი უძახეს, ჩემპიონები ხართო, "მფრინავებმა" თავისი უკეთესობა ნაადრევად ირწმუნეს და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც. "მონინომ" "სლავასთან" წააგო, რითაც უმალ ისარგებლა "ენისეიმ" და "კრასნი იარის" დამარცხებით ქულებით გაუთანაბრდა მოწინააღმდეგეს. რუსეთის ჩემპიონატის დებულებით კი, თანაბარქულიან მოწინააღმდეგებს შორის უკეთესს დამატებითი მატჩი გამოავლენს.

საქართველოს წინააღმდეგ ევროპის ერთა თასის პირველი მატჩისთვის მზადება რუსეთის ნაკრებს დღეს უნდა დაეწყო. კვირას ჩემპიონატი უნდა დამთავრებულიყო, ორშაბათს კი ნაკრების წევრები მოსკოვში შეკრებილიყვნენ. ნაკრების ახალი მწვრთნელის იგორ მირონოვის განცხადებით, სამშაბათიდან გუნდს შეკრება უნდა დაეწყო ჯერ რუსეთში, შემდეგ კი - საფრანგეთში, მაგრამ მოულოდნელად გაგრძელებულმა ჩემპიონატმა ყველას აურია გეგმები. ახლა მირონოვი იძულებულია, ჩემპიონატის დასრულებას დაელოდოს, რაც ნაკრების კიდევ ერთკვირიან უქმობას ნიშნავს, თუმცა, ვფიქრობთ, საკმარისი არც ეს იქნება. მოთამაშეებმა ნაკრების შეკრების წინ სამდღიანი დასვენება ითხოვეს. "ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ დასვენება გვჭირდება. ამისთვის სამი დღე საკმარისი იქნება", - ნათქვამია მოთამაშეთა მიერ რაგბის კავშირისთვის გაკეთებულ მიმართვაში. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, რუსეთის ნაკრებმა 25 ოქტომბრამდე მზადება ვერ დაიწყოს.

მთლად კარგად არც საქართველოს ნაკრებს აქვს საქმე. ფრანგული შეკრება ველარ გაიმართება. გუნდი ვერც ჩილესა და ურუგვაიში მიემგზავრება, იქ "ა" ნაკრები წავა. ლეგიონერთაგან კი მხოლოდ ოთხნი - ზირაქიშვილი, უდესიანი, სამხარაძე და მაისურაძე შეუერთდებიან გუნდს. დანარჩენი ლეგიონერები ანუ ნაკრების ბირთვი 9 ნოემბერს ჩამოვა საქართველოში. ამ დროს სამხრეთამერიკული ტურნედან დაბრუნდება "ა" ნაკრები და დაიწყება ეროვნული გუნდის შეკრება რუსეთთან მატჩისთვის მოსამზადებლად.

სხვათა შორის, ამ დღეებში "იმედი L - აკადემიაში" მოთამაშე ეროვნული ნაკრების რამდენიმე წევრი უკრაინაში იყო, სადაც შავი ზღვის აუზის ქვეყნების თასის პირველი გათამაშება გაიმართა. თავდაპირველი გაანგარიშებით, ტურნირში მონაწილეობა უნდა მიეღოთ საქართველოს, რუსეთის, რუმინეთისა და უკრაინის საუკეთესო კლუბებს, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩემპიონებმა სხვადასხვა მიზეზის გამო უარი განაცხადეს მონაწილეობაზე. უკრაინაშიც ორი ადგილობრივი გუნდი, თბილისის "იმედი L - აკადემია" და მოსკოვის "ფილი" შეიკრიბნენ. პირველ მატჩში ქართველმა მორაგბეემა ოდესის ნაკრები დაამარცხეს 50:11, ფინალში კი "ფილის" სძლიეს 10:3 და ტურნირის პირველი გამარჯვებულებიც გახდნენ. ამ მოგებამ ქართულ კლუბს ევროპის რეგიონთა თასზე პირდაპირ მეოთხედფინალიდან თამაშის უფლება მისცა. "იმედი L - აკადემიის" დებიუტი რეგიონთა თასზე 31 ოქტომბერს ლატვიაში გაიმართება. ქართველები რიგის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

აკადემიელების უკრაინაში ყოფნის გამო გადაიდო საქართველოს ჩემპიონატის მატჩი "ყოჩებთან". მეშვიდე ტურში, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, სამის ნაცვლად ორი მატჩი გაიმართა. ბათუმში "დათვებმა" ქუთაისის "აია" დაამარცხა 12:10 და, ფაქტობრივად, გაინაღდა ადგილი ოთხეულში. ამჟამად ბათუმური კლუბი ფინანსურ კრიზისშია და "აიასთან" მოთამაშეთა მოედანზე გასვლაც სათუო იყო, თუმცა, ამ ეტაპზე პრობლემა გადაიჭრა. რა იქნება შემდგომში, გაურკვეველია, თუმცა, როგორც გავიგეთ, აჭარის მთავრობამ გადაწყვიტა, კლუბს დაეხმაროს. ასე რომ, "დათვებს" დაშლა, ალბათ, არ დაემუქრებათ, მომავალი სეზონიდან კი, კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, საჭირო ფინანსები გაჩნდება. ტურის მეორე მატჩში "ლელომ" ქვეყნის ჩემპიონი "ლოკომოტივი" დაამარცხა და ოთხეულში შესაღწევად პრობლემებიც შეუქმნა, თუმცა, რკინიგზელები იმედს არ კარგავენ. ძველმა გვარდიამ ვარჯიში დაიწყო და რომ შემოგვიერთდებიან, მერე ნახეთ, რა გუნდი გვეყოლებაო, ითქვა. ჯერჯერობით კი "ლოკომოტივი" ექვსგუნდიან ჩემპიონატში მეხუთე ადგილზეა და ოთხეულში შესაღწევად მასავით ოთხქულიან "ყოჩებს" ებრძვის.

ჭადრაკი

# ლეკო გამარჯვებასთან ერთ ნაბიჯზეა



პეტერ ლეკო ახლოს არის კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულთან.

უნგრელმა დიდოსტატმა პეტერ ლეკომ თეთრი ფიგურებით კიდევ ერთხელ მოახერხა და ყაიმს მიაღწია. ახლა ვლადიმირ კრამნიკს ერთადერთი შანსი დარჩა - მან ბოლო, მე-14 ტურში აუცილებლად უნდა დაამარცხოს ლეკო, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და მსოფლიოს გამაერთიანებელი ჩემპიონატის ფინალის საგზური მოიპოვოს. ამჟამად მატჩის ანგარიშია - 7:6 უნგრელი დიდოსტატის სასარგებლოდ.

ასე რომ, კრამნიკი მარცხთან ერთ ნაბიჯზეა. მე-13 პარტიაში ყაიმი მისთვის უაღრესად დიდი დარტყმა იყო. უკანასკნელ პარტიაში ნაღდ გამარჯვებაზე თამაში, მოგეხსენებათ, ძალიან ძნელია და დიდია დამარცხების რისკიც. ლეკომ კიდევ ერთხელ, უკვე მეოთხედ აირჩია ძველინდური დაცვის ვარიანტი. უნდა ითქვას, რომ კრამნიკი მოვლენების ამგვარ განვითარებას ელოდა კიდეც. უკვე მესამე სვლაზე კრამნიკმა მეტოქეს სიახლე შესთავაზა. მან პაიკი C5-ზე გადააადგილა. ამით კრამნიკმა სერიოზულად აურია ლეკოს დავთრები. ამ სვლის შემდეგ უნგრელს უკვე აღარ შეეძლო, მშვიდად გაემყარებინა თავისი დაცვითი პოზიციები. ამის შედეგად, კრამნიკს შეტევის წარმატებით განვითარებისთვის დიდხანს შერჩა შანსი.

არადა, კრამნიკის კარიერაში ერთადერთხელ მოხდა, რომ ძველინდური დაცვის დროს მესამე სვლაზე მან C5 ითამაშა. ეს ამბავი გარი კასპაროვთან შეხვედრაში მოხდა, მაგრამ მაშინ ამ სვლამ კრამნიკს წარმატება არ მოუტანა. ახლა ლეკომაც მოახერხა და ყაიმი შეინარჩუნა. უნგრელმა პარტია მომქანცველ ენდშპილამდე მიიყვანა და, ბოლოს და ბოლოს, მოახერხა იმ საშიშროების ლიკვიდაცია, რომელიც უნგრელს დედოფლის პაიკისგან ემუქრებოდა. ვლადიმირ კრამნიკს ისღა დარჩენოდა, მეტოქეს ყაიმზე შეთანხმებოდა.

მოკლედ

## მანსინი "რომაში" რჩება

იტალიურმა "რომამ" კონტრაქტი გააფორმა დანიელე დე როსისთან, ხოლო მეორე დღეს კონტრაქტი გაუფორმა ბრაზილიელ ნახევარმცველ მანსინის. შეთანხმების თანახმად, ბრაზილიელი რომაულ გუნდში 2009 წლამდე დარჩება. 2002 წელს ჰავბეკი კლუბმა ბრაზილიის "ატლეტიკო მინეიროსგან" შეიძინა. მანსინიმ "ვენეციაში" იჯარით ყოფნისას წარუმატებელი სეზონი ჩაატარა, მაგრამ მოახერხა და "რომას" ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. რომაულ კლუბში მანსინის ანგარიშზე სეზონში 8 გატანილი გოლია. მათ შორის არის "ლაციოს" კარში ქუსლით შეგდებული ბურთიც.

მიმდინარე სეზონში სერია A-ში ხუთი, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ორი მატჩი ჩაატარა. ჯერჯერობით რომაული კლუბი არცთუ ისე წარმატებით გამოდის. ქვეყნის ჩემპიონატში მე-14 ადგილზეა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ტურნირში ჯერჯერობით არც ერთი ქულა არა აქვს. რომაელები ლიგის მესამე ტურის მატჩში ლევერკუზენში "ბაიერს" შეხვდებიან.

## ანდერსონი ყატარში გადაბარგდა

ესპანეთის "ვილიარეალის" ბომბარდირის მოლაპარაკება თავის გუნდთან წარუმატებლად დასრულდა და ბრაზილიელმა გოლეადორმა სონი ანდერსონმა მიიღო ყატარის "ალ-რაიანის" წინადადება, რომლის მიხედვითაც ბრაზილიელი ფორვარდი ახლო აღმოსავლეთის ამ ქვეყნის კლუბში ითამაშებს.

ესპანეთის პრიმერადივიზიონის კლუბის ხელმძღვანელობა ცდილობდა, ფორვარდი როგორმე შეენარჩუნებინა, მაგრამ გუშინ "ვილიარეალის" პრეზიდენტმა ფერნანდო როიგმა განაცხადა, რომ 34 წლის ბრაზილიელთან კონტრაქტი დასრულდა. სონი ანდერსონი ყატარელებმა 2 მილიონ ევროდ შეიძინეს. ანდერსონი ესპანელებმა საფრანგეთის "ლიონისგან" შეისყიდეს. საერთო ჯამში ანდერსონის ანგარიშზე ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებში გატანილი 198 გოლია.

"სიტუაცია რთული იყო. ფეხბურთელი აშკარად ამჟღავნებდა წასვლის სურვილს, - განაცხადა როიგმა, - ბოლოს და ბოლოს, ჩვენ შევძელით, საერთო გადაწყვეტილებამდე მივსულიყავით და ერთმანეთს მეგობრულად დავშორდით". ესპანეთის "ვილიარეალი" უეფას თასის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში ხუთშაბათს რომში "ლაციოს" შეხვდება.

TV-სპორტი

## სამშაბათი. 19 ოქტომბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: მეჯიკ ჯონსონი
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1985. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "BOSTON CELTICS" - "DETROIT PISTONS". მე-5 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკენდი
13:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ნანტი" - პსჟ
14:40 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:30 თავისუფალი დარტყმა
15:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:40 ინგლისის ჩემპიონატი. "პორტსმუტი" - "ტოტენჰემი"
18:15 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:35 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:30 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:25 ON-LINE ჩემპიონთა ლიგა
00:50 ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერი" - "რომა"

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:40 ჩოგბურთი. "Masters Series" მადრიდში
12:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
13:35 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ვ. კრამნიკი - პ. ლეკო
14:05 "ჰოკეი-პლუს"
14:25 მაგიდის ჩოგბურთი. ITTF Pro Tour პოლონეთში. ფინალები. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:15 ჰოკეი. NHL-ის ყველა ვარსკვლავთა მატჩის რეტროსპექტივა. 2002 წელი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 აფროსნობა. ამერიკის თასი
21:45 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "ჰოკეი-პლუს"
22:10 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
22:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "იუვენტუსი" - "ბავარია". პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ახალი ამბები
00:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "სპარტა" - "მანჩესტერ იუნაიტედი"

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. ევროგოლები
11:30 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!!!
11:45 მულტისპორტი
12:15 უეფას ჩემპიონთა ლიგა
12:45 უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:45 ფეხბურთი. ევროგოლები
14:45 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!!!
15:00 მულტისპორტი
15:30 უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი შვეიცარიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 უეფას ჩემპიონთა ლიგა
20:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი შვეიცარიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:30 უეფას ჩემპიონთა ლიგა
22:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 მულტისპორტი
01:30 ახალი ამბები
01:45 ნასკარის ავტორბოლები

კალათბურთი

# ვინ, რა, როგორ NBA-ში

სანდრო ნავერიანი



"მაიამი ჰიტის" წარმატებაზე შაკილ ო`ნილი და დუეინ უეიდი იზრუნებენ.

**4. "მაიამი ჰიტი"** (გასული სეზონი: 42-40)

**სასტარტო ხუთეული:** დუეინ უეიდი, ედი ჯონსი, რაშალ ბატლერი, ადონის ჰასლემი, შაკილ ო`ნილი.

ამ შემთხვევაში ბევრი ლაპარაკი არ დამჭირდება. რატომ? იმიტომ, რომ "მაიამი ჰიტში" შაკილ ო`ნილი თამაშობს. ეს ფაქტი ბევრ რამეზე მეტყველებს. საინტერესო იქნება, თუ როგორ შეთამაშდებიან ერთმანეთთან შაკილ ო`ნილი და დუეინ უეიდი. შეიძლება ეს ტანდემი შარშანდელი კობი-შაკის ტანდემს შევადაროთ. ბევრი რამ იქნება იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ ითამაშებს შაკილ ო`ნილ-დუეინ უეიდის წყვილი. რაც შეეხება დანარჩენ კალათბურთელებს, ისინი, ალბათ, ორი ლიდერის ჩრდილში მოექცევიან. ადონის ჰასლემის მისია ფარიდან ბურთის მოხსნა იქნება, ხოლო შორიდან უესლი პერსონი ტყორცნის. არა მგონია, "მაიამი ჰიტმა" ჩემპიონობისთვის იბრძოლოს, მაგრამ ასეთი შემადგენლობით პლეი-ოფში გასვლა არათუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელია. ბოლოს და ბოლოს, ამ გუნდში ხომ შაკილ ო`ნილი თამაშობს!

**3. "ნიუ-იორკ ნიქსი"** (გასული სეზონი: 39-43)

**სასტარტო ხუთეული:** სტეფონ მარბერი, ალან ჰიუსტონი, კურტ ტომასი, ტიმ ტომასი, ნაზრ მუჰამედი.

მთელი სეზონის განმავლობაში "ნიუ-იორკ ნიქსის" გენერალური მენეჯერი აიზია ტომასი ცდილობდა, გუნდი გაეძლიერებინა. ბევრი წვალების შემდეგ ტომასმა "ჩიკაგო ბულზთან" მიაღწია შეთანხმებას და ჯამალ კროუფორდი ნიუიორკულ კლუბში გადაიყვანა. აიზია ტომასი კმაყოფილია ჯამალ კროუფორდის "ნიუ-იორკ ნიქსში" გადაყვანით. "ძალიან მინდა, ჯამალმა ის ავანსები გაამართლოს, რომელიც ჩვენ მივეცით", - განაცხადა აიზია ტომასმა. ჯამალ კროუფორდს შეუძლია თამაში როგორც გამთამაშებლის, ისე შემტევი მცველის პოზიციაზე. ვფიქრობ, კროუფორდი სასარგებლო იქნება ნიუიორკული კლუბისთვის. ჯამალ კროფოურდს თავისუფლად შეუძლია შეცვალოს სტეფონ მარბერი. საერთო ჯამში "ნიუ-იორკ ნიქსი" სოლიდური გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მათი ერთადერთი სისუსტე არის ცენტრი. სწორედ ცენტრის პრობლემა აქვს "ნიუ-იორკ ნიქსს". ნაზრ მუჰამედის ბევრი ქების მიუხედავად, ის მაინც ვერ არის იმ დონის კალათბურთელი, რომელიც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სტანდარტებს შეესაბამება. "ნიუ-იორკ ნიქსის" პლეი-ოფში გასვლა სავსებით რეალურია.

**2. "ინდიანა პეისერზი"** (გასული სეზონი: 61-21)

**სასტარტო ხუთეული:** ჯამალ ტინსლი, სტივენ ჯექსონი, რონ არტესტი, ჯერმაინ ო`ნილი, ჯეფ ფოსტერი.

ძნელია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ გამოიჩენს თავს "ინდიანა პეისერზი". თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორი სეზონი ჰქონდა შარშანდელ გათამაშებაში, მაშინ ინდიანაპოლისელები ლიგის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ გუნდად უნდა გამოვიდნენ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წლევანდელ სეზონში ბევრი გადახალისებული და, რაც მთავარია, გაძლიერებული გუნდია. საინტერესოა ისიც, რომ "ინდიანა პეისერზს" წლეულს არავინ შეუძენია, თუმცა, არც არავინ გაუშვია. ერთი სიტყვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ "ინდიანა პეისერზი" იმ წარმატებას გაიმეორებს, რასაც შარშან მიაღწია. რაც შეეხება ინდიანელთა ცოცხალ მოთამაშე ლეგენდას რეჯი მილერს, ის, ალბათ, სათამაშო დროის მეხუთედს გამოიყენებს და შეეცდება, გუნდს დაეხმაროს.

**1. "დეტროიტ პისტონზი"** (გასული სეზონი: 54-28))

**სასტარტო ხუთეული:** ჩონსი ბილაფსი, რიჩარდ ჰამილტონი, ტაიშონ პრინცი, რაშიდ უოლასი, ბენ უოლასი.

ამ გუნდზე ბევრი ლაპარაკი, მომიტევეთ და, ზედმეტი იქნება. კალათბურთის ყველა მოყვარულმა კარგად იცის, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ბეჭდების უკანასკნელი მბრძანებლები სწორედ დეტროიტელი დგუშები არიან. გახსოვთ შარშანდელი სეზონი? თუ გახსოვთ, მაშინ ისიც გეხსომებათ, რომ დეტროიტელი ბენ უოლასი "ბიძია სტიოპასავით" იდგა ფარქვეშ; ისიც გემახსოვრებათ, რომ რიპ ჰამილტონი (რიჩარდ ჰამილტონის მეტსახელი.-რედ.) მეტოქის დაცვას თავბრუს ახვევდა და თამაშში, საშუალოდ, ოც ქულას აკეთებდა; ეს თუ გახსოვთ, მაშინ ისიც გემახსოვრებათ, რომ ჩონსი ბილაფსი უკანასკნელ წამებზე სამქულიანებს აგდებდა და თავისი გუნდი მომდევნო ეტაპზე გაჰყავდა; არც რაშიდ უოლასის სასარგებლო ქულები და ტაიშონ პრინცის ემოციური თამაში უნდა დაგვიწყებოდათ. ასე რომ, კალათბურთის გულშემატკივრებო, მინდა გისურვოთ, რომ წლევანდელ სეზონში ლამაზი კალათბურთი გენახოთ. რაც შეეხება "დეტროიტ პისტონზს", ის აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას და ჩემპიონის ბეჭედს ასე ადვილად არავის დაუთმობს.

# ტერორიზმის სათავეებთან

ნაწილი III

დასასრული; დასაწყისი იხილეთ ნომრებში: 246 და 247

ლაშა ბაქრაძე

## სიცოცხლე, როგორც იარაღი - ტერორის ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი

ლოდის, დღევანდელი ბენ-გურიონის, აეროპორტში 1972 წლის 30 მაისს რომიდან ჩვეულებრივი თვითმფრინავით ჩამოსულმა სამმა ავტომატებით შეიარაღებულმა პირმა ცეცხლი გაუხსნა ხალხს. 80 ადამიანი დაჭრეს, 26 მოკლეს, მათ შორის, წმინდა მიწის მოსალოცად ჩამოსული, 16 პუერტო რიკოელი. ტერორისტები არ ცდილობდნენ გაქცევას და როგორც ჩანს, უკანდახევის გეგმაზე არც უფიქრიათ. ერთი თავდამსხმელი პოლიციელებმა მოკლეს. ერთმა თავი აიფეთქა. მესამემ, რომელმაც თვითმკვლელობა ვერ მოასწრო, ისე განიცდიდა ამ მარცხს, რომ შემდეგში სასამართლოსგან აუცილებლად სიკვდილით დასჯას ითხოვდა. ისრაელის სასამართლომ მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. 1985 წელს კოძო ოკამოტო ტყვეთა გაცვლისას გაათავისუფლეს და მას შემდეგ ლიბანში ცხოვრობს, როგორც ერთადერთი ლიბანში ოფიციალურად აღიარებული პოლიტიკური ემიგრანტი. აეროპორტის სამივე თავდამსხმელი იაპონელი იყო.



კოძო ოკამოტო და ფუსაკო შიგენობუ

როცა 2000 წელს ლიბანმა ოთხი ლიბანში დაკავებული იაპონელი ტერორისტი გადასცა იაპონიას, ოკამოტოს, თვით ლიბანის პრემიერ-მინისტრი სელიმ ელ ჰოსი გამოესარჩლა. ოკამოტო, რომელმაც გამუსულმანების შემდეგ აჰმედი დაირქვა, ლიბანში დატოვეს და ბეირუთის ახლოს მდებარე რუმიეს ციხიდან გაათავისუფლეს, სადაც ის ზემოხსენებულ ამხანაგებთან ერთად პასპორტების გაყალბების გამო იჯდა. დღეს ის ბეირუთის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობს და იაპონიაში დაბრუნებაზე ოცნებობს.

კოძო ოკამოტო და მისი თანატერორისტები "იაპონური წითელი არმიის" (ნიჰონ სეკიგუნ) წევრები იყვნენ. მათ სპეციალური ტრენინგი გაიარეს "პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტის" (PFLP) ბანაკში ბაალბეკში, ლიბანში. მათ იარაღისა და ასაფეთქებელი მასალის ხმარების გარდა, იმასაც ასწავლიდნენ, ხელყუმბარით თავი როგორ აეფეთქებინათ, თან ისე, რომ მათი ამოცნობა აფეთქების შემდეგ გაძნელებულიყო. უცხოური ჯგუფი - "ანტიიმპერიალისტური ინტერნაციონალური ბრიგადები" მაშინ ახლო აღმოსავლეთში ბევრი იყო. დასავლელი მემარცხენეები თვლიდნენ, რომ აქ ისინი თავიანთ "ინტერნაციონალისტურ ვალს" ასრულებდნენ. ისინი აქ შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას მერე სამშობლოშიც იყენებდნენ, როგორც გერმანელი "წითელი არმიის ფრაქციის" თუ სხვა ევროპული ტერორისტული ჯგუფის წევრები, სხვათა შორის, არა მხოლოდ მემარცხენეები, ისე როგორც ირლანდიის რესპუბლიკური არმიის წევრები - კარგი კათოლიკეები. შეიძლება ითქვას, რომ პალესტინაში იქმნებოდა "ტერორისტული ინტერნაციონალი". შემდეგში, ევროპაში მყოფი იაპონელი ტერორისტები, ცნობილი ტერორისტის კარლოსის (ილიჩ რამირეს სანჩეს) შუამავლობით, ლიბიის ჯამახირიის ბელადის კადაფის დაკვეთებზე მუშაობდნენ და კარგ გასამრჯელოსაც იღებდნენ.

იაპონელი ტერორისტების მეთაური და სულიერი დედა იყო ფუსაკო შიგენობუ, რომელიც არაბული ფსევდონიმით "სამირა" 1971 წლიდან ლიბანში ცხოვრობდა. იაპონელი სამირა ლოდის აეროპორტში მომხდარი აქტის დროს თვითაფეთქებული ტერორისტის ფიქტიური ცოლი იყო, სინამდვილეში კი, როგორც ამბობენ, "პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის" ლიდერის ჟორჟ ჰაბაშის საყვარელი.

1945 წელს დაბადებული ფუსაკო ოჯახში ეზიარა ექსტრემისტულ აზროვნებას. მამამისი იყო წევრი ულტრამემარჯვენე რადიკალური ორგანიზაციის "სისხლით ძმების ლიგა" ("კეცუმეიდან"), რომლის დამაარსებელი იყო ბუდისტი ბერი ინოუე ნისშო (1886-1967). 30-იან წლებში მათ ტერორს მრავალი პოლიტიკოსი ემსხვერპლა იაპონიაში, მათ შორის პრემიერ-მინისტრი ინუკაი ცუიოში.

საერთოდ, მემარცხენე იქნება თუ მემარჯვენე, იაპონელი ტერორისტები სამურაის საომარი ეთიკის - ბუშიდოს დიდ გავლენას განიცდიან. რადიკალიზმის ერთი ფრთიდან მეორემდე კი ერთი ნაბიჯია.

60-იანი წლების ბოლოს სტუდენტური მოძრაობა იაპონიაში დასუსტდა. ისევე, როგორც ევროპაში, აქაც მემარცხენე ინტელექტუალთა წრეებში დისკუსია მიდიოდა მოძრაობის რადიკალიზაციის თაობაზე. მალე იაპონიის საზოგადოების ყურადღება ბანკების ძარცვით გამორჩეულმა იატაქვეშა ორგანიზაციამ "იაპონიის კომუნისტურმა ლიგამ - წითელი არმიის ფრაქციამ" (სეკიგუნ-ჰა) მიიპყრო. იაპონელი წითელარმიელები ოცნებობდნენ იმ დროს ტოკიოს ყველაზე მაღალი - კასუმიგასეკის სახლის და ვაშინგტონში პენაგონის აფეთქებაზე.

1970 წელს ორგანიზაციის 9 წევრმა სამურაის ხმლებითა და თვითნაკეთი ყუმბარებით შეიარაღებულმა, თვითმფრინავი ჩრდილოეთ კორეის მიმართულებით გაიტაცეს. სამხრეთ კორეაში იაპონელებმა და სამხრეთ კორეელებმა სეულის აეროპორტი ფხენიანის აეროპორტივით მოაწყვეს. თვითმფრინავი იქ დასვეს, მაგრამ ტერორისტები არ მოტყუვდნენ და ფხენიანში მაინც მოახერხეს გადაფრენა. თვითმფრინავის გატაცებამ სეკიგუნ-ჰა ორ ნაწილად გაყო - მსოფლიო რევოლუციისთვის მებრძოლებად, რომელთა ერთი ნაწილი მალე ლიბანში გადაბარგდა და იაპონიაში დარჩენილ რევოლუციონერებად, რომლებიც მიუვალ მთებში ემზადებოდნენ საბრძოლველად. როდესაც იაპონიაში დარჩენილ - რინგოო სეკოგუნის (გაერთიანებულ წითელ არმიის) ბაზა ალყის შემდეგ აღებული იქნა - იქ ოცზე მეტი ჩუმად დასაფლავებული გვამი იპოვეს - ორგანიზაციის იმ წევრებისა, რომლებმაც ხელმძღვანელობის უნდობლობა და ეჭვი დაიმსახურეს. ამ მკვლელობებმა მემარცხენეთა თვალში ტერორიზმის სრული დისკრედიტაცია გამოიწვია და იაპონიაში მემარცხენე ტერორიზმი დაასამარა. მათ უცხოეთიდან "ნიჰონ სეკიგუნიც" გაემიჯნა.

ლიბანში დაბანაკებულმა იაპონელებმა შელახული სახელის აღდგენა მანამდე არნახული ტერორისტული აქტით მოინდომეს და მოახერხეს კიდეც. შიგენობუმ მისი (ფიქტიური) ქმარი ტაკეში ოკუდაირა ჭეშმარიტ კამიკაძედ მონათლა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროინდელ კამიკაძეებს აჯობა. ასეთი ისტორიული პარალელები წინასწარ იყო ჩაფიქრებული - მაგ.: თვითმკვლელი ტერორისტის გაყალბებულ პასპორტში დაბადების თარიღად ჩაწერილი იყო იაპონელების პერლ ჰარბორზე თავდასხმის თარიღი.

ლოდის ჟლეტას გადარჩენილი ოკამოტო ჩვენებებს არ იძლეოდა, სანამ ისრაელის გამომძიებლები მას წერილობით არ დაჰპირდნენ, რომ პისტოლეტს მისცემდნენ თვითმკვლელობისთვის. ოკომოტოს დაჟინებითი მოთხოვნის მიუხედავად, მათ ეს პირობა არ შეუსრულეს და არც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ოკამოტომ, როგორც ნამდვილმა სამურაიმ, სასამართლოზე განაცხადა, რომ მისი ყველაზე დიდი სურვილი იყო აეროპორტში დაცემულიყო "როგორც ხიდან ჩამოვარდნილი ალუბლის ყვავილი", სიკვდილის შემდეგ კი იგი თანამებრძოლებთან ერთად ორიონის თანავარსკვლავედში მოხვდებოდა, სადაც მეომარი ჩანს, წელზე ხმალშემორტყმული.

პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტმა ამ აქტს "ოპერაცია დირ იასინი" უწოდა, 1948 წელს ისრაელის ჯარისკაცების მიერ ამოხოცილი პალესტინური სოფლის სახელის მიხედვით. ჯგუფს, რომელმაც ოპერაცია ჩაატარა "წამებული პატრიკ არგუელო" დაარქვეს. პატრიკ არგუელო პალესტინელ მებრძოლ ქალთან ლაილა ხალედთან ერთად მოკლეს 1970 წელს ისრაელის თვითმფრინავის გატაცების მცდელობისას. ოპერაციის თარიღი უკავშირდებოდა "ექვსდღიანი ომის" ხუთი წლისთავსაც, რომელსაც არაბები "ივნისის დამარცხებას" უწოდებენ. ტერორისტებს უყვართ სიმბოლიკა. მიზანი არის რაც შეიძლება დიდი გამოხმაურების მიღწევა, ყურადღების მიპყრობა. ამიტომ მიუხედავად "სახალხო ფრონტის" მკაცრი მარქსისტული მიმართულებისა, ისინი რელიგიური ტერმინის "შაჰიდის" გამოყენებასაც არ მოერიდნენ. თვითონ ჟორჟ ჰაბაში კი პალესტინელი მართლმადიდებელი ქრისტიანის ოჯახიდანაა.



იაპონელი კამიკაძეები გაფრენის წინ

ლოდში პირველად იქნა გამოყენებული სამოქალაქო პირების წინააღმდეგ, მანამდე მხოლოდ ომში ცნობილი, თვითმკვლელის შეტევა ხელყუმბარებით. ამ ახალი ტიპის ტერორისტულმა აქტმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. დასავლეთისა თუ იაპონიისგან განსხვავებით არაბულ სამყაროში ბევრი აღფრთოვანება ვერ მალავდა. ის რომ იაპონელებმა პალესტინური საქმისთვის თავი დადეს, ცხადყოფდა, რომ მსოფლიოს "პროგრესულ საზოგადოებას" პალესტინის საკითხი აწუხებდა. ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი აზუზ სიდყი ამ ოპერაციას იმის დადასტურებად თვლიდა, რომ არაბებს შეუძლიათ ისრაელის დამარცხება. მუამარ კადაფი პირდაპირ მოუწოდებდა პალესტინელებს იაპონელ წითელარმიელთა მაგალითისთვის მიებაძათ: "რატომ არ შეუძლიათ პალესტინელებს მსგავსი ოპერაციების ჩატარება? ყველა წიგნებს წერს და ჟურნალებს თეორიებით ავსებს, თორემ იაპონელების მსგავსი ერთი ვაჟკაცური ოპერაციის ჩატარების თავი არა აქვთ."

ლოდის ამბებმა პალესტინა-ისრაელის პერმანენტული ომის კიდევ უფრო რადიკალიზაცია გამოიწვია. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა მოშე დაიანმა განაცხადა: "თვითმკვლელების წინააღმდეგ კონვეციონალური მეთოდებით ბრძოლა შეუძლებელია". მოშე დაიანი, ისევე როგორც ისრაელის დამაარსებელთა უმრავლესობა, საკუთარი გამოცდილებიდან კარგად იცნობდა ტერორიზმის ტაქტიკასა და მეთოდიკას. ისრაელის შურისგებას ემსხვერპლა "პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტის" გაზეთის "ალ ჰადაფის" გამომცემელი კანაფანი, რომელიც მანქანაში ჩადებულ ბომბზე აფეთქდა. ისრაელი დღემდე აგრძელებს "შურისძიების პოლიტიკას". პალესტინელებიც.



ჟორჟ ჰაბაში

1974 წლის 12 აპრილს კირიათ შმონაში პალესტინელებმა, როგორც ჩანს, იაპონელების მაგალითს მიბაძეს. ოღონდ ისრაელის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ტერორისტებს ბომბი აუფეთქდათ. ამ აქტის ორგანიზატორი პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი - გენერალური კომანდო (PFLP-GC) იყო, რომელიც დედაორგანიზაციას 1968 წელს გამოეყო და მას შემდეგ პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტსა და არაფატის ფატაჰს უწევდა კონკურენციას პალესტინის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში. ორგანიზაციის უფროსი აჰმად დჯიბრილი დღემდე ამ აქტს პალესტინელთა პირველ თვითმკვლელ ოპერაციად თვლის. მაშინ კირიათ შმონელ ტერორისტებს პირველად უწოდეს მაჯმუა ინტიჰარია (თვითმკვლელთა კომანდო). ეს ტერმინი პალესტაში მტკიცედ დამკვიდრდდა და უამრავი მიმბაძველი ჰპოვა.

კირიათ შმონას აქტს თან ერთვოდა შემდეგში მრავალგზის გამოყენებული, თითქმის აუცილებლად ქცეული მედიალური დამუშავება და პროპაგანდა. PFLP-GC-ს მოწყობილ კონფერენციაზე ყველა ტერორისტის (ფიდაის/თავგანწირულის) სახელი დაასახელეს. მათი ფოტოები, სრული შეიარაღებით აჩვენეს საზოგადოებას და მოასმენინეს მათი ხმის ჩანაწერი ანდერძით. რამდენიმე თვის შემდეგ მათ მოსაგონარ საღამოზე ერთ-ერთ ბეირუთის კინოთეატრში ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი, რომელზეც დაღუპულთა ბოლო დღეები იყო აღბეჭდილი. არც ეს იყო ახალი მსოფლიოს ისტორიაში. აქაც იაპონია იყო მაგალითი. ომის დროს კამიკაძეებს (სიტყვა სიტყვით: "ღმერთის ქარი") საბოლოო გაფრენამდე ფოტოებს უღებდნენ და ყველა იაპონური გაზეთი ბეჭდავდა ახალი გმირების ფოტოებსა და გამოსამშვიდობებელ სიტყვებს. კინოჟურნალებში მათ ბოლო მისალმებებს აჩვენებდნენ და სკოლებში ბავშვებს კამიკაძეების დაწერილ ლექსებს უკითხავდნენ. კირიათ შმონაში ტერორისტების მოთხოვნა იყო თანამებრძოლების ისრაელის ციხეებიდან გათავისუფლება. პირველი გასათავისუფლებელთა სიაში იაპონელი ფიდაი კოძო ოკამოტო იყო.

კადაფიმ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ პალესტინელებმა "შიშის ბარიერი" დაძლიეს.

**P.S.** 2000-წელს 55 წლის ფუსაკო შიგენობუ თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ არალეგალურად, სხვისი სახელით, იაპონიაში დაბრუნდა. მისი ბოლო ფოტო, რომელიც იაპონიის სპეცსამსახურებს გააჩნდათ თხუთმეტი წლის წინანდელი იყო. მაგრამ ფუსაკო მალე ოსაკას ახლოს, ტაკასუკიში, ერთ პატარა რესტორანში დააპატიმრეს. ამბობენ, რომ იგი სიგარეტის ბოლის მისთვის დამახასიათებელმა რგოლებად გამობოლქვამ გასცა. ფუსაკო შიგენობუმ ციხეში წიგნი დაწერა, რომელიც მის ერთადერთ ემიგრაციაში დაბადებულ ქალიშვილს მიუძღვნა, სახელად: "მე გადავწყვიტე შენი გაჩენა ვაშლის ხის ძირას."

## ტერორი - ომის ახალი ფორმა

ასე იკვრება წრე იაპონელ კამიკაძეებსა და 2001 წლის 11 სექტემბრის არაბ კამიკაძეებს შორის. იაპონელების ტექნოლოგია მათ მიერ კოლონიზირებულმა კორეელებმაც გადაიღეს და კორეის ომში ჩრდილოეთ კორეელებიც იყენებდნენ. შემდეგ ჩრდილოეთ კორეელი ინსტრუქტორები პალესტინელებს წვრთნიდნენ ახლო აღმოსავლეთში. ჰისბოლას მილიციონერებს ირანი უჭერდა მხარს. თითოეული პალესტინელი თვითმკვლელის ოჯახს სადამ ჰუსეინი 25 ათასი დოლარით ეხმარებოდა. ასე რომ, ამერიკელების მოგონილი "ბოროტების ღერძი" კუბიდან ჩრდილოეთ კორეამდე, მაღრებისა და მაშრიყის გავლით, მთლად საფუძველს მოკლებული არ არის.

მიუხედავად ყველაფერი ზემოთქმულისა, არც თუ საპატიო პირველობა თვითმკვლელ ტერორიზმში თამილებს ეკუთვნით (ძირითადად შრი ლანკაში მებრძოლ თამილ ელამის გამათავისუფლებელ ვეფხვებს). 200-ზე მეტი აქტით ამ ბუდისტური წარმოშობის, მაგრამ არარელიგიური სარჩულის მქონე სეპარატისტული მოძრაობის მებრძოლები წინ უსწრებენ ყველა ისლამური ქვეყნის ერთად აღებულ თვითმკვლელ ტერორისტებს, სრულიად "საერო" ქურთისტანის მუშათა პარტიით (პკკ) დაწყებული ქაშმირის დაქსაქსული მუსულმანური დაჯგუფებებით დამთავრებული. ინდოეთის სუბკონტინენტი გახმაურებული მკვლელობებით - მაჰათმა განდი (მოკლა ჰინდუ ფანატიკოსმა 1948 წელს), ინდირა განდი (მისივე მცველ ორ სიკხს ემსხვერპლა 1984 წელს), რაჯივ განდი (თამილმა თვითმკვლელმა ქალმა ააფეთქა 1991 წელს) და დღესაც მიმდინარე კონფლიქტებით ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე ახლო აღმოსავლეთი და ჩეჩნეთი. ტერორს იდეოლოგია უმაგრებს ზურგს, მაგრამ ეს იდეოლოგია აუცილებელი არაა იყოს ისლამიზმი. როგორც, თუნდაც აქ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თანამედროვე ტერორიზმის ფესვები, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალიზმში უნდა ვეძებოთ - პალესტინაშიც და ჩეჩნეთშიც. თავისთავად, ტერორიზმი იდეოლოგია არ არის, ის ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა. სიმეტრიული ომების ეპოქა (მეტნაკლებად ერთ პირობებში მყოფი არმიების დაპირისპირება) დამთავრდა. ასიმეტრიულ დაპირისპირების ეპოქაში, თუ კლაუზევიცისეულ ომის დეფინიციას ("ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, სხვა ხერხებით") განვავრცობთ, შეიძლება ითქვას, რომ ტერორი ომის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა ხერხებით. თვითმკვლელი ტერორიზმი კი ასეთი ომის ყველაზე ეფექტური იარაღია.

ჩინელი ომის თეორეტიკოსი სუნ ძუ ჯერ კიდევ 2500 წლის წინ წერდა: "ომი წყალს ჰგავს. როგორც წყალს, მასაც არა აქვს მყარი ფორმა".

ამერიკის შეერთებული შტატების არმია ნებისმიერი ქვეყნის რეგულარულ ჯარს დაამარცხებს, მაგრამ დარჩება თუ არა საბოლოოდ გამარჯვებული პარტიზანულ-ტერორისტულ ომში, მაგალითად, ერაყში ან ავღანეთში ჯერ კიდევ საკითხავია.



უსამა ბინ ლადენი

მას შემდეგ რაც, მანამდე ურყევ მონოლითად მიჩნეული საბჭოთა-კომუნისტური ბლოკი დაინგრა, 90-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა ახალი თეორია - "ისტორიის დასასრულის" შესახებ. მისი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ფრანსის ფუკუიამაა. ამ თეორიის მიხედვით, ლიბერალურმა საბაზრო მეურნეობამ გაიმარჯვა და ის მთელ მსოფლიოში დამყარდება. რადგანაც მანამდე არსებული დაპირისპირება სამყაროში კომუნისტურ და კაპიტალისტურ ბანაკების დაპირისპირებად აღიქმებოდა, ახლა უკვე ახალ გლობალურ კონფლიქტებს აღარ უნდა ჰქონოდა რაიმე საფუძველი. მაგრამ ერთადერთ დარჩენილ სუპერ-სახელმწიფოს - აშშ-ს გამოუჩნდა "ახალი სტრატეგიული მოწინააღმდეგე" - ერთ დიდ ქვაბში ჩაყრილი "სიაბანდი ქვეყნები" (rogue states) და ისლამისტები. მედიებმა და მეცნიერებმა "კომუნიზმის აჩრდილს" ჩაანაცვლეს ახალი "ისლამის აჩრდილი", "ძლიერი იდეოლოგიური" ფუნდამენტით, რომლის უკანაც მილიარდი ადამიანი დგას ან ქართული მედიების საყვარელი სიტყვა რომ ვიხმაროთ, "მოიაზრება".

იდეოლოგიური საძირკვლის მოსამზადებლად პოლიტოლოგი სემიუელ ჰანტინგტონი ტერმინს "კულტურათა შეჯახებას" ბერნარდ ლიუსს, ამერიკული ორიენტალისტიკის რუხ კარდინალს, დაესესხა. ამ თეორიის მიხედვით, 21-ე საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობები განპირობებული იქნება არა სხვადასხვა იდეოლოგიების ან ეკონომიკების, არამედ განსხვავებულ ცივილიზაციათა შორის დაპირისპირებით, კონკრეტულად კი დასავლურ და ისლამურ სამყაროთა შორის ბრძოლით. ეს ორად გაყოფა საოცრად ემთხვევა ისლამურ სამყაროს ხედვას და ორად გაყოფას - დარ ელ ისლმად (ისლამის მხარე, მიწა) და დარ ელ ჰარბად (ომის მხარე, მიწა), რომელიც ომს აწარმოებს მუსლიმებთან. ეს შუასაუკუნეების დროინდელი იდეა, როგორც ჩანს, მისაღებია როგორც ისლამისტებისთვის, ასევე დასავლეთის წამყვანი ტვინებისთვისაც, რაც კარგად ჩანს ტერმინოლოგოშიაც, რომელსაც დაპირისპირებულნი იყენებენ.

ბინ ლადენი 1998 წელს თავის ცნობილ ფატვაში ("განმარტება", სამართლებრივ-საღვთისმეტყველო დასკვნა), მართლმორწმუნეებს ჯიჰადისაკენ მოუწოდებს "ებრაელებისა და ჯვაროსნების" წინააღმდეგ, რომლებიც "როგორც კალიები" ისე მოედვნენ ისლამურ სამყაროს. ბინ ლადენი მოქმედებს ნეჩაევის თეორიით, რაც უფრო გაუარესდება მდგომარეობა, მით უფრო უკეთესია საბოლოო მიზნების მისაღწევად. ყოველი ამერიკული ყუმბარის აფეთქება ერაყში, ისრაელის ყოველი ახალი შეტევა პალესტინელების წინააღმდეგ ზრდის ფანატიკოსთა არმიას. აგრესიის წინააღმდეგ უძლურების განცდა მეტ ლეგიტიმაციას ანიჭებს ტერორისტულ ომს. სწორედ მათ მიმართავს ბინ ლადენი, როცა მოუწოდებს "ჩაგვრისა და დამცირების კედლების" დანგრევისაკენ.

მაგრამ ბინ ლადენი და მისთანანი ვერ გაძლიერდებოდნენ, რომ არა დასავლეთის არადიფერენცირებული დამოკიდებულება ყოველგვარი ტერორიზმისადმი, რომელსაც, ასე თუ ისე, ისლამს მიაწერენ. "გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ" ხელს აძლევს არა მარტო ბინ ლადენებს, არამედ რუს პოლიტიკოსებსაც, რომლებიც გლობალური ომის ორომტრიალში, ფაქტობრივად დასავლეთის წაყრუების და გულგრილობის ფონზე, აწარმოებენ ჩეჩენი ხალხის გენოციდს და მეზობელი ქვეყნების შინაგან საქმეებში უხეში ჩარევის ჰეგემონისტურ პოლიტიკას.

# ჯაზის ნიუ იორკული სახლი

ლინკოლნ ცენტრი ჯაზის სასარგებლოდ გაფართოვდა. 128 მილიონ დოლარად შეფასებულმა ახალმა ცენტრმა პირველი სტუმრები გუშინ მიიღო. ფილანტროპ ფრედერიკ როუზის პატივსაცემად ცენტრს როუზის დარბაზი დაარქვეს, თუმცა მისი მფარველი ლინკოლნ ცენტრის ჯაზის განყოფილების მხატვრული ხელმძღვანელი ვინტონ მარსალისია. ის პირადად ედგა მშენებლობას სათავეში და მოუთმენლად ელოდა მსოფლიოში პირველი თეატრის გახსნას, რომელიც ექსკლუზიურად ჯაზური მუსიკისთვის დაპროექტდა.

ასე რომ, გუშინ საღამოს ნიუ იორკში სეზონის უმნიშვნელოვანესი პრემიერა შედგა. თეატრთან ერთად გაიხსნა ლინკოლნ ცენტრის ჯაზის 2004-05 წლების სეზონიც. ადგილობრივ ორკესტრთან ერთად, რომელსაც ვინტონ მარსალისი ხელმძღვანელობს, პუბლიკის წინაშე აფრო-ლათინური ჯაზ-ორკესტრიც წარდგა.

ამბობენ, რომ თეატრის გახსნით, ფაქტობრივად, ჯაზი დაბრუნდა იქ, სადაც ნიუ იორკში ის პირველად გაისმა. ეს 1917 წელს მოხდა, მე-8 ავენიუსა და დასავლეთ 58-ე ქუჩის გადაკვეთაზე - დარბაზში, სადაც ახალი ორლეანიდან ჩასული Original Dixieland ჯაზბენდი გამოვიდა.

ფრედერიკ როუზის დარბაზი კოლუმბის მოედანზე მდებარე "თაიმ უორნერის" შენობის კულტურული ცენტრი გახდება.

"მინდა, ხალხმა ჯაზის შესახებ ბევრი რამ გაიგოს; როუზის დარბაზი იქნება ადგილი, სადაც ჩვენი მუსიკის თითოეული დეტალი აჟღერდება", - აცხადებს მარსალისი.

100 ათასი კვ.ფუტი ფართის მქონე აკუსტიკურად სრულყოფილი კომპლექსი "თაიმ უორნერის" მეხუთე სართულზეა განლაგებული და სამ დარბაზს აერთიანებს: 1200 ადგილიან როუზის თეატრს; 500 ადგილიან ალენის ოთახს (დარბაზს ეს სახელი საინვესტიციო ფირმა "ალენი & კომპანიის" გამო შეურჩიეს) და უფრო მყუდრო, 140- ადგილიან დიზის კოკა-კოლას კლუბს. იმავე სართულზეა მოთავსებული საგანმანათლებლო ცენტრი, სარეპეტიციო სტუდია და ჯაზის ისტორიის, დიდების დარბაზი.

უნდა ითქვას, რომ არქიტექტორები და კრიტიკოსები ჯაზის პირველ ნიუ იორკულ ცენტრს წუნს ვერ უდებენ. ვიზუალურადაც და აკუსტიკურადაც ყველაფერი სრულ წესრიგშია. როუზის დარბაზი - მრავალიარუსიანი სივრცეა, რომელიც ნალის ფორმის იტალიურ საოპერო დარბაზს წააგავს. ის სპეციალურად ჯაზისთვის დაპროექტდა, მაგრამ თანაბარი წარმატებით გამოდგება საოპერო, ქორეოგრაფიული და საორკესტრო კონცერტებისთვისაც. ალენის ოთახი, ასევე, მრავალტერასიანი ამფითეატრია, რომლის გადაკეთებაც გრანდიოზულ სავახშმო დარბაზადაც შეიძლება. ის განსაკუთრებით ლამაზია დღის სინათლეზე, რადგან ჭერიდან იატაკამდე შუშის კედლითაა დაფარული, რომელიც ცენტრალურ პარკს გადაჰყურებს. თუმცა, ასევე მომხიბვლელია ღამითაც - როცა ნიუ იორკის ჰორიზონტის ხაზი ათასგვარ ფერად კაშკაშებს და იქ მყოფებს ექმნებათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ საყვარელ მუსიკას პირდაპირ ვარსკვლავების ქვეშ ისმენენ. შესანიშნავი სარელაქსაციო სივრცეა დიზის კლუბიც - ბამბუკის კედლებითა და კოლუმბის მოედანზე ხედით.






აი, სწორედ ეს მშვენიერი არქიტექტურული კომპლექსი მიეძღვნება ჯაზს. ცენტრს "ნიუ იორკ ტაიმსი" ასე ახასიათებს: "ის ქალაქის ლანდშაფტის შესანიშნავი დანამატია". ეს გარეგნულად, თავისი მისიით, ახალი კომპლექსი ნიუ იორკის ჯაზცხოვრების გახალისებასა და დახვეწაზე იზრუნებს. გუშინ გამართული გრანდიოზული გახსნა 7 ნოემბრამდე გაგრძელდება და ერთგვარი ფესტივალის ხასიათს მიიღებს. ვინტონ მარსალის ორკესტრის გარდა, ფესტივალზე მისულები ცნობილ ჯაზვოკალისტებს კასანდრა უილსონს, დაიან რივზს და ფრედი ქოულსაც მოუსმენენ. კომიკოსი მსახიობი ბილ კოსბი კი საკუთარ ჯაზ-პროექტს წარმოადგენს.

ცალკე პროგრამა აქვს დიზის კლუბსაც, რომელიც სეზონს 21 ოქტომბრიდან გახსნის. ღამის კლუბი მთელი წლის განმავლობაში 365-ივე ღამეს დაუღალავად გაართობს სტუმრებს, მოასმენინებს ნამდვილ ჯაზს. პირველ სამ კვირას კი გაიმართება დიზი გილესპის ფესტივალი. მუსიკოსებს სჯერათ, რომ გილესპის კლუბი ნამდვილი სამოთხე იქნება ჯაზის მსმენელებისთვის, რადგან იქ მის თითოეულ ქვეჟანრს გამორჩეულად დიდ დროს დაუთმობენ.

ასე რომ, ვინტონ მარსალისი პუბლიკის წინაშე ახალი არქიტექტურულ-მუსიკალური პროექტით წარდგა. რეცენზიებს ჯაზის ახალი ნიუ იორკული სახლის პრეზენტაციის შესახებ გაზეთები ხვალიდან დაბეჭდავენ. ვნახოთ, როგორ შეაფასებს პრესა ახალ წამოწყებას, რომელმაც, სავარაუდოდ, მართლაც, უნდა გახსნას ახალი თავი ჯაზის ცხოვრებაში.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

19 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ტურბულენტურობა-2" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "ჯეტექსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა: "იუვენტუსი"-"ბაიერნი" **02.20** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ქრონიკები მთიდან. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** აქტუალური თემა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** სამხრეთის ანარეკლი. **24.30** გადაცემა: კროსვორდი. **04.05** თქვენ სოფლელი ხართ? მხ. ფილმი. რეჟისორი ლიონელ ეპი. 2004.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი "მარსუპილამი" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ხაფანგი-თანამდებობის სახით" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი **16.05** სერიალი "უშიშრები" **16.30** ისტორიანი **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.25** "ამბობენ" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "კარიბის ზღვაზე" **22.00** ქიმერიონი - მ. დოიჯაშვილი **00.00** მხ. ფილმი "მყუდრო სავანე" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** ვიპ-შოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები 202-ზე

### კავკასია

**14.00** ქართული მუსიკა **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" **19.20, 21.00** სპექტრი **22.30** ოლიმპიადა დამთავრდა, ოლიმპიადა იწყება **23.00** სერიალი "ნარჩიტა მომღერალი ჩიტია" **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.05** ტელეჟურნალი "სცენა" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "მოდა" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "წყლის წონა" (15) (შონ პენი)

**18.00** მინისერიალი "მგლების შვილი" მე-2 ს. **19.40** დოკ. ფილმი **20.40** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "მკვლელობის ცერემონია" (15)

### მეორე არხი

**19.00** საქ. პარლამენტის მაჟორიტარ კანდიდატთა შუალედური არჩევნები **20.00** მულტფილმი **20.25** "იმღერე რამე" **20.50** სერიალი "უშიშრები" 3-4 ს. **21.45** ბასტი-ბუბუ **22.00** კონცერტი - მ. სებისკვერაძე. 1-ლი ნ. **23.00** მხ. ფილმი "მყუდრო სავანე" (გ)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30 07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25** "იმედის" დილა **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.20, 04.10** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.40** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "უდაბნოს მთვარე" (გ) (ა. ჯოლი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.30** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" 1-ლი ს. **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **20.00** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" მე-11ს. **22.45** "პირველები" **23.25** მხ. ფილმი "ნიანგთა სიბრძნე" (15) (ჯად ლოუ) **00.55** "აქტიორი" **01.30** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.25** "გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** "Шутка за шуткой". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **13.50** Сериал **"СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"СТИЛЕТ". 17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **22.40** Кремль - 9. "Три жены маршала Буденного". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** "Звезды эфира". Анна Шатилова. **00.40** Крылья. "За гранью риска". **01.10** Александр Фатюшин в детективе **"КРОВЬ ЗА КРОВЬ" 03.05** Ллойд Бохнер в боевике **"ДВОЙНОЙ АГЕНТ". 04.50** Сериал "Специальное подразделение II".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: ПОДПОЛЬНАЯ СЕТЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.45** "Сегодня" **10.15** Криминальная Россия. **10.50** "Стресс". Ток-шоу Александра Гордона. **11.55** Сериал **"СЛЕПОЙ". 13.30** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: ЗАЛОЖНИК". 14.30** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"КАМЕНСКАЯ: НЕ МЕШАЙТЕ ПАЛАЧУ"**. Часть 2-я, закл. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"СЛЕПОЙ". 2**-я с. **20.50** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ". 22.00** "Страна и мир". **22.35** Футбол. Лига чемпионов. **"РЕАЛ" (Испания) - "ДИНАМО" (Украина)**. **01.00** "Футбольный клуб" с Василием Уткиным. **02.25** Бильярд.

# ქართული ფოლკლორი გერმანიაში






გერმანიაში საქართველოს საელჩომ ორგანიზება გაუწია ქართული ფოლკლორული გუნდი "ნეკრესის" კონცერტების მოწყობას გერმანიის სამ ქალაქში: ბერლინში, შტუტგარტსა და მიუნხენში. გუნდი "ნეკრესი" 2000 წელს ჩამოყალიბდა ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტ სერგი (ჩეკურიშვილის) ინიციატივით. 2002 წელს ანსამბლმა დიდი წარმატებით იმოგზაურა საფრანგეთში, სადაც გაიმართა კახეთის კულტურის დღეები. 2002 წლის მაისში "ნეკრესი" წარმატებით მონაწილეობდა საქართველოს ფოლკლორულ ფესტივალზე, სექტემბერში ანსამბლს კონცერტები ჰქონდა საბერძნეთში, ათენში სადაც ჩაიწერა პირველი დისკი.

ანსამბლ "ნეკრესის" რეპერტუარში წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული ნიმუშები, როგორც სიმღერით, ასევე ქორეოგრაფიითა და ხალხურ საკრავებზე შესრულებით.

ანსამბლის გერმანიაში კონცერტების ორგანიზებაში საქართველოს საელჩოს დაეხმარა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოება, დიაკონიის ევანგელური საზოგადოება ბეთელი, შტუდტგარტის ქართველი სტუდენტობა, ორგანიზაცია: Kulturring in Berlin, რუმინეთის მართლმადიდებელი მონასტერი ნიურნბერგში.

გუნდი "ნეკრესის" პირველი კონცერტები გერმანიაში შემდეგ მისამართებზე ჩატარდება:

**სამშაბათი, 19 ოქტომბერი, 19.00 საათი**
Diakoniegemeinschaft Bethel e.V., Amselstraße 4, 14195, ბერლინი

**ოთხშაბათი, 20 ოქტომბერი, 19.00 საათი**
Kulturforum Hellersdorf, Carola-Neher-Straße 1, 12619, ბერლინი

**ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი, 19.00 საათი**
Ev. Segenskirche, Sch nhauser Allee 161, 10435, ბერლინი

**პარასკევი, 22 ოქტომბერი, 15.30 საათი**
Gemeindesaal der Ev. Auenkirche Wilmersdorf, Wilhelmsaue 118 a, 10715, ბერლინი

**პარასკევი, 22 ოქტომბერი, 19.00 საათი**
St. Johannes Kirche, Seilerplatz 2, 15517 Furstenwalde

**შაბათი, 23 ოქტომბერი, 17.00 საათი**
Jugendhaus, Giebelstr. 15, 70499, შტუდტგარტი

**კვირა, 24 ოქტომბერი, 17.00 საათი**
Kirche St. Jakob (nahe U-Bahnstation Weisser Turm), Nu-rnberg-Mitte "sudwestliche Altstadt"

კონცერტების შესახებ ინფორმაცია, ასევე, შეგიძლიათ ნახოთ საქართველოს საელჩოს ინტერნეტის გვერდზე: **www.botschaftvongeorgien.de**

## სწავლა დიდ ბრიტანეთში

- ბრიტანეთის სამეფოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელ"-ი (ELL.Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში, უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში
- საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:
A-Level 1-2-წლიანი. 15, 16 წლიდან.
Foundation 1-წლიანი. 17 წლიდან.
Pre-MBA, MBA 21 წლიდან.
სწავლის დაწყება იანვრიდან.

ინგლისური ენა:
ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CEA) 2-12 თვე.
Work Experience ინგლისური ენა და სტაჟირება ინგლისურ კომპანიაში.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 74, მე-15 სართული.
E-mail:n_makatsaria@Yahoo.com
ტელ: 22 59 57, 29 91 78, 899 50 40 12

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

# ვილიამსი სპეციალურად მობილური ტელეფონისთვის



რობი ვილიამსის "საუკეთესო ჰიტების" ალბომი მულტიმედია მეხსიერების ბარათის ფორმატით (MMC) გამოვა საგანგებოდ მობილური ტელეფონებისთვისა და ლეპტოპებისთვის. როგორც ამბობენ, ვილიამსი პირველი ვარსკვლავია, რომელიც საკუთარ მუსიკას ამ პატარა, უახლესი პორტაბელური ფორმატით გაჰყიდის.

გარდა აუდიო ფორმატისა, ალბომი ვიდეოგამოსახულებითაც გამოვა, რათა ახალი თაობის მობილურ ტელეფონებსა და კომპიუტერებსაც მიესადაგოს.

ბარათის ღირებულება 29.99 გირვანქა სტერლინგი იქნება და გაყიდვაში ბრიტანეთში ნოემბრიდან ჩაეშვება. MMC-ი ფორმატი ძალზე მოსახერხებულია, რადგან გაცილებით უფრო ბევრი მუსიკალური ბილიკის დამახსოვრება შეუძლია. მისი მეხსიერება ხომ ერთ გიგაბაიტს უდრის, ეს იგივეა, რაც ერთნახევარი კომპაქტ-დისკი.

რობი ვილიამსის წამოწყებას "ემი მიუზიქის" ციფრული განყოფილების ხელმძღვანელი დენი ვან ემდენი ამგვარ კომენტარს უკეთებს: "ბრიტანეთი დაავადებულია მობილური ტელეფონებით და ამიტომ, ვფიქრობ, კარგი იდეაა, რომ მომხმარებელს თავიანთ საყვარელ მუსიკოსებთან მუდმივად "ყოფნის" ილუზია შევუქმნათ. მგონია, რომ ეს მეხსიერების ბარათი მსმენელსა და მუსიკოს შორის "რომანის", უბრალოდ, ახალი თავია".

ასე რომ, მართალია, რობი ვილიამსი პირველია, მაგრამ არა უკანასკნელი. ბრიტანეთში საშობაოდ კიდევ მრავალი ასეთი ბარათის გამოშვებას აპირებენ. მას ინგლისელები, მართლაც, ისე განიხილავენ, როგორც მობილური ტელეფონების სამყაროს "გაფართოებასა" და მომხმარებელთა შიმშილის დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რობი ვილიამსის აგენტებს წარმატების წინდაწინვე სჯერათ, ისინი ბარათების ტირაჟს მაინც არ ამხელენ.

აფრინდით
ბრიტანეთის ავიახაზებთან
ერთად

$399
-დან
ლონდონი ჰითროუ
ორი გზა

ბილეთის დაჯავშნისთვის და სხვა
ინფორმაციისთვის ეწვიეთ
ინტერნეტ-გვერდს ba.com,
დაგვიკავშირდით: 94 07 19/20
ან მიმართეთ სამოგზაურო სააგენტოებს

BRITISH AIRWAYS

თბილისიდან გამგზავრების ფასები მოცემულია აეროპორტის მოსაკრებლისა და სხვა გადასახადების გარეშე. ბილეთის ვადა 12 თვეა. მისი დაჯავშნა უნდა მოხდეს 31.10.2004-მდე, ხოლო გაფრენა 31.03.2005-მდე. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ბრიტანეთის ავიახაზების ოფისს ან სამოგზაურო სააგენტოებს. ფრენებს ახორციელებს დამოუკიდებელი ავიაკომპანია BMED

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

სასკოლო მეთოდიკური გაზეთები

შპს მედია ოჯახი "განათლებული საქართველო" და შპს "რუსთავი 2 პრინტი" გთავაზობთ ხელმოსაწერად 19 დასახელების საგანმანათლებლო და საგნობრივ მეთოდიკურ გაზეთებს.

საგნობრივი მეთოდიკური გაზეთები მოგაწვდით ყველა კლასში პარალელური სასკოლო სახელმძღვანელოებით სწავლების გარანტირებულ მეთოდიკებსა და რეკომენდაციებს, თემატურ გეგმებს, საგაკვეთილო სცენარებსა და მოდელებს.

გაზეთებს მიიღებთ ადგილზე 2004 წლის 20 სექტემბერიდან 2004/2005 სასწავლო წლის განმავლობაში.



მისამართი: თბილისი, რუსთაველის 42, მე-3 სართული,
ტელ.:93-50-84, (899) 55-15-84




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.